ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 22 მარტი, 2013 №68 (6069) ფასი: 30 თეთრი

15 მარტიდან!
„ახალი თაობა“+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი




# სააკაშვილი მთავრობას ვეღარ დაითხოვს

გვ.3




პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები პირველი მოსმენით მიიღო



## ირაკლი ალასანია: „სამხედრო პოლიციაში მინი შსს იყო შექმნილი!“

გვ.3



## ყაზბეგის გამზირზე მომხდარი მკვლელობა გახსნილია

გვ.2



გვ.2

## ირაკლი ბათიაშვილი: „19 აპრილს დიდი ავანტიურა იგეგმება“



გვ.4

## ვლადიმერ ტაბაღუა: „ბაჩო ახალაიას ადგილი გლდანის ციხეშია“

## გელა კვაჭანტირაძე: „სამართალდამცავ ორგანოებს ძალიან უჭირთ“

გვ.5



## ფილიპ დიმიტროვმა ამნისტია დაგვიწუნა



გვ.6

## დავით დარახველიძე: „აკონტროლეთ ჩემი უწყება“

გვ.6




13 მარტიდან!
„ახალი თაობა“
+
შექსპირი
8 ლარი




ISSN 1987-9385

6 საპატრულო პოლიციამ უკანონო იარაღი ამოიღო

2 თეა წულუკიანი საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს შეხვდა

11 ნესტან კირთაძე: „საქართველოში ორხელისუფლებიანობა საპრეზიდენტო არჩევნებამდე გაგრძელდება“

2 შინაგან საქმეთა მინისტრმა მესაზღვრეებს პროფესიული დღე პირადად მიულოცა

# ირაკლი ბათიაშვილი: „19 აპრილს დიდი ავანტიურა იგეგმება“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ირაკლი ბათიაშვილთან

*— ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებდით ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? დღეს ერთ-ერთი აქტუალური თემა საკონსტიტუციო ცვლილებებია და ვხედავთ, რა დებატები იმართება პარლამენტში ამასთან დაკავშირებით. როგორია თქვენი პოზიცია ამ ყველაფერთან დაკავშირებით?*

— საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობა და აქტუალობა განაპირობა იმ ვითარებამ, რომ უმრავლესობისათვის, ქართული ოცნებისათვის და ბიძინა ივანიშვილისათვის ცნობილი გახდა იმის შესაძლებლობა, რომ სააკაშვილს შეიძლება გამოეყენებინა კონსტიტუციურად მინიჭებული უფლებამოსილება, მთავრობის დათხოვნისა, რასაც შემდგომ მოჰყვებოდა მის მიერ ახალი მთავრობის დანიშვნა. რადგან ამ კონსტიტუციით ჯერჯერობით მას ამის უფლება აქვს. ეს არის სერიოზული მანკიერება, სერიოზული დეფექტი, ჯერ კიდევ მოქმედი კონსტიტუციისა, რომელიც თავიდან ბოლომდე მორგებული იყო მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარულ მმართველობაზე. ეს კონსტიტუცია 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ისედაც შეიცვლებოდა, მაგრამ ცვლილებების შეტანა განაპირობა იმან, რომ სააკაშვილის საახლობო წრეში მიდიოდა, თავად სააკაშვილის მხრიდან მიდიოდა საუბარი იმის შესახებ, რომ ხელსაყრელი სიტუაციის შემთხვევაში ხომ არ გამოეყენებინა მას კონსტიტუციურად მინიჭებული უფლებამოსილება. ნაცმოძრაობის ელიტაში მიდიოდა მსჯელობები, დისკუსიები, ამ მზაკვრული გეგმის თაობაზე, მაგრამ მათ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდათ. ამის თაობაზე მხოლოდ მსჯელობა მიდიოდა, მაგრამ როდესაც ეს გახდა ცნობილი ბატონი ბიძინასთვის და უმრავლესობისთვის, ამის შემდეგ კარდინალურად იცვლება ვითარება და სწორედ ამის შემდეგ დგება დღის წესრიგში, რომ ეს კონსტიტუციური ცვლილებები იქნეს მიღებული პარლამენტის მიერ. რის შედეგადაც სააკაშვილი ვეღარ განახორციელებდა იმას, რაც მას სურდა. მას შემდეგ, რაც გახმაურდა ინფორმაცია მათი გეგმის თაობაზე, თავად ნაცმოძრაობის ელიტაში და თავად სააკაშვილის უახლოეს გარემოცვაში მიხვდნენ, რომ ახლა ამის განხორციელება იქნებოდა დიდი ავანტიურა და ეს გამოიწვევდა საშინელ რეაქციას მთელ საზოგადოებაში და თავისთავად ცხადია, ამას უზარმაზარი რისხვა და აღშფოთება მოჰყვებოდა და შესაძლოა ხალხს მთლიანად წაელეკა ნაციონალური მოძრაობა თავისი პრეზიდენტის რეზიდენციიანად.

*— ამიტომ უკან დაიხიეს?*

— მე დღეისათვის კონკრეტული ინფორმაციები არ მაქვს, მაგრამ როგორც გამოჩნდა, ისინი უკვე ნაკლებად ფიქრობენ ასეთ ავანტიურისტულ გეგმაზე, თუმცა ყველანაირად ცდილობენ, რომ დაუმტკიცონ საზოგადოებას სისუსტე არსებული საპარლამენტო უმრავლესობისა. დემონსტრირება მოახდინონ იმისა, რომ მათ არ ძალუძთ ამ კონსტიტუციური ცვლილებების მიღება ნაცმოძრაობის დახმარების გარეშე. უნდათ, რომ ისე დააყენონ საკითხი, რომ უმრავლესობა დაავალდებულონ. ნაცმოძრაობას უნდა, რომ ქართული ოცნება იყოს ვალში მათთან. ამიტომ ასე აყენებენ საკითხს. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ქართული ოცნება ვერ შეძლებს დამოუკიდებლად ამ საკითხის გატანას და მერე ჩვენ მოგეხმარებით, რომ გავიდეს ეს საკითხი. ანუ ამით მათ სურთ,



რომ დაამცირონ ქართული ოცნება, დაამცირონ დღევანდელი ხელისუფლება, დააკნინონ და ვალში ამყოფონ თავისთან. ამის საფასურად ალბათ სამომავლოდ გარკვეული გარანტიების აღებაც სურთ, კონკრეტულად კი ხელშეუხებლობის გარანტია. ეს არის მათთვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემა, რომ მიიღონ ხელშეუხებლობის გარანტიები, რადგან მათ ასეთი ნაბიჯი გადადგეს და დაეხმარნენ კონსტიტუციური ცვლილებების მიღებაში, კოჰაბიტაციაზე წავიდნენ და ასე შემდგომ. აი, ეს არის დღეს მათი ტაქტიკა. ისინი ცდილობენ, საკუთარი ძალების დემონსტრირება მოახდინონ, რამდენად გამოუვათ, ეს სხვა საკითხია.

*— რაც შეეხება 19 აპრილის აქციას, ამის თაობაზე დიდი სჯაბაასი მიდის. თქვენ რას ფიქრობთ ამ დღესთან დაკავშირებით?*

— 19 აპრილის აქცია თავისთავად არის მორიგი ავანტიურა ნაცმოძრაობის მხრიდან. მე მგონი, არავის არ სჯერა დღეს ჩვენს საზოგადოებაში, რომ მათ შეიძლება დიდი რაოდენობის მხარდამჭერები მოაგროვონ. ასეთი რამე არც არსებობს, მათ არანაირი მხარდაჭერა მოსახლეობაში არა აქვთ. ისინი მხოლოდ საკუთარი აქტივისტების მობილიზებას თუ შეძლებენ სრულად, რისთვისაც მე მინდა გითხრათ, რომ არ იშურებენ არც ენერგიას და არც ფულს. მე არ გამოვრიცხავ, რომ სულაც 19 აპრილმა ჩაიაროს ყოველგვარი სერიოზული გართულებების გარეშე და ჩვეულებრივი აქცია ჩატარდეს, სადაც ისინი უბრალოდ შეეცდებიან კიდევ ერთხელ „უჩვენონ მსოფლიოს“, რომ მათ სურთ, დასავლეთისაკენ სიარული. ეს რაღაც მორიგი პიარაქცია იქნება ნაცმოძრაობის მხრიდან. მე მგონია, რომ თვითონ ნაციონალური მოძრაობის ელიტა არ არის ჩამოყალიბებული საბოლოოდ თუ რა დატვირთვა უნდა ჰქონდეს 19 აპრილის აქციას. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საბოლოოდ თვითონ არ არიან ჩამოყალიბებული. ისინი ჯერჯერობით მიჰყვებიან მოვლენებს. ისინი თავიდან ნამდვილად მსჯელობდნენ ავანტიურისტული გეგმების თაობაზე. იყო ისეთი მსჯელობებიც, რომ 19 აპრილს სერიოზული ინციდენტი მოხდა, კონფლიქტი მოხდა, რის პროვოცირებასაც თავად ნაცმოძრაობა შეეცდებოდა, ამ შემთხვევაში სააკაშვილს შეიძლებოდა წამოეწყო ეს ავანტიურა და ეთქვა, რომ აი, მე არ მინდოდა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ მეტის მოთმენა შეუძლებელია, უნდა დავითხოვო მთავრობა და ასე შემდეგ. ძალიან ბევრ მზაკვრულ გეგმაზე მსჯელობდნენ ისინი, მაგრამ ჯერჯერობით დაბნეულები არიან, თავად არ არიან ჩამოყალიბებულები, მათ არ იციან, რა რაოდენობის ადამიანებს მოაგროვებენ ამ მიტინგზე. შეიძლება ეს მართლაც სასაცილოდაც გამოიყურებოდეს, ისეთი რაოდენობა მივიდეს. აქედან გამომდინარე, მათ კი დასახეს თავიანთთვის ეს ორიენტირი 19 აპრილის, მაგრამ რა დატვირთვა ექნება, მე ვფიქრობ, რომ ნაცმოძრაობა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და უყურებს მოვლენათა განვითარებას.

*— ეს ყველაფერი სავაჭრო თემად ხომ არ სჭირდებოდათ უმრავლესობასთან?*

— დღეს ისინი კარგად ხედავენ, რომ 19 აპრილის აქციით ვერავის ვერ შეაშინებენ, ეს აშკარად დაინახეს მათ. სასაცილოა, რომ ამით სპეკულანტობა დაიწყონ. ვერავის ვერ შეაშინებენ, რომ ამით ხელშეუხებლობის გარანტია მიიღონ. ყველამ კარგად იცის, რომ ვერავითარ დიდ მასას ისინი ვერ მოაგროვებენ, მაგრამ რაც აშკარად იკვეთება დღესდღეობით, მათი სტრატეგია არის შემდეგი: ისინი ცდილობენ მუდმივად იყვნენ ტალღაზე, მუდმივად იყვნენ ეკრანებზე, მუდმივად ფიგურირებდნენ, მუდმივად ჰქონდეთ დაკავებული პოლიტიკური ნიშა. დღეს მათი მთავარი მიზანია, რომ ისინი იყვნენ დღის წესრიგის შემკვეთები, მათ მიჰყავდეთ პოლიტიკური დღის წესრიგი. ისინი იყვნენ წარმოჩენილები, როგორც მთავარი და ერთადერთი ოპონენტები დღევანდელი ხელისუფლების და მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში და მუდმივ შანტაჟში ჰყავდეთ დღევანდელი ხელისუფლება. მათი მიზანია, რომ ამ ხელისუფლებამ საქმის კეთებაზე კი არ იფიქროს ეკონომიკის სფეროში, სოციალურ სფეროში, საგარეო პოლიტიკურ სფეროში, არამედ მუდმივად იყოს ჩათრეული ნაცმოძრაობასთან დებატების აი ,ამ ჭაობში. აი, ეს არის მათი სტრატეგია, რომ დღევანდელი ხელისუფლება ჩაითრიონ ამ გაუთავებელი, უაზრო, უშედეგო დისკუსიის ჭაობში. ხოლო თვითონ წარმოჩნდეს, როგორც ძალიან აქტუალური და ერთადერთი პოლიტიკური ძალა. მინდა გითხრათ, რომ ამას ჯერჯერობით ახერხებენ და ეს არის ფაქტი. ავიღოთ ტელევიზიები, პრესა, ყოველთვის მთავარი თემა არის დებატები ქართულ ოცნებასა და ნაცმოძრაობას შორის. ბოლო პერიოდის პოლიტიკური დღის წესრიგი არის გაუთავებელი დებატები. სწორედ ეს არის ნაციონალების სტრატეგია.

*— რა არის მათი მიზანი?*

— ნაციონალების სტრატეგია გულისხმობს, რომ ძირი გამოუთხარონ, დისკრედიტაცია მოახდინონ ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდისა საზღვარგარეთ, აბსოლუტურად ყველა მიმართულებით, დასავლეთის მიმართულებით, ჩრდილოეთის მიმართულებით. ხელი შეუშალონ ბიძინა ივანიშვილს, რომ მან გაატაროს წარმატებული პოლიტიკა დასავლეთთან ინტეგრაციის მიმართულებით. ხელი შეუშალონ ბატონ ბიძინას, რომ მან ყინული დაძრას რუსეთთან მიმართულებით და მინდა გითხრათ, რომ ნაწილობრივ ისინი ამას ახერხებენ. რაც შეეხება შიდა პოლიტიკურ ვითარებას, მათ მოახერხეს სწორედ ის, რომ თვითონ მთავარი პროცესი, რომელიც იყო ჩვენი მოსახლეობის ყურადღების ცენტრში, რომელსაც ყველაზე მეტად უკავშირდებოდა ჩვენი მოსახლეობის მოლოდინი, კერძოდ კი სამართლიანობის აღდგენის პროცესი, გაებითურებინათ. ეს იყო მათი მიზანი და ჯერჯერობით ნაწილობრივ მოახერხეს. ჩვენ ვხედავთ, რომ სამწუხაროდ, ეს პროცესი ვერ მიდის წინ. გარდა იმისა, რომ დაკითხვებზე იბარებენ უამრავ ადამიანს, ამ დაკითხვებზე დაბარების იქით ვერაფერი ვერ მიდის. სააკაშვილის რეჟიმის ერთადერთი წარმომადგენელი, ვინც არის დაპატიმრებული, ეს არის ბაჩო ახალაია და სხვა არავინ. ხომ ეგრეა? დანარჩენი მიდის რა პროცესი? ეს არის პროკურატურაში დაბარებები, გაუთავებელი დაკითხვები, საქმის აღძვრა, შემდეგ მიჰყავთ სასამართლოზე, სასამართლო კი გირაოთი უშვებს, ან უკვე ისე ათავისუფლებს, რომ გირაოსაც აღარ უფარდებს და იცით, მოსახლეობის თვალში ეს პროცესი გახდა არასერიოზული. არასერიოზული ხასიათი მიიღო ყველაფერმა ამან.

*— ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდება ნაციონალური მოძრაობის მხრიდან?*

— რა თქმა უნდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ნაციონალური მოძრაობისათვის, რომ მომხდარიყო ამ პროცესის გაბითურება. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ ამ მხრივაც დღევანდელ ხელისუფლებას არაფრის გაკეთება არ შეუძლია. უფრო მეტიც, ვინც წასულები იყვნენ, ისინიც ნელ-ნელა უკან ბრუნდებიან. აი, პირველი მერცხალი იყო შაშკინი. თავისი დაბრუნებით მან აჩვენა, რომ ჩვენ არაფრის არ გვეშინია. აი, ეს არის ნაცმოძრაობის სტრატეგია, რომ მათ შეინარჩუნონ თავიანთი აქტუალობა რაც შეიძლება დიდხანს, შეინარჩუნონ ერთიანობა, შეინარჩუნონ თავიანთი ქსელი, ფული დიდი აქვთ და დაელოდონ ხელსაყრელ მომენტს. ვიმეორებ, აქამდე ნამდვილად ჰქონდათ მათ ეგეთი აზრები, სააკაშვილსა და მის ვიწრო გარემოცვას, რომ ხომ არ გამოეყენებინათ ეს კონსტიტუციური უფლებამოსილება, მთავრობის დათხოვის, პარლამენტის დათხოვნის და ახალი მთავრობის დანიშვნის, მაგრამ ახლა უკვე ნაკლებად ფიქრობენ ასეთი ბერკეტის გამოყენებაზე, მას შემდეგომ, რაც გახმაურდა მათი მზაკვრული გეგმები, თუმცა სიტუაციის გართულების შემთხვევაში მათგან გამორიცხული არაფერი არ არის. ჯერჯერობით ისინი მიჰყვებიან მოვლენებს, მათი სტრატეგია არის, რომ შეინარჩუნონ აქტუალობა და გაუთავებელი დებატების ჭაობში ჩაითრიონ არსებული ხელისუფლება და შეუქმნან მუდმივი პრობლემები და გამუდმებულ შანტაჟში ამყოფონ.

## შინაგან საქმეთა მინისტრმა მესაზღვრეებს პროფესიული დღე პირადად მიულოცა

სასაზღვრო პოლიციის მე-3 სამმართველოში, წითელ ხიდზე, გუშინ მესაზღვრეების პროფესიული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.



მესაზღვრეებს პროფესიული დღე შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პირადად მიულოცა.

საიუბილეო ღონისძიებაზე, სასაზღვრო პოლიციის 42 მოსამსახურე და მესაზღვრე, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო უწყების განვითარების საქმეში თავი გამოიჩინეს, მედლებით, სამკერდე ნიშნებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. 12 მესაზღვრეს კი, ირაკლი ღარიბაშვილმა „მინისტრის სიგელი“ გადასცა.

თავის მხრივ, სასაზღვრო პოლიციის დირექტორმა, პოლკოვნიკმა კობა ბოჭორიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრს „საპატიო მესაზღვრის“ სამკერდე ნიშანი გადასცა.

ღონისძიებას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლები, ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პირები, ასევე ევროკავშირის, გაეროს განვითარების, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის და საქართველოში ნატოს ოფისის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მესაზღვრეების პროფესიული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ფოთში, სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტშიც გაიმართა. სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა, დაღუპული მეომრების ხსოვნის პატივსაცემად, შავ ზღვაში კატარღებით შეცურეს და ზღვაში გვირგვინი ჩაუშვეს. ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

მესაზღვრეების პროფესიული დღე საქართველოში 14 წელია აღინიშნება.

ნიუსპრესი

## თეა წულუკიანი საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს შეხვდა

იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა გუშინ, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრას, საქართველოში აკრედიტებული თითქმის ყველა ელჩი დაესწრო. მინისტრი დიპლომატებს, ქვეყანაში, სამართლის სფეროში უკვე განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებზე ესაუბრა.

წულუკიანის თქმით, ის ელჩებს, სასამართლო რეფორმის, სისხლის სამართლის კოდექსში ინიცირებული ცვლილებების და შრომის ახალი კოდექსის შესახებ ესაუბრა.

„მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისია და მისი საქმიანობა, ბიზნესისათვის წართმეული ქონების დაბრუნების მექანიზმები, დანაშაულის პრევენციის კუთხით გასატარებელი რეფორმები და საპროცესო გარიგების ინსტიტუტი, — თითოეული ამ საკითხთაგანი, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხოელი დიპლომატების სწორი და დროული ინფორმირება სამართლებრივ სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ“ — განაცხადა თეა წულუკიანმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

იუსტიციის მინისტრის თქმით, ის დიდი ხანია ელჩებთან შეხვედრას გეგმავდა, თუმცა ამის საშუალება მხოლოდ დღეს მიეცა.

მინისტრი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს დაჰპირდა, რომ მსგავსი შეხვედრები რეგულარულ ხასიათს მიიღებს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# საააკაშვილი მთავრობას ველარ დაითხოვს

## პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები პირველი მოსმენით მიიღო

შორენა მარსაგიშვილი

სრულიად საქართველოს ყურადღება გუშინ სავარდო და სამაისო ქუთაისისკენ იყო მიპყრობილი. საკანონმდებლო ორგანო საკონსტიტუციო ცვლილებებს პირველი მოსმენით განიხილავდა. კონსტიტუციაში ცვლილებების მეტი რა შესულა, მაგრამ ამ ცვლილებებს სხვა მიზანი და სხვა დატვირთვა აქვს. გარდა იმისა, რომ ამ ცვლილებებით პრეზიდენტის უფლებები იზღუდება, იმის გარკვევაც შეიძლებოდა რას წარმოადგენენ ნაცმოძი და ოცნება.

მეოცნებეები კარგა ხანია ამტკიცებენ რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო ხმები აქვთ. ნაციონალები კი საპირისპიროს ამბობენ. 2 დღის წინ პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა აღიარა, რომ ცვლილებები ნაცმოძის მხარდაჭერის გარეშე ვერ გავიდოდა.



ცვლილებებისთვის მხარდაჭერისკენ ნაციონალებს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმაც რამდენჯერმე მოუწოდა. ნაცმოძი ცვლილებების მხარდასაჭერად რამდენიმე პირობას აყენებდა. თავიდან თქვეს მხარს დაგიჭერთ თუ საგარეო კურსის უცვლელობაზე ჩაწერთ კონსტიტუციაშიო. მერე სააკაშვილმა მეოცნებეებს ხმების სანაცვლოდ ნაციონალთა სრული ამნისტია მოსთხოვა. ბოლო მოთხოვნა კი სამიოდე დღის წინ დააყენეს. საპარლამენტო უმცირესობამ სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარება მოსთხოვა უმრავლესობას. მეოცნებეებმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადეს.

როგორც მოსალოდნელი იყო გუშინდელ სხდომაზე მწვავე განცხადებები მრავლად გაკეთდა.

– ის ფორმა რა ფორმითაც დღეს ჩვენ კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს განვიხილავთ არ არის ნორმალური ფორმა. ჩვენ სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარებას ვითხოვთ. ეს კენჭისყრა უმცირესობისა და უმრავლესობას შორის არსებულ ურთიერთობის ფორმას და რიტორიკას შეცვლის. ის ფორმა რა ფორმითაც დღეს ჩვენს კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს განვიხილავთ არ არის ნორმალური ფორმა. იმიტომ, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში პროცესები მიმდინარეობდა აგრესიისა და ძალადობის ფონზე, სწორედ ამიტომ, დავტოვეთ სახალხო განხილვები. ჩვენ გვინდა ისეთი პარლამენტი, სადაც უმრავლესობა რა ემუქრება უმცირესობას და არ ეუბნება, რომ ჩვენ გადავიბირებთ თქვენს მხარდამჭერებს. ჩვენ ვითხოვთ არსებული რიტორიკის შეცვლას და იმისთვის, რომ ამ ყველაფერს დავუსვათ წერტილი. მოდით ჩავატაროთ სარეიტინგო კენჭისყრა და დავადასტუროთ ჩვენი რეალური ძალა, ერთის მხრივ უმრავლესობამ, მეორეს მხრივ ოპოზიციამ. ჩავატაროთ სარეიტინგო კენჭისყრა იმისთვის, რომ მოვხსნათ გადაბირებულის სახელი თითოეულ დეპუტატს, იმიტომ, რომ როდესაც გადაბირებაზე საუბრობენ თითოეულ მათგანს აქვს შეგრძნება, რომ მას გულისხმობენ და მას ადანაშაულებენ, – განაცხადა ნაციონალმა პავლე კუბლაშვილმა.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, ზაქარია ქუცნაშვილის მტკიცებით, მმართვლი გუნდის მიზანი სულაც არ არის სისუსტისა და გადაბირების დემონსტრირება.

– სამწუხაროდ კითხვა ისმის ასე – ინიციატივის მხარდაჭერა ეს ხომ არ იქნება ნაციოანელბის სისუსტის გამოვლენა?! ჩვენი მიზანი სისუტისა და გადაბირების დემონსტირება, რომ ყოფილიყო, ჩვენ უმცირესობიდან წამოსული 12 დეპუტატის გადაწყვეტილებას ზარზეიმად ვაქცევდით. ჩვენი მიზანია, არა ნაციონალების განადგურება, არამედ ხალხის წარმომადგენლებისთვის იმ უფლების დაბრუნება, რასაც მთავრობის დამტკიცება ჰქვია. მეორე ჩვენი მიზანია, თანამშრომლობის ასპარეზის შექმნა მხარეებს შორის, თუმცა ისეთის, რომელსაც საფუძვლად პოლიტიკური გარიგება არ უდევს. გადაბირებული ავლმოჩნდები ეს ტერმინი არის სამხედრო ტერმინი, რომელიც მოღალატე ადამიანებთან ურთიერთოებებში გამოიყენება და ვინც ხმას მისცემს სამართლიანობის აღდგენას ის არ არის მოღალატე, არამედ ის არის ადამიანი რომელიც სამართლიანობის მომხრეა, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

ქუცნაშვილის შემდეგ სიტყვა აკაკი ბობოხიძემ წარმოსთქვა. ბობოხიძე როგორც ყოველთვის ემოციური იყო. იმდენად აღელდა რომ უმრავლესობა და უმცირესობა თხებს შეადარა.

– პრემიერი ხშირად მოგვიწოდებს, რომ რიტორიკა შევიცვალოთ, ჩვენ არ გავქვს გადაწყვეტილებების შესრულების საშუალება, განსხვავვებით თქვენგან, ამიტომ მოგიწოდებთ, რომ რიტორიკა თქვენ შეცვალოთ. ერთის მხრივ, ამბობთ, რომ ცვლილებები მნიშვნელოვანია და მეორე მხრივ კი ამბობთ, რომ ამას მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახის დემონსტრირებისთვის და იმისთვის, რომ ცოდვები ჩამოვირეცხოთ. ჩემს წარსულზე უარის თქმას და ჩემი წარსულის გამო ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ. თქვენი საქციელი ცუდ ანეკდოტს მაგონებს – კაცს ეკითხებიან რატომ გიკიდია ხანჯალიო? -შეურაცხყოფა რომ არ მომაყენონო. სამწუხაროა, რომ საქართველომ ვერაფერი ისწავლა იგავ-არაკისაგან, როცა ორი თხა ერთმანეთს ხიდზე ხვდება და ორივე წყალში რომ გადავარდება. ისინი წყალში გადაცვივდნენ, რადგან ორივე თხა იყო. ბევრჯერ, ხიდიდან ჩვენს გადავარდნას ქვეყანა გადაყვა და მოგიწოდებთ, რომ ხიდზე ვდგავართ და მოგიწოდებთ რომ ქვეყნას ვიწრო ხიდზე ნუ გავიყვნათ, – განაცხადა ბობოხიძემ.

მის საპასუხოდ განცხადება დეპუტატმა გიგა ბუკიამ გააკეთა. უმრავლესობამ ბუკია ამ გამოსვლისთვის ტაშით დააჯილდოვა.

– ჯიუტი თხასავით უმრავლესობა კი არა თქვენ იქცევით ასე, ნაციონალური მოძრაობა სარეიტინგო კენჭისყრით ერთობის ხელოვნურად დაფიქსირებას ცდილობს.

ერთხელ იმ თხის ადგილას დიდხანს იდექით და ახლაც იმ ადგილას გიწევთ დგომა. ეს არის რეალობა, მაგრამ უბედურება იცით რა არის? იმ თხის ადგილას მიხეილ საკაშვილი დგას და თქვენ კიდევ უკნიდან აწვებით. თქვენთან არც ერთთან არ მაქვს პრობლემა. თქვენ შინაგანად არცერთი არ ხართ ამისთვის განწყობილი, მაგრამ არიან ერთეულები, მაგალითად სერგო რატიანმა თავისი გესლით, რომელიც გამოსვლისას გადმოანთხია დავალება ხუთიანზე შეასრულა. თქვენგან განსხვავებით არ ვაპირებთ იმის გაზომვას, ვის როგორი რეიტინგი და წნევა აქვს. ეს გაზომილია, თქვენ რაოდენობრივად 53 ხართ, მაგრამ ეს არ არის რეალური რიცხვი. მაინტერესებს სად არის პეტროსიანი, რომ ჩასვით თვითმფრინავში და გაამგზავრეთ ხმა, რომ არ მიეცა ცვლილებებისთვის. მე ვიცი, რომ არ უმცირესობის დიდი ნაწილი თხის ადგილას ყოფნას არ აპირებს. როდესაც რიტორიკის შეცვლისკენ მოგვიწოდებთ, შემთხვევით 2003 წლიდან წამოსულ რიტორიკაზე ხომ არ მეტყვით რამეს, ან პრეზიდენტის რიტორიკაზე. კდემამოსილი სახით არის ევროპისკენ, ჩვენსკენ შემობრუნდება და ერთი გინებაზე არ გადადის თორემ ყველაფერს აკეთებს. კრუხივით, რომ დაგფოფინებთ თავზე, არიქა რომელიმე უმცირესობის წევრი სადმე არ წავიდეს. თქვენ ხომ კარგად იცით, რომ ასეთი ქმედებები მხოლოდ მიხილ სააკაშვილს სჭირდება. გამოდიხართ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ირაკლი ალასანია: „სამხედრო პოლიციაში მინი შსს იყო შექმნილი!“

შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია პარლამენტს ესტუმრა. ირაკლი ღარიბაშვილისაგან განსხვავებით, ის უმცირესობას არ დაუბარებია. ალასანია თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის სხდომას დაესწრო, სადაც უმცირესობისა და უმრავლესობის კითხვებს უპასუხა.**

ალასანიას მიმართ ბოლო დროს რამდენიმე კითხვის ნიშანი გაჩნდა. ამ კითხვებს მინისტრმა ასე თუ ისე გასცა პასუხი. მერე საქმეში ირაკლი ოქრუაშვილი ჩაერთო და ახალი სკანდალით გაგვანებივრა. ოქრუაშვილის განცხადებით, მას თავდაცვის სამინისტროდან გამოგზავნილი ვირუსებით დაუზიანეს კომპიუტერი და მისი საუბრების მოსმენა ხდებოდა. ყოფილი მინისტრი ამტკიცებს, რომ მის საუბრებს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უსმენდნენ. ირაკლი ალასანიას გუშინ ამ ბრალდებაზეც მოუხდა საუბარი. დეპუტატები ძალიან დაინტერესდნენ, მართლა უსმენდა თუ არა ალასანიას ხალხი ტკბილად მოუბარ ოქრუაშვილს.

– ამ საკითხს გამოძიება შეისწავლის და პროკურატურა დაადგენს. წინა ხელისუფლების პირობებში კი პოლიტიკური ოპონენტების მოსმენა ჩვეულებრივი ამბავი იყო და ეს საზოგადოებისთვისაც არის ცნობილი, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

სხვათა შორის, მინისტრად დამტკიცების შემდეგ ალასანიამ განაცხადა, რომ სამხედრო პოლიცია უკანონო მოსმენებს ახორციელებდა. მან იქვე ისიც დააყოლა, აწი არავის მოვუსმენთო, თუმცა ოქრო საპირისპიროს ამტკიცებს.

– კიდევ ერთი საინტერესო საქმე, რომელზეც პროკურატურაში გასულ კვირას ვიყავი – ეს არის უკანონო მოსმენების საქმე, სადაც, მგონი, პროკურატურა აპირებს, დაზარალებულად მცნოს იმის გამო, რომ ჩემი კომპიუტერის მეშვეობით ისმინებოდა ჩემი საუბრები საფრანგეთში უკვე მთავრობის ცვლილების, პირველი ოქტომბრის შემდეგ, ოქტომბერ-ნოემბერში სრულად. ეს კეთდებოდა თავდაცვის სამინისტროდან გამოგზავნილი ვირუსებით სამხედრო პოლიციის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ, რომელიც ახალი დანიშნული იყო ახალი ხელისუფლების პირობებში. მე თვითონ ძალიან მაინტერესებს, ვინ იყო ამის ინიციატორი – ამას აკეთებდა თავისი ინიციატივით, რაც მე, მაგალითად, არ მჯერა, თუ ვინმეს დავალებით? – განაცხადა 15 მარტს „იმედის“ ეთერში ოქრუაშვილმა.

სამხედრო პოლიციაში არსებულ ვითარებაზე მინისტრმა გუშინაც ისაუბრა და განაცხადა, რომ ამ სტრუქტურაში მინი შსს იყო შექმნილი.

– სამხედრო პოლიცია იყო პირველი, რისი რეფორმირებაც დავიწყეთ. მინი შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო შექმნილი თავისი რესურსებით, რაც აბსოლუტურად არ სჭირდებოდა სამხედრო პოლიციას. რეფორმირების პროცესი არ შეჩერდება. ჩვენ უარი ვთქვით იმ ოპერატიულ-ტექნიკური შესაძლებლობების ჩვენს გამგებლობაში არსებობაზე და გადავეცით შს სამინისტროს სპეციალურ სტრუქტურას. სამხედრო პოლიციას ჰქონდა სამხედრო მზადყოფნის შემოწმების ფუნქციაც, რაც საერთოდ წარმოუდგენელი და გაუგონარი სისტემა იყო. ეს გამიზნული იყო იმისკენ, რომ ჰქონოდათ ოფიცრებსა თუ სხვა სამხედრო პირებზე ზემოქმედების მექანიზმები, – განაცხადა ალასანიამ.

კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე ალასანიამ გაცილებით საინტერესო საკითხებზეც ისაუბრა. დეპუტატების ერთ ნაწილს აინტერესებდა, რა საგარეო საფრთხეები და გამოწვევები დგას საქართველოს წინაშე. მინისტრი ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ სოჭის ოლიმპიადის დროს ტერაქტების შესაძლო მოწყობას ასახელებს.

რამდენიმე ჩერქეზულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დადო პირობა, რომ რუსებს სოჭში ოლიმპიადას არ ჩაატარებინებენ. რუსეთის სპეცსამსახურებსაც არაერთხელ გაუკეთებიათ განცხადება, რომ გარკვეულმა ძალებმა შესაძლოა ტერაქტები მოაწყონ.

– საფრთხედ რჩება უკვე დაგეგმილი ოლიმპიადის წინააღმდეგ ტერორიზმის შესაძლო, პოტენციური საფრთხე. აქედან გამომდინარე, შსს-სთან ერთად გვაქვს ძლიერი კომპლექსური ურთიერთქმედება, რომ ყველა მოსალოდნელი საფრთხე საქართველოს ტერიტორიაზე და მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაქსიმალურად იყოს გათვლილი. მუშაობა მიმდინარეობს იმაზე, რომ საფრთხის პრევენციაში საქართველო რეგიონის ქვეყნებთან ერთად ჩაერთოს, – აცხადებს ალასანია.



მისი განცხადებით, თავდაცვის დოქტრინა და ანალიზი მიანიშნებს, რომ საქართველო უნდა იყოს მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში.

– ამ კუთხით მუდმივად მოწმდება შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა და ასევე იდგმება კონკრეტული ნაბიჯები. ბოლო ერთი წლის განმავლობაში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ჩვენი სადაზვერვო მონაცემებით, პრაქტიკულად, ვითარება არ შეცვლილა. ვიტყოდი, მძიმდება იმით, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში დამატებითი საფორტიფიკაციო და საიერიშო ნაგებობები და ბაზები ჩნდება როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონში. აქედან გამომდინარე, თავდაცვის მთელი დოქტრინა და ანალიზი მიანიშნებს, რომ საქართველო უნდა იყოს მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში. ჩვენი მთავარი ამოცანაა როგორც სტრუქტურული რეფორმებისა და სამოქალაქო კონტროლის განხორციელება, ასევე, პირველ რიგში ის, რომ მუდმივ შეიარაღებულ მზადყოფნაში გვყავდეს ჩვენი შეიარაღებული ძალები. მუდმივად ვამოწმებთ საბრძოლო მზადყოფნას და ვდგამთ ამ კუთხით კონკრეტულ ნაბიჯებსაც, რომელიც, თუ აუცილებლობა გაჩნდება და შეკითხვები იარსებებს, უფრო დეტალურად შეიძლება აგიხსნათ დახურულ ფორმატში. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის თაობაზე დაწყებულმა მოლაპარაკებებმა სამხედრო მოქმედებების განახლების შესაძლებლობა უფრო შეამცირა, – აღნიშნა მინისტრმა.

საპარლამენტო კომიტეტში გამოსვლისას ალასანიამ მის სამწყსოში არსებულ ელიტური კორუფციის ფაქტებზეც ისაუბრა. უკანასკნელ პერიოდში სამხედრო უწყებამ არაერთი ასეთი ფაქტი გამოამზეურა.

– წლების განმავლობაში ელიტური კორუფცია თავდაცვის სამინისტროში ხშირად ვლინდებოდა. თავდაცვის სამინისტროს ხარჯმა ბოლო წლების განმავლობაში 8 მილიარდი ლარი შეადგინა, თუმცა მხოლოდ ორი სამაგალითო ბაზა შეიქმნა, დანარჩენებში კი ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პრობლემებია. დაიხარჯა 8 მილიარდი, თუმცა რეალურად ვხედავთ იმ პრობლემებს, რომლებიც დაგხვდა. გამოძიება დაადგენს, იყო თუ არა ეს თანხა სწორად და მართლზომიერად დახარჯული. არის ფაქტები, რომ უხარისხო ჯავშანჟილეტებსა და იარაღში დიდი რაოდენობის ფულია გადახდილი. სამხედრო ქვედანაყოფებში 16 ძირითადი სახის პრობლემა აღმოჩნდა. ეს პრობლემები გამოიხატება იმით, რომ შენობა-ნაგებობების დიდი ნაწილი საჭიროებს დაუყოვნებლივ რემონტებს. იყო მეოთხე კატეგორიის თეთრეული და ბალიშები და ისიც არასრული. მოუწყობელია საკუჭნაოები, საკლასო ოთახებში არ იყო საკმარისი მერხები და ა.შ. ჩვენ ახლა ვმუშაობთ ამ პრობლემების აღმოფხვრაზე, – განაცხადა ალასანიამ.

მინისტრის განცხადებით, წინა ხელისუფლების დროს პოლიტიკური მიზნებისთვის ხშირად იყენებდნენ შეიარაღებულ ძალებს. მისი თქმით, თავდაცვის სამინისტრომ ლილოს ბაზრობიდან წამოიღო დიდი რაოდენობის სატელიტური ანტენები, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 141 616 ლარს. ეს იმ პერიოდში მოხდა, როცა ნაციონალები თეფშებსა და ანტენებს ებრძოდნენ.

მინისტრმა გახმაურებული ჯავშანჟილეტების საქმეც გაიხსენა. ცოტა ხნის წინ სამხედრო უწყებამ გვამცნო, რომ ძველ ხელისუფლებას უკრაინაში უვარგისი ჯავშანჟილეტები შეუძენია. ალასანიას თქმით, ეს ჟილეტები ჩააცვეს ჯარისკაცებს და გაუშვეს ავღანეთში.

– არჩევნების პერიოდში თავდაცვის სამინისტრომ რატომღაც შეიძინა 25 000 ცალი მობილური ტელეფონის სიმბარათი. რაში სჭირდებოდათ და რატომ უნდა დახარჯულიყო მასში სახელმწიფო თანხები, ვერ ვხვდები. ბარათები ჩააბარეს სამხედრო პოლიციის ოპერატიული უზრუნველყოფის სამსახურს და შეიკრიბა ორმოცკაციანი ჯგუფი, რომლებიც ფეისბუქზე ალაიქებდნენ მათი პოლიტიკური ძალის გვერდს. ასეთი რაღაცები ხდებოდა და ამ უხერხულობას ვერ გაექცევა ძველი ხელისუფლება. დღეს უკვე წინ უნდა გავიხედოთ, სასამართლო ობიექტურად გამოიტანს განაჩენს. ჩვენი მთავარი ამოცანაა, საქართველო მომზადებული იყოს საფრთხეებთან გასამკლავებლად და ამისთვის ყველაფერს აკეთებს თავდაცვის სამინისტრო, – განაცხადა ალასანიამ.

მან დეპუტატებს ერთი ახალი ამბავიც ახარა. მისი თქმით, თავდაცვის სამინისტრო ძვირადღირებული სატრანსპორტო საშუალებების იაფად შესანახი ავტომანქანებით ჩანაცვლებას გეგმავს.

– საუბარია, საერთო ჯამში, 2 მილიონი ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალებების სხვა საშუალებებით ჩანაცვლებაზე. ფინანსების გამჭვირვალედ ხარჯვამ უკვე მნიშვნელოვანი დანაზოგი მოუტანა თავდაცვის სამინისტროს. მაგალითად, 11,4 მილიონი ლარის სავარაუდო ღირებულების მომსახურება 9,5 მილიონ ლარად შევისყიდეთ. მიღებულმა ეკონომიამ მხოლოდ წელს 1,9 მილიონი ლარი შეადგინა. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს შესაბამის პროცედურებს ბალანსზე რიცხული, ძვირადღირებული ავტოსატრანსპორტო შესაძლებლობების სხვა საშუალებებით ჩანაცვლების მიზნით, რომლის ექსპლუატაცია და შენახვა ბევრად იაფი დაუჯდება სახელმწიფოს, – განაცხადა ალასანიამ.

საკომიტეტო მოსმენაზე მინისტრმა საგარეო ამოცანებზეც ისაუბრა. მისი თქმით, საქართველოს მთავარ მიზანს ისევ ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს.

– ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობების კურსი და ევროინტეგრაცია რჩება ჩვენს მთავარ საგარეო ამოცანად. ამ კუთხით ბევრი რამ იქნა გაკეთებული წინა ხელისუფლების დროს, ჩვენ ვაგრძელებთ ამ კურსს და ახალ რეალობაში უფრო ვაღრმავებთ ურთიერთობას ნატოელ პარტნიორებთან. ნატოში ჩემი ვიზიტის დროს კიდევ ერთხელ გაკეთდა აქცენტი, რომ ავღანეთიდან წამოსული ტვირთების ერთ-ერთი მარშრუტი იყოს საქართველო, – განაცხადა ალასანიამ.

# ვლადიმერ ტაბაღუა: „ბაჩო ახალაიას ადგილი გლდანის ციხეშია“

გულიკო ბალაძე

**რა ვითარებაა დღეს სასჯელაღსრულების სისტემაში, რა პრობლემები აქვს ამ სისტემას და ახალ ხელმძღვანელობას. სწორი არის თუ არა ბაჩო ახალაიას გლდანის ციხეში გადაყვანა, ამის შესახებ საუბრობს სასჯელაღსრულების ერთ-ერთი დაწესებულების ყოფილი ხელმძღვანელი, ადვოკატი ვლადიმერ ტაბაღუა.**



***— ბატონო ვლადიმერ, თქვენი ინფორმაციით, რა ვითარებაა დღეისათვის სასჯელაღსრულების სიტემაში?***

— ის ვითარება, რაც იყო სასჯელაღსრულების სისტემაში ნაციონალების დროს, აღარ არის, რა თქმა უნდა, შეიცვალა. პატიმრების წამებისა და მოპყრობის საშინელი ვითარება წარსულს ჩაბარდა. დარღვევებს ადგილი არ აქვს. სამინისტრომ და დეპარტამენტმა საკმაო სამუშაოებიც ჩაატარეს მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. პატიმრების კვება, სამედიცინო მომსახურება გაუმჯობესდა. ამოქმედდა ვადაზე ადრე გათავისუფლების ინსტიტუტი, რომელიც სააკაშვილის დროს უმოქმედო იყო. ვადაზე ადრე იშვიათად თუ ვინმეს გაათავისუფლებდნენ. ამოქმედდა ასევე ე.წ. აქტიროვკა“ — მძიმე ავადმყოფების გათავისუფლება, რაც მისასალმებელია. მიუხედავად აღნიშნულისა, სასჯელაღსრულების სისტემაში მდგომარეობა მაინც რჩება რთული და მძიმე.

***— რატომ, რა იწვევს სიტუაციის სირთულეს?***

— სირთულეს იწვევს კადრების დეფიციტი და გამოუცდელობა სამინისტროსა და დეპარტამენტში. ახალი კადრები ძირითადად ინიშნებიან პოლიციის ორგანოებიდან და ზოგიც — პროკურატურიდან. სასჯელაღსრულების დაწესებულება ურთულესი სისტემაა. ეს სისტემა ახალმა კადრებმა არ იციან. სასჯელის აღსრულების პროცესის მართვა ძალიან ცუდად ხდება. ამის გამო, შესაძლებელია, მომავალში, ისე, როგორც ახლა ნაციონალები იძახიან, ციხეში უწესრიგობა მივიღოთ.

***— რა სახის უწესრიგობა შეიძლება მივიღოთ ციხეში და რამ შეიძლება გამოიწვიოს?***

— უწესრიგობა შეიძლება გამოიწვიოს ერთმა გარემოებამ — წლების განმავლობაში ციხეში ადამიანებს აწამებდნენ, სიტყვის თქმის უფლება არ ჰქონდათ. დღეს მთელი პრესა, საზოგადოება, სამინისტრო ფეხზე დგას, რომ პატიმრის უფლებები არ დაირღვეს. პატიმრის უფლებებები არ უნდა დაირღეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პატიმარი არ ასრულებდეს იმ შინაგანაწესს, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

***— დღეს პატიმრები არ ასრულებენ შინაგანაწესის მოთხოვნებს?***

— უბედურება ისაა, დღეს პატიმრებმა იგრძნეს თავისუფლება და ამოისუნთქეს, მაგრამ ამას სათავისოდ იყენებენ. არსებობენ სხვადასხვა კატეგორიის პატიმრები. არიან დადებითი ორიენტაციისა და უარყოფითი ორიენტაციის პატიმრები.

***— რას ნიშნავს დადებითი და უარყოფითი ორიენტაცია?***

— უარყოფითი ორიენტაციის პატიმარია ის, ვინც არ ემორჩილება დადგენილი კანონის ნორმებს — ეს არის პედაგოგიურად მიშვებული ადამიანი. დადებითი ორიენტაციისაა პატიმარი, რომელიც არასოდეს არაფერს არ დაარღვევს. დღეს ციხეში უარყოფითი ორიენტაციისა და ქურდული მენტალიტეტის პატიმრებმა თავი წამოყვეს, რომლებიც თანამშრომელთა დაბეზღებით არიან დაკავებული. ეს უარყოფითი ორიენტაციის პატიმრები აბეზღებენ თანამშრომლებს. სულ ტყუილად შეიძლება განცხადება დაწერონ, რომ თანამშრომელმა შეაგინა. შემდეგ ამ თანამშრომლებს საკითხის ძირფესვიანად შესწავლის გარეშე ყრიან სამსახურიდან. ასე წესრიგი არ დამყარდება. არიან ასეთი პატიმრები, რომლებიც არ ასრულებენ შინაგანაწესს. 2000 პატიმარში უარყოფითი ორიენტაციის შეიძლება იყოს 200-300-მდე კაცი, რომლებიც ურჩობენ, არ უნდათ, შეასრულონ ციხის შინაგანაწესი. მათ თავისუფლება იგრძნეს და შეიძლება დადებითი პატიმრებიც აიყოლიონ. ამ დროს უარყოფით პატიმარს პასუხს არ სთხოვენ, ხოლო ციხის თანამშრომლებს ხმის ამოღების საშუალება არ აქვთ. თუ მანამდე პატიმრები იყვნენ ჩუმად, ახლა თანამშრომლებს არ აქვთ ხმის ამოღების უფლება. ეს არის ციხის არასწორი მართვა. ამათ მართვა არ შეუძლიათ. ამის თაობაზე სოზარ სუბარს არაერთხელ მივწერე.

***— კონკრეტულად, მართვა ვის არ შეუძლია?***

— სასჯელაღსრულების დაწესებულებების დირექტორებსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას არ შეუძლიათ სასჯელაღსრულების პროცესის მართვა და მისი ორგანიზება.

***— სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე აქამდე ხასია ხომ იყო?***

— იყო და გაათავისუფეს.

***— ახლა ვინც დანიშნეს, ის ვერ მართავს?***

— პროკურატურიდან მოიყვანეს ღურწკაია, რომელმაც სასჯელაღსრულების სისტემა საერთოდ არ იცის. ნებისმიერი თანამშრომელი, შესაძლებელია, ძალიან პატიოსანიც არის და დალაგებულიც, მაგრამ სასჯელაღსრულების სისტემა განსხვავდება ყველა სისტემისაგან. თუ არ გააჩნია გამოცდილება და ცოდნა სისტემის მართვისა, ვერაფერს გააკეთებს. სანამ ისინი ისწავლიან, ციხე თავზე დაემხობათ. სოზარ სუბარს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს არ ჰყავთ მრჩევლები, რომლებიც ურჩევენ, რა უნდა გაკეთდეს.

***— თვითონ ის ხასია როგორ მართავდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს?***

— ხასიას ჯერ მუშაობა არ ჰქონდა ხეირიანად დაწყებული და როგორ უნდა ემართა? ერთ-ორ თვეში რა უნდა გაეკეთებინა? სასჯელაღსრულების სისტემაში კოლოსალური საქმეა გასაკეთებელი, რომელსაც ესენი ვერ აკეთებენ და არ აკეთებენ არცოდნის გამო. სამწუხაროდ, ტვინი, გონება და პრაქტიკული გამოცდილება ახალ კადრებს არ გააჩნიათ.

***— სასჯელაღსრულების სისტემაში თუკი არ იმუშავა, როგორ უნდა მიიღოს გამოცდილება?***

— გამოცდილების გაზიარება შეუძლიათ ძველ კადრებს. ამ სისტემიდან დათხოვნილია 3-4 ათასი კაცი. მათგან 15 კაცი ვერ შეირჩა.

***— ადრინდელ კადრებზეა საუბარი?***

— დიახ. ადრინდელი კადრებიდან ყველა ცუდი კი არ იყო. მაშინ დავხოცოთ ყველა. მაგალითად, მთელი სასჯელაღსრულების სამინისტრო, დეპარტამენტი და დაწესებულებების დირექტორები იმას ვერ გააკეთებენ, რასაც მე გავაკეთებ. ძველ კადრებში იყვნენ პატიოსანი ადამიანებიც, საქმის კარგი მცოდნე მუშაკები. მათ შორის, შეარჩიონ 15 დაწესებულების 15 თანამშრომელი და აიყვანონ დირექტორების კონსულტანტებად ან მრჩევლებად. შეიძლება ამ ადამიანებმა ტრენინგები ჩაატარონ. ქუჩიდან რომ მოიყვან და კაბინეტში დასვამ, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, რა მითითება მისცეს თანამშრომელს, საქმეს როგორ გააკეთებს. თანამშრომელმა კანონი უნდა იცოდეს.

***— პოლიციიდან და პროკურატურიდან მოყვანილმა კადრებმა კანონები არ იციან, ან მოკლე ხანში ათვისება არ შეუძლიათ?***

— სასჯელაღსრულების სისტემას გააჩნია თავისი ინსტრუქციები, ნორმატიული აქტები, მინისტრის ბრძანებები და სასჯელაღსრულების კოდექსი — პატიმრობის კოდექსი, რომელიც არის გადასამუშავებელი. სუბარს და მის მოადგილეებს ვერ გაურკვევიათ, რომ საჭიროა, გაიმიჯნოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ფუნქციები. მათ უნდა ჰქონდეთ თავთავიანთი დამოუკიდებელი სტატუსი, რომ ის არის იურიდიული პირი და აქვს თავისი ფუნქცია. დღეს ყველაფერი იმართება სამინისტროდან. ასეთი მართვით, თანამშრომლების არასწორი გათვლით და პატიმრების მხრიდან თანამშრომლების დაბეზღებით, ციხეში წესრიგს ვერ დაამყარებენ. ადგილზე სასჯელაღსრულების პროცესი მოიცავს სხვადასხვა ურთულესი მოქმედებების ჩატარებას, პატიმრებთან სხვადასხვა ფორმით მუშაობას.

***— რა ფორმის სამუშაო უნდა ჩატარდეს პატიმრებთან?***

— არის სხვადასხვა სოციალური პროგრამები. 8 წლის განმავლობაში პატიმრებთან არავითარი მუშაობა არ ჩატარებულა, გარდა ცემისა და გაუპატიურებისა. დღესაც იგივეა.

***— დღესაც იგივეაო, რომ აცხადებთ, დღესაც სცემენ?***

— დღეს პატიმარს არ სცემენ. ეს არის გამორიცხული. ის საშინელებები, რაც იყო 8 წლის განმავლობაში, აღარ არის, მაგრამ პატიმარი რომ შედის დაწესებულებაში, არ უნდა გააგებინო, რა შედის მის უფლებებში, რა შედის მის მოვალეობაში.

***— ვინ უნდა ასწავლოს ეს პატიმარს?***

— საკნებში უნდა იყოს გამოკრული პატიმრის უფლება-მოვალეობის შესახებ ინფორმაცია. ყველა პატიმარს უნდა უტარდებოდეს ლექცია.

***— მერედა, ეს არ კეთდება?***

— ეს ისე კეთდება, როგორც ახლა მე ჩინეთის პრეზიდენტი ვარ. არაფერი არ კეთდებოდა და არც ახლა კეთდება. ეს არის სოციალური სამსახურის სამუშაო. რეჟიმის სამსახური რას უნდა აკეთებდეს მთელი დღის განმავლობაში, ვერავინ გეტყვის.

***— არ არსებობს ინსტრუქციები, რომლითაც იხელმძღვანელებენ?***

— დოკუმენტები არის, მაგრამ არ მუშაობს. ამ პროცესს მართვა უნდა.

***— რა უნდა გააკეთოს რეჟიმის სამსახურმა?***

— წესრიგი უნდა დაამყაროს. დღის განმავლობაშო რეჟიმის უფროსს აქვს თავისი ფუნქცია — დღის განმავლობაში გარკვეული მუშაობა უნდა ჩაატაროს, უნდა გაარკვიოს, დამრღვევი პატიმრები ვინ არიან, რამდენი არიან, რა სახის დარღვევებია, წინასწარ რომ იცოდე და პროფილაქტიკური მუშაობა ჩაატარო. გარდა ამისა, უსაფრთხოების სამსახური რას აკეთებს, რისთვის ღებულობს ხელფასს? კომპლექსური სამუშაოა ჩასატარებელი. ამ პროცესში საზოგადოების ჩართვაა საჭირო.

***— როგორ უნდა ჩართო საზოგადოება, მონიტორინგის ჯგუფის სახით?***

— ყველაფერს არ ვასწავლი მაგათ, როგორ უნდა მოიქცნენ.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ არ მეძახიან. მე შევთავაზე ჩემი ცოდნა და გამოცდილება — ჩამრთეთ სისტემის რეფორმირების საკითხში-მეთქი, მაგრამ არ უპასუხიათ, შემდეგ მივწერე, ჩემი წერილი უკან გამომიგზავნეთ, შევინახავ და მომავალში მემუარებს დავწერ-მეთქი. მონიტორინგის ჯგუფი ცალკე უნდა შეიქმნას, რომელსაც ექნება დებულება, რა უნდა გააკეთოს. შიდა კონტროლის უფროსმა სუბელიანმა (რომელიც, მგონი, პროკურატურიდან მოიყვანეს) ისე იცის სასაჯელაღსრულების სისტემა, როგორც მე ჩინური. მე მისი მოკვლეული მასალები ვნახე (მომიტანეს სასჯელაღსრულების სისტემიდან გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა), ისე პირველი კლასის მოსწავლე არ დაწერს. მიმართულება, რომელიც აქვს სამინისტროს, სიტყვიერად კარგია, მაგრამ საქმით არ კეთდება. ამას იწვევს კადრების გამოუცდელობა. ძირითადად სამუშაოა კოლონიაში. კოლონიაში კი არ ხდება სასჯელაღსრულების პროცესის მართვა და სწორი ორგანიზება.

***— მონიტორინგის ჯგუფში ყოფნაზე ჟურნალისტებს უარი უთხრეს, ჟურნალისტებმა ციხეში მიღებულ ინფორმაცია მათი პროფესიული საქმიანობისთვის არ გამოიყენონო.***

— მონიტორინგის ჯგუფი დებულების შესაბამისად უნდა მუშაობდეს, თუ მას დაარღევს, იქიდან უნდა წავიდეს.

***— ციხეში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია თუ არ გახმაურდა, საზოგადოებამ როგორ უნდა გაიგოს? თუ საზოგადოებას ინფორმაცია არ მიეწოდება, მაშინ რანაირი მონიტორინგი იქნება?***

— მონიტორინგის წევრმა ციხეში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, პირველ რიგში, სამინისტროს და დეპარტამენტის ხელმძღვანელობას უნდა მიაწოდოს, რომ გამოასწორონ. თუ ისინი ვითარებას არ გამოასწორებენ, მაშინ ინფორმაცია უნდა მიაწოდო პრესას. არც სახალხო დამცველთან და არც სამინისტროსთან მონიტორინგის ჯგუფი არ უნდა იყოს. მონიტორინგის ჯგუფი თვითონ აირჩევს თავის კოლეგიალურ ორგანოს, გადანაწილდებიან კოლონიების მიხედვით, შეადგენენ მუშაობის გრაფიკს და ჩაატარებენ მონიტორინგს.

***— ბატონო ვლადიმერ, ბაჩანა ახალაია გადაიყვანეს გლდანის ციხეში, რაზეც ნაციონალები პროტესტს გამოთქვამენ. რამდენად სწორია ეს გადაწყვეტილება?***

— ნაციონალების და მათი დეპუტატების გასაგონად გეტყვით — გლდანის მე-8 დაწესებულება არ არის სასჯელაღსრულების დაწესებულება. ჭაკუას ამ დაწესებულებაში ჰყავდა სასჯელმისჯილი პატიმრები, რაც კანონის უხეში დარღვევა იყო. პატიმარს რომ მიუსჯიან, 10 დღეში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა გადაიყვანონ. ეს არის საგამოძიებო იზოლატორი, სადაც მიუსჯელი პატიმრები არიან მოთავსებული. ამ დაწესებულებაში ყოფილი პოლიციელებისა და პროკურორებისთვის განცალკევებული სექციაა და იქ უნდა იყვნენ გამოძიების დამთავრებამდე. გამოძიების დასრულების შემდეგ, ის უნდა გადაიყვანონ სპეციალურ, თანამშრომლებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში.

***— ანუ ნაციონალები ტყუილად საუბრობენ.***

— დიახ, ახალაიასა და მისი ჯგუფის ე,წ, მატროსოვის ციხეში ჩასმა იქნება კანონის უხეში დარღვევა. მაშინ სახლში დაუშვან. კანონით ახალაია გამოძიების დამთავრებამდე გლდანის ციხეში უნდა იყოს. ოღონდ, იზოლირებული უნდა იყოს და მასთან მიახლოების საშუალება სხვა პატიმარს არ უნდა ჰქონდეს. თუ პატიმარმა გაიარა, იცის, ახალაია იქ რომ ზის და შეიგინა, მას კი ამის გაგონება არ უნდა, ეს არ ვიცი.

***— სწორედ ასეა.***

— ასეა, მაგრამ ახალაია კანონით გლდანის ციხეში უნდა იყოს, სანამ გამოძიება არ დამთავრდება.

# სააკაშვილი მთავრობას ვეღარ დაითხოვს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

და თქვენს თანამემამულეებს აყენებთ შეურაცხყოფას და ეძახით ლაჩრებს. შეიძლება თქვენნაირი რიტორიკა არ აქვს მაგრამ ერთხელაც გამოვა და გაგცემთ საკადრის პასუხს, — განაცხადა გიგა ბუკიამ.

საკმაოდ კარგი გამოსვლა ჰქონდა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს დავით ბაქრაძეს. ეს გამოსვლა მას მოგვიანებით დავით საგანელიძემაც შეუქო.

— წარმოჩენა ისე, თითქოს ამ საკონსტიტუციო ცვლილებზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედია, არ არის სწორი. მე არ გამოვირჩევი მკვეთრი განცხადებებით, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მე ნამდვილად არ მომერიდება იმის თქმა, რომ ეს შეიძლება იყოს ჩვენს შორის დაპირისპირების თემა. დღეს ვდავობთ იმაზე, რომ გარკვეული პოლიტიკური წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს ცვლილება ქვეყანას კი არა შენ გჭირდება იმიტომ, რომ შენს შვილებს თვალებში ჩახედოო. ამ ხნის განმავლობაში საუბარი იყო იმაზე, რომ უმრავლესობას საკმარისი ხმა გააჩნია ამ ცვლილებების გასატანად. მაშინ რატომ გახდა ეს 30 წამიანი კენჭისყრა პრინციპულად მიუღებელი თქვენთვის? თუ ამაზეა დამოკიდებული ქვეყნის სტაბილურობა, რა გახდა ერთი საპარლამენტო პროცედურის ჩატარება? თუნდაც 100 ხმა შეაგროვოთ, მხოლოდ თქვენი ხმებით ქვეყანა ვერ დაწყნარდება. ჩვენც გვინდა, რომ მთავრობა იყოს მშვიდად და აკეთებდეს იმ ყველაფერს, რასაც თქვენ ხალხს დაპირდით. თუ ეს თქვენც გინდათ და ჩვენც, რატომ გახდა ასე რთული იმ მარტივი პროცედურის ჩატარება, რასაც ქვია სარეიტინგო კენჭისყრა? ის პატარა კორიდორი, რომელიც ამ დარბაზში ყოფს უმრავლესობას და უმცირესობას ერთმანეთისგან, ასევე გვყოფს ცხოვრებაშიც და ერთი ნაბიჯი არის ჩვენს შორის იმისთვის, რომ პოზიციებზე შევჯერდეთ და ამ დოკუმენტს მივცეთ ხმა. ერთი პატარა ნაბიჯი. ამ ერთი პატარა ნაბიჯის სახელია ერთი კონკრეტული კენჭისყრა. თუ პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში, არსებული მექანიზმის გამოყენებით პრეზიდენტი მოახდენს მთავრობის დათხოვნას და ფორმირებას პარლამენტის გარეშე, მე ჩემს ადგილს მის პოლიტიკურ გუნდში ვერ დავინახავ, — განაცხადა ბაქრაძემ.

ორიგინალური და ჯიგრული გამოსვლა ჰქონდა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს დავით საგანელიძეს. მისი გამოსვლის ტექსტი ერთ დიდ მარგალიტად შეიძლება შეფასდეს.

— მე ეს ორი დღეა ვისმენ, რომ თურმე უმრავლესობაში გაიყო ორ ჯგუფად აზრი, ამ სარეიტინგო კენჭისყრასთან დაკავშირებით და მე ვარ რადიკალურ მხარეს. ხო რადიკალური ვარ და იცით რატომ? მე ქირურგი ვარ, ხასიათში გადამივიდა ის, რომ ადამიანი, რომ გადამერჩინა უნდა მეტკინა მათთვის. მე შეიძლება გატკინოთ თქვენც, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ გადამერჩინა ის ურთიერთობა, რომელიც მინდა, რომ ჩვენს შორის იყოს. მე გადავიარე ყველა პოლიტიკური ქარტეხილი ბოლო 25 წლის განმავლობაში. რათქმა უნდა, ბევრი შეცდომა დავუშვი, მაგრამ იმ შეცდომების მრცხვენია დღესაც. რომელიც ვიცოდი, რომ შეცდომა იყო და თუნდაც პოლიტიკური კონიუნქტურის გამო დავუშვი შეცდომა, ამიტომ ნუ მოიქცევით ასე. თქვენ გგონიათ მართლა ასეთი რადიკალი ვარ? ალბათ არ გინახივართ ურთიერთობაში, ძმობაში, ქეიფში. აი მერე ნახეთ რადიკალი ვიქნები თუ როგორი მოსიყვარულე ვიქნები. უმცირესობის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ბოდიშს არ მოიხდიან. მათ ბოდიში მოსახდელი აქვთ არა ხელისუფლებასთან, არამედ საკუთარ თავთან. მე ჩემი ქვეყნის პატარა ჭანჭიკი ვარ, მე რატომ უნდა მომიხადოთ ბოდიში ხალხს უნდა მოუბოდიშოთ. როდესაც თხებზე ლაპარაკობთ, ბატონო კაკო, მე მინდა გითხრათ, რომ ყველა თხა თქვენ იყავით ოპოზიციაც და ხელისუფლებაც, ხო და ცვიოდით ხიდიდან. რაც შეეხება თქვენს მიერ გამოთქმულ შეურაცხყოფებს. ვინ ვის ჩაუწვა და როგორ ჩაუწვა... არავინ არავის არ ჩაწოლია. თქვენს გულში ჩაიხედეთ რა, არცერთ ჩემს კოლეგას და მეგობარს არ მიუღია ეს შეურაცხყოფა საკუთარ თავზე. ასე ძალიან რომ გაწუხებს ეს თემა ალბათ საკუთარ თავში გაქვს პრობლება და შენ გაწუხებს ეს საკითხი, — განაცხადა დავით საგანელიძემ.

მისი გამოსვლის შემდეგ სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. დეპუტატები კენჭისყრის წინ მოსაფიქრებლად დარბაზიდან გავიდნენ. ერი კი მოუთმენლად ელოდა კენჭისყრას. ასე გულისგანცქალით მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში პენალტების სერიას ელიან.

შესვენებიდან დაბრუნებულმა დეპუტატებმა სიურპრიზი მოგვიმზადეს. დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ისინი მზად არიან ჩაატარონ სარეიტინგო კენჭისყრა. არადა დღის პირველ ნახევარში ამას კატეგორიულად ეწინაალმდეგებოდნენ. სარეიტინგო კენჭისყრა. ამის შემდეგ უკვე ჩვეულებრივი კენჭისყრა ჩატარდა და კანონპროექტი პირველი მოსმენით ერთხმად მიიღეს.

# გელა კვაჭანტირაძე: „სამართალდამცავ ორგანოებს ძალიან უჭირთ“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ გელა კვაჭანტირაძესთან

***— ახალი ხელისუფლების მხრიდან ნაკლები კომუნიკაციის ბრალი ხომ არ არის, ევროპარლამენტარები ივანიშვილის ხელისუფლებას რომ აკრიტიკებენ?***

— მე ვერ ვიტყოდი, რომ ევროპარლამენტი აკრიტიკებს ივანიშვილის ხელისუფლებას, ვინაიდან ევროპარლამენტართა ერთი ჯგუფი – ეს არ არის ევროპარლამენტი მთლიანად, არც ევროსაბჭო და არც ევროკავშირი. ეს არის ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფი. არ არის საჭირო, წარმოვიდგინოთ, რომ მთელი მსოფლიო ასე ფიქრობს, ეს პრობლემა დიდ მასშტაბში განვიხილოთ. ეს არის ძველი ხელისუფლებისადმი სიმპათიით განწყობილი ერთი მცირე ჯგუფის მიმართვა და ამ მიმართვას თავისი მიზნები და საფუძველი გააჩნია. ნაცმოძრაობა ცდილობს, რომ ეს მიმართვა გაასაღოს, თითქოს ეს არის მთელი ევროპარლამენტის პოზიცია, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ ფაქტსაც თავისი რეაგირება სჭირდება. ის რეაგირება, რაც გააკეთა ხელისუფლებამ, კერძოდ, პრემიერმა ივანიშვილმა და პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილმა, ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როცა საქართველო პირველად თავის უახლეს ისტორიაში აცხადებს თავის კონკრეტულ დამოკიდებულებას მიმდინარე მოვლენების მიმართ, ბრმად არ ემორჩილება და თავს არ უხრის ყველას: ევროპარლამენტშიც განსხვავებული პოზიციები არსებობს, არ არის საჭირო, რომ ჩვენ ამის დრამატიზება მოვახდინოთ. კარგია, რომ ვუპასუხეთ პრინციპულად და კორექტულად.

მე ვფიქრობ, რომ ეს პასუხი თავის შედეგს გამოიღებს და თანაც პოზიტიურ შედეგს. ყველამ უნდა გაიგოს, რომ საქართველო არის სახელმწიფო, თითის ქნევა არ არის ის მეთოდი, რომლითაც შეიძლება ურთიერთობა საქართველოსა და ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს შორის.

***— მე მახსენდება ჯონ ბასთან დაკავშირებით საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ნაცმოძრაობას რომ ჰქონდა პრეტენზიები, რომელიც საკმაოდ მკვახედ და მწვავედ გაახმოვანა აკაკი ბობოხიძემ, მაშინდელი საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, როცა ნაცმოძრაობას არ მოსწონს მისდამი კრიტიკა, ის მას აფიქსირებს, მაგრამ ამავე დროს ივანიშვილისადმი კრიტიკის პროვოცირებას ახდენს. ეს არ არის ორმაგი სტანდარტი?***

— კარგი შეკითხვაა, ნიშანდობლივია, რომ ნაცმოძრაობა თავისი მოქმედებებით საერთაშორისო ასპარეზზე და ქვეყნის შიგნით ყოველთვის ცდილობს თავისი ინტერესები დაიცვას, არ ერიდება ავტორიტეტული თანამდებობის პირების და საერთაშორისო სტრუქტურების კრიტიკას. ეს ფაქტი არაერთხელ მოხდა. წინასაარჩევნო პერიოდში აშშ მოუწოდებდა ნაცმოძრაობას, რომ ყველაფერი გაეკეთებინა ობიექტური არჩევნებისთვის, სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის, ნაცმოძრაობას არ აძლევდა ხელს სამართლიანი არჩევნები, კარგად იცოდა, რომ როგორი განწყობა იყო საზოგადოებაში, ცდილობდა საერთაშორისო თანამეგობრობის დამოკიდებულების იგნორირებას. გახსოვთ, ალბათ, კონსტიტუციის მიღების დროს როგორ უგულებელყვეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციები. ახლაც ნაცმოძრაობის მხრიდან ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური თამაში. ჩვენ ჩვენი საქმე ქვეყნის შიგნით ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ეს თანხმობაში მოვიდეს ცივილიზებულ სამყაროსთან. ეს არის და ეს, ყველა დანარჩენი არის ნაცმოძრაობის პროპაგანდის ნაწილი, რომ როგორმე შექმნას ილუზია რომ ყველაფერი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისკენ მიექანება, დათესონ უნდობლობა და ეჭვები საერთაშორისო ასპარეზზე და ქვეყნის შიგნით.

***— ივანიშვილ-კუბლაშვილის თბილი შეხვედრის შემდეგ საზოგადოებაში დაბნეულობა გაჩნდა. კუბლაშვილის სასამართლო ნაცმოძრაობას ჯიბეში ჰყავს, ივანიშვილი კი კუბლაშვილს აქებს. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ ამ შეხვედრამ?***

— გაორებული შთაბეჭდილება დარჩა, ერთი მხრივ, არის საზოგადოების მოლოდინი და საზოგადოება მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას, მეორე უკიდურესობა არის ნაცმოძრაობასთან შერიგება და მასთან სრულ თანხმობაში ცხოვრება. რეალურად არც ერთი გამოდგება და არც მეორე. ქართულ ოცნებას პრინციპული დამოკიდებულება აქვს და ეს ჩანს, მაგრამ რიგ შემთხვევებში აუცილებელია, რომ რაც გაკეთდა წინა ხელისუფლების დროს პოზიტიური, ითქვას, კარგზე – კარგი, ცუდზე – ცუდი. რა არის ეს ცუდი ძალიან კარგად ვიცით, სასამართლო იყო პოლიტიკური ინსტრუმენტი და არის ტენდენციური, ძალიან ბევრი უსამართლობა ხდებოდა და ხდება ახლაც, როგორც მე გავიგე, ბატონ ბიძინას არ მოუწოდებია ამათ შევურიგდეთო, ის რეფორმები, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა სასამართლოს სტრუქტურული ფორმირებისას, ამ ნაწილზე იყო საუბარი, მაგრამ ის, რომ სასამართლო ხელისუფლება უნდა იყოს ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი, ამ ფუნქციას რომ ვერ ასრულებს, ეს ბატონმა ივანიშვილმა ხაზგასმით თქვა ამიტომ, ვფიქრობ, საზოგადოება უნდა დააკვირდეს ამ პროცესს და ეს მცდარად არ უნდა გავიგოთ. არავინ აპირებს კუბლაშვილთან მჭიდრო კოჰაბიტაციას და შერიგებას.



***— მუდმივი ყურადღება ექცევა სასამართლოს, პროკურატურას, შსს-ს ნაცმოძრაობა პოლიტიკურ სარჩულს უდებს დაბარებებს, დაკითხვებს, ამ ყველაფრის ფონზე ჩრდილში ექცევა ახალი ხელისუფლების საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით. თქვენ რა პოზიტიური ქმედებები დაინახეთ სხვადასხვა სფეროებში?***

— გარკვეული სისუსტეები დავინახე, სამართალდამცავ ორგანოებს ძალიან უჭირთ, გაუმკლავდნენ იმ ზღვა უსამართლობას, რომელიც იყო ამ ცხრა წლის განმავლობაში, თან უნდა დაიცვან დემოკრატია, თან სამართალი აღადგინონ, ეს პროცესი მძიმედ მიდის, სამართლიანობის აღდგენაზე ჩვენს საზოგადოებას გამარტივებული წარმოდგენა აქვს, ეს არ არის მხოლოდ დაჭერები, ეს გულისხმობს ასევე ახალი სამართლის სისტემის დამკვიდრებას, რომელსაც სჭირდება ეკონომიკური, სოციალური საფუძველი. პოზიტივი კი არა ერთია, პირველი პოზიტივი არის პრემიერ-მინისტრის პრინციპული და მართალი პოზიცია. სერიოზული ინიციატივები წამოწია ახალმა ხელისუფლებამ, მხედველობაში მაქვს რამდენიმე საინვესტიციო ფონდი, რომელიც სერიოზულ შედეგებს მოიტანს, ეს ყველაფერი განხორციელდება თუ ჩვენ შევინარჩუნებთ პოლიტიკურ სტაბილურობას, ვინაიდან ბიზნესი და ეკონომიკა არ ვითარდება იქ, სადაც არის პოლიტიკური არეულობა და დაძაბულობა. ამიტომ საშიშია ნაცმოძრაობის დესტრუქციული პოლიტიკა, რომელიც ემსახურება კრიზისის გამოწვევას, საქართველოს სახელის გატეხას საერთაშორისო ასპარეზზე. იმედი მაქვს, ეს კრიზისი უნდა ამოიწუროს მარტ-აპრილის თვეში და ამის შემდეგ დაიწყება სოციალური და ეკონომიკური აღმავლობა.

***— ამ ცოტა ხნის წინ ივანიშვილს შეხვედრა ჰქონდა ექსპერტებთან, სადაც იყო საუბარი თანამედროვე ტექნოლოგიებზე სხვადასხვა სფეროებში და მე გამახსენდა ინტერვიუ თქვენთან სადაც, თქვენ ამ ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროებაზე საუბრობდით.***

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, აქაიქ გაისმის ხოლმე, რომ განვითარებულ ქვეყნებში ტექნოლოგიებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მე წინადადებაც მივაწოდე ბატონ ბიძინას, როგორ უნდა მოხდეს ახალი ტექნოლოგიების სისტემური განვითარება სახელმწიფოში და ეს უნდა გახდეს ხერხემალი და საფუძველი ჩვენი ეკონომიკური განვითარების, თუმცა ჯერ ვერ ვხედავ კონკრეტულ ნაბიჯებს, რომ ამ მიმართულებით მოძრაობა დაიწყოს, ამას იმით ვხსნი, რომ მწვავე პოლიტიკური ბატალიები მიდის და როგორც კი გადაწყდება ძირეული საკითხები, ხელისუფლება ამ თემას უნდა მიუბრუნდეს.

# ბებერი კონტინენტის ბებრული ხრიკები

სათაურში გამოტანილი სწორედ ეს ფრაზა ამეკვიატა, როცა ევროპის უდიდესი პარტიის წარმომადგენელთა მიერ საქართველოს ხელისუფლების მისამართით გამოგზავნილი წერილის შინაარსს გავეცანი. ჩვენი ევროპელი მეგობრები ახალ ხელისუფლებას მოუწოდებენ რომ მათ უარი არ თქვან ევროპულ კურსზე და ევროპულ ფასეულობებზე. ახალი ხელისუფლების დამცველად ნამდვილად ვერ გამოვდგები, მაგრამ დღიდან ხელისუფლებაში მოსვლისა, ისინი ყველა დონეზე, მუდმივად აფიქსირებენ, რომ ქვეყნის საგარეო კურსი, დასავლეთი და დასავლური დემოკრატიული ღირებულებებისკენ სწრაფვაა. თუმცა როგორც პრემიერ-მინისტრის, ასევე პარლამენტის თავმჯდომარის ცალკეული განცხადებებიდან აშკარად ჩანს, რომ მათი მიზანი ევროპულ ოჯახთან ინტეგრაცია და არა მათდამი ვასალური დამოკიდებულებაა.

თუ ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი თავს უფლებას აძლევს, საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდოს, რომ მათ ევროპულ კურსს არ გადაუხვიონ, მაშინ კეთილი ინებონ და ქართულ საზოგადოებას, სწორედ იმ საზოგადოებას, რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამაც ხმა ახალ ხელისუფლებას მისცა, – აუხსნან თუ რატომ სჯობს ევროპული არჩევანი სხვა ნებისმიერ არჩევანს და დაამტკიცოს, რომ ევროპას საქართველოს სახით კავკასიაში, სურს ჰყავდეს არა ვასალი სახელმწიფო, რომელიც მისი ვადაგასული და უხარისხო პროდუქციის გამსაღებლის ფუნქციასაც შეითავსებს, არამედ ნამდვილი მეგობარი, რომელიც ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი იქნება.

ბატონო ევროპელებო, სწორედ იმ ხელისუფლებამ, რომელსაც თქვენ ასე მისტირით და რომლის გადარჩენა-რეინკარნაციისთვის ძალ-ღონეს არ იშურებთ, – მოახერხა და ბოლო 9 წლის განმავლობაში, სრულიად საქართველოს მოსახლეობას შეაძულა ევროპაც და დასავლეთიც.

ძალიან დიდი სურვილი მაქვს პირადად მივმართო და ხმა მივაწვდინო ევროპის სახალხო პარტიის იმ 23 წევრს, ვინც საქართველოს მთავრობის მისამართით გამოგზავნილ წერილს ხელი მოაწერა და ხელისუფლებას ურჩია დასავლური კურსისთვის არ გადაეხვია.

ბატონო ევროპელებო, პირველ რიგში იმაზე დაფიქრდით, გაქვთ თუ არა მორალური უფლება, ქვეყნის წინა ხელისუფლებას მხარი დაუჭიროთ და ისინი პროდასავლურად გამოაცხადოთ. ის ხელისუფლება, რომელსაც თქვენ მხარს უჭერთ, წლების განმავლობაში საქართველოში ადამიანებს ქუჩაში ხოცავდა, პირდაპირი გზით ატერორებდა ბიზნესს, ქუჩაში პროტესტის გამოსახატად გამოსულ ადამიანებს იქვე კლავდა, შემდეგ მათ გვამებს მაღაზიის სახურავებზე აწყობდა და აცხადებდა, რომ ისინი დენის დარტყმით გარდაიცვალნენ, საპატიმრო დაწესებულებებში (უმრავლეს შემთხვევაში უკანონოდ) თავისუფლებააღკვეთილ პირებს ცოცხებით და სკამის ფეხებით აუპატიურებდა და ცემით კლავდა, მათთვის არასასურველ პირებს კისრამდე მიწაში ფლავდა და მათ თავზე ბუნებრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს კი სპეცრაზმის ძალით პირდაპირ ეთერში უსწორდებოდა, ან საუკეთესო შემთხვევაში პოლიციის ძალით მათ საკუთარი ოფისებიდან ყრიდა. თქვენს ნაქებ „დემოკრატიულ“ ხელისუფლებას იმაზე მეტი პოლიტპატიმარი ჰყავდა, ვიდრე თქვენს მიერვე კლასიკური დიქტატურის ქვეყნებად აღიარებული ხელისუფლების წარმომადგენლებს ერთად. ყველაზე ამაზრზენი კი ისაა, რომ ყოველივე ზემოთჩამოთვლილის მოქმედი ხელისუფლება, ამას თქვენი – დასავლეთის და დასავლური დემოკრატიის სახელით აკეთებდა.

საქართველოს დასავლელო „გულშემატკივრებო,“ დღეს რომ ჩვენი სამშობლოს დემოკრატიულ განვითარებაზე მოთქვამთ და გოდებთ, სად იყავით თუნდაც მაშინ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი დამოუკიდებელი ტელეკომპანიის ოფისში სპეცრაზმით შეიჭრა, ჟურნალისტები (მათ შორის ორსული გოგონაც) მიწაზე დაყარა და უმოწყალოდ სცემა, ხოლო ეთერი ასევე ძალისმიერი მეთოდებით გათიშა, სად იყავით, როცა საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტებმა საქართველოში ისეთ მასშტაბებს მიაღწია, როგორიც ალბათ განკულაკების დროსაც არ ყოფილა, სად იყავით, როცა მიხეილ სააკაშვილმა თავისი სპეცრაზმით, უიარაღო, მშვიდობიანი პროტესტანტების მიმართ სისხლიანი სადამსჯელო სპეცოპერაცია ჩაატარა, ათასობით ადამიანი დაასახიჩრა და დახოცა. ნებისმიერმა თქვენგანმა წარმოიდგინეთ, როგორ ხასიათზე დადგებოდით, თქვენმა ხელისუფალმა, რომ თქვენსავე მოსახლეობას ხოცვა-ჟლეტა მოუწყოს.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ სწორედ თქვენ, ვისი იმედიც ქართველ ხალხს ჰქონდა, ამ ყველაფერზე თვალი დახუჭეთ და პირიქით, მიხეილ სააკაშვილის ნებისმიერ სისხლიან მოქმედებას დემოკრატიულ ნაბიჯად აფასებდით, ხოლო ყველაფერი ის, რასაც თქვენგანვე წახალისებული მიხეილ სააკაშვილი საქართველოში სჩადიოდა, თუ მართლა დასავლური და დემოკრატიული ფასეულობა და ღირებულებაა, ასეთი ფასეულობა, დემოკრატია და ღირებულები ქართველ ხალხს არ უნდა, ვინაიდან მისი სიმწარე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 37-იან წლებში იწვნია. მაგრამ უბედურება ისა, რომ ისეთ რეჟიმს, როგორიც საქართველოში მიხეილ სააკაშვილს ჰქონდა დამყარებული, თქვენ თქვენს ქვეყნებში ერთი კვირის განმავლობაშიც ვერ აიტანთ, სამაგიეროდ მზად იყავით, საქართველო დემოკრატიის მექად გეღიარებინათ, მთავარია, რომ მიხეილ სააკაშვილს თქვენდამი ვასალური დამოკიდებულების სურვილი არ განელებოდა.

ბატონო ევროპელებო, თქვენ ქართველ ხალხს მიხეილ სააკაშვილთან და მის ვამპირ ხელისუფლებასთან კოჰაბიტაციისკენ მოუწოდებთ. ამას ცინიზმის აპოგეას თუ დავარქმევთ. ყოველივე აქედან გამომდინარე, ქართველმა ხალხმა, რომელთა ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე თქვენ შეიძლება საკმაოდ მცდარი წარმოდგენა გქონდათ, ბოლო 9 წლის განმავლობაში თავისი არჩევანი გააკეთა. მე იმ თაობას მივეკუთვნები, რომელსაც კარგად ახსოვს 1989 წლის 9 აპრილი, წვერმოშვებული და შუბლზე შავარშიაშემოვლებული თბილისი, და კარგად ახსოვს აგრეთვე, ის, თუ რა დიდი იმედით და მოლოდინით იყო განწყობილი ქართველი ხალხი დასავლეთის მიმართ. ბატონო ევროპელებო, ეს მოლოდინი და განწყობა თქვენ ქართველ ხალხს გაუცრუეთ. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, გაბედავდა თუ არა თქვენი ქვეყნის მოსახლეობასთან ვინმე კოჰაბიტაციაზე საუბარს იმის შემდეგ, თქვენს ხელისუფლებას, რომ თუნდაც იმის მეათედი გაეკეთებინა საკუთარი ხალხისთვის, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ გააკეთა.

აპატიებდით თუ არა თქვენს ხელისუფლებას, რომ მას ქუჩაში ახალგაზრდა ბიჭები დაეხოცა, აპატიებდით თუ არა თქვენი ქვეყნის პირველ პირს, რომ დედამისს, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი განამანათლებლო კერები ხელში ჩალის ფასად ჩაეგდო, აპატიებდით თუ არა თქვენი ქვეყნის ხელისუფლებას ტაშ-ფანდურს იმ დროს, როცა თქვენი ჯარისკაცების გვამები სიცხისგან გაბერილი, უპატრონოდ ეყრებოდა, აპატიებდით თუ არა თქვენს ხელისუფალს, რომ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შესასვლელი ასაკობრივი ცენზი ერთი პიროვნების გამო დაეწია და აპატიებდით თუ არა თქვენი ქვეყნის პირველ პირს და უმაღლეს მთავარსარდალს ავანტიურისტულად წამოწყებულ საომარ მოქმედებას და ამ საომარი მოქმედების დროს თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე სირბილში რეკორდის დამყარებას და მტვრიანი ქუჩის ცხვირით დახვნას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საკმაოდ საინტერესოა და რომელიც ისევ და ისევ ისტორიულ გამოცდილებას ეყრდნობა. საქართველოს ხელისუფლებისადმი გამოგზავნილი წერილის ხელმომწერო პოლიტიკოსებო, იქნებ დაასახელოთ ერთი მაგალითი მაინც, როდესაც განსაცდელის ჟამს, ევროპა საქართველოს გვერდით დადგა. ბევრიც რომ ეცადოთ ვერ დაასახელებთ, რადგან დაწყებული მე-10 საუკუნიდან, საქართველო, პირიქით ქრისტიანობის დამცავი ზღუდის ფუნქციას ასრულებდა დასავლეთისთვის, ხოლო როდესაც საქართველოს გაუჭირდა, ევროპამ ის, ყოველთვის საკუთარ ინტერესებზე გაცვალა.

ასე მოხდა 1921 წელსაც, როცა საქართველოში მე-11 არმია შემოვიდა და ევროპამ საქართველო რუსეთს შეატოვა. შეიძლება ვინმე შემომედავოს და მითხრას, რომ ევროპის მხარდაჭერის თვალსაჩინო მაგალითი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს იყო, როდესაც ევროპის 5 ქვეყნის პირველი პირი საქართველოში ჩამოვიდა.

საინტერესოა, სად გაქრებოდნენ ან რას მოიმოქმედებდნენ ეს ადამიანები იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის არმია როგორც ზღულაძემ „გვახარა“ ორჭოსანთან არ აუხვევდა და თბილისისკენ წამოვიდოდა. საეჭვოა, რომ მათ თავიანთი ქვეყნის შეიარაღებული ძალები რუსეთისკენ მიემართათ.

სხვათა შორის, მაშინ განიხილებოდა აგრეთვე, რუსული ჯარის ბალტიისპირეთში შესვლის შესაძლებლობაც და იქედან გამომდინარე, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები ნატოს წევრი სახელმწიფოები არიან, ალიანსმა წინასწარ განაცხადა, რომ ის, ბალტიისპირეთში რუსული ჯარის შესვლის შემთხვევაში, რუსეთთან ომში არ ჩაებმებოდა.

ანუ, ამ შემთხვევაში სრულიად გაცამტცვერდა ის სლოგანი, რომლითაც ნატო დღემდე მოდიოდა – „ერთი ყველსათვის – ყველა ერთისთვის“.

როგორც ცნობილია, ნატოს წესდების თანახმად, ალიანსის წევრ ნებისმიერ ქვეყანაზე თავდასხმა აღიქმება როგორც მთლიანად ალიანსზე თავდასხმა და ამ შემთხვევაში, საომარ მოქმედებებში მთლიანად ალიანსი ერთვება. როგორც აღმოჩნდა, ნატო არც ამ პრინციპის დასაცავადაა მზად და მან 2008 წელს ბალტიისპირეთი პრაქტიკულად გაწირა. ასეთ შემთხვევაში, რა გარანტია გვაქვს, რომ სასწაულიც რომ მოხდეს და საქართველო ნატოს წევრი გახდეს, საჭიროების დროს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დაგვიცავს და ისევ აგრესორის ანაბარად არ მიგვატოვებს.

ბატონო ევროპელებო, დღეს საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი ნამდვილად შეიცვალა და ის გაცილებით უფრო პროგრესული მიმართულებისაა. თუ აქამდე საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ვექტორი არცთუ საიმედო პარტნიორის მეგობრობისკენ და მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს მტრობისკენ იყო მიმართული, დღეს ის კეთილმეზობლობისკენ, პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენისკენ და მშვიდობისკენ იცვლება, რაც შეიძლება ზოგიერთ დასავლელ „მეგობარს“ არ აწყობდეს, მაგრამ ეს ქართველი ხალხის არჩევანია და ისინი იძულებულნი იქნებიან ამ არჩევანს შეეგუონ. ასე, რომ ბებერი კონტინენტი მსოფლიოს ახალს ველარაფერს სთავაზობს და მისი პოლიტიკა უკვე საუკუნეებია, ცალმხრივ მეგობრობას ეფუძნება, რაც შეიძლება ითქვას, რომ 21-ე საუკუნეში, უკვე გაკოტრებული პოლიტიკაა და ევროპას აუცილებლად მოუწევს საგარეო პოლიტიკურ მიმართულებებს გადახედოს.

რაც შეეხება საქართველოს ყოფილ ხელისუფლებას და მის პირველ პირს. მიხეილ სააკაშვილმა ჯერ კიდევ 2011 წლის ოქტომბრის დასაწყისი, ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკაში მოსვლის შესახებ გაკეთებული განცხადებისა და საქართველოში საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის ვიზიტის დღეს გამოთქვა იმედი, რომ საქრთველოს ევროპა აღარასდროს ულალატებს, თუმცა ვისაც მიხეილ სააკაშვილის მაშინდელი გამოსვლის პათოსი ახსოვს, დამეთანხმება, რომ მაშინ მას საკუთარი სიტყვების არ სჯეროდა და არცთუ უსაფუძვლოდ.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ თუ საქართველოში, „კოჰაბიტაციის პროცესით“ და სამართლიანობის აღდგენის პროცესით უკმაყოფილო მოსახლეობამ იხუვლა და სამართლის აღდგენა საკუთარი ძალებით, სახელმწიფო ინსტიტუციების გარეშე გადაწყვიტა, რისი ალბათობაც საკმაოდ დიდია, მაშინ ევროპაც და ამერიკაც იძულებული იქნება მხარი ქართველი ხალხის სურვილს დაუჭიროს, რაც მიხეილ სააკაშვილს, ევროპელი გენიოსის – შექსპირის ერთ-ერთი ცნობილი გმირის მდგომარეობაში ჩააყენებს, რომელიც მზად იყო თავისი სამეფო ერთ ცხენში გაეცვალა.

**ალეკო ჩუბინიძე**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“**

# ფილიპ დიმიტროვმა ამნისტია დაგვიწუნა

ნათია ხურცილავა

**ევროკავშირის ელჩმა საქართველოში ფილიპ დიმიტროვმა ევროკავშირის ყოველწლიური ანგარიში წარმოადგინა. ამის გარდა მან საქართველოში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.**

ფილიპ დიმიტროვის განცხადებით, თუ ევროკავშირი იხილავს, რომ პარტიები საკონსტიტუციო ცვლილებებს ხმას აძლევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო ვითარდება ისე, როგორც მას სურს.



— ჩემი საქმე არ არის, შევაფასო, თუ რა და როდის გაკეთდეს კონსტიტუციასთან დაკავშირებით სუვერენულ ქვეყანაში. ჩემთვის იმედისმომცემი იყო ბოლოდროინდელი ფაქტები, თუ როგორ ყალიბდება ურთიერთობები ამა თუ იმ პარტიებს შორის. თუ ისინი შეთანხმებას მიაღწევენ, რა თქმა უნდა, კარგია, თუკი უმრავლესობა თვლის, რომ ცვლილებების შეტანა კარგი მიმართულებაა და უმცირესობა თვლის, რომ ეს არის მათი შვილობილი, მაშინ საერთო ენა უნდა იქნეს გამონახული. მე ისიც მესმის, რომ ყველასთვის მნიშვნელოვანია, პროცესები ისე განვითარდეს, რათა ეს ყველაფერი აღქმულ იქნეს ისე, რომ ქვეყანა ნორმალურად ვითარდება, — განაცხადა დიმიტროვმა.

ევროკავშირის ელჩის განცხადებით, არც ის არის ლოგიკური მოლოდინი, რომ ერთი პოზიციიდან მეორეზე რადიკალური გადასვლა მოხდება, თუმცა პოზიციები უნდა შეჯერდეს.

— ადამიანები ირჩევენ ხელისუფლებას იმისთვის, რომ მათ სასარგებლოდ იქნეს ქვეყანა მართული, მაგრამ, ვინაიდან ხელისუფლება ქვეყანას მართავს ყველასთვის, მათ შორის მათთვისაც, ვინც ხმა არ მისცა, უნდა მოინახოს მექანიზმები, რომ ქვეყანაში ერთიანობა იქნეს ნაჩვენები. თუ ჩვენ ვიხილავთ, რომ პარტიები საკონსტიტუციო ცვლილებებს აძლევენ ხმას, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო ვითარდება ისე, როგორც მას სურს, — განაცხადა დიმიტროვმა.

ევროკავშირის ელჩმა ასევე ისაუბრა ვილნიუსის სამიტზე. დიმიტროვის განცხადებით, საქართველო ვილნიუსის სამიტზე რაიმე საოცრების მოლოდინში არ უნდა იყოს.

— ვილნიუსში ჩვენ ხელს არაფერს არ ვაწერთ. იქ ხდება, უბრალოდ, შეთანხმებების მიღწევა, მათი გამოქვეყნება და საზოგადოებისთვის მიწოდება. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ დადგება ეტაპი, როცა შეთანხმებას ხელი მოეწერება, თუმცა ეს გრძელვადიანი პროცესია, ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ საქართველო იქ მიღწეული გადაწყვეტილებების პოზიტიურ შედეგებს იქამდე იგრძნობს, ვიდრე ძალაში შევა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ვილნიუსის სამიტზე რაიმე საოცრებას არ უნდა ველოდოთ. იქ იქნება საშუალება, გაკეთდეს შედარებები, თუ რა გაკეთდა ქვეყანაში 4 წლის განმავლობაში, რა პრობლემები არსებობს ახლა და თავისთავად იქნება აღნიშნული პროგრესი, მაგრამ, აქვე გეტყვით, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ქვეყნები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ წარმატებული არიან, მათი დადებითი შეფასება ხდება, — აღნიშნა დიმიტროვმა.

ევროკავშირი საქართველოს მიმართავს რეკომენდაციით, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანოს.

— ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის 2013 წლის განმავლობაში მდგრადი განხორციელების გზით სასურველია, რომ საქართველომ გაააქტიუროს სეპარატისტული რეგიონების მიმართ ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება და გააუმჯობესოს შერიგება-მოგვარება დე ფაქტო ხელისუფლებებთან თანამშრომლობის გზების გამონახვისა და ფინანსური რესურსების მოძიების საშუალებით. პრაგმატული და კონსტრუქციული ნაბიჯები გადაიდგას, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ ვაჭრობის, გადაადგილებისა და ინვესტირების წახალისების მიზნით ცვლილებები შეიტანოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში, — აღნიშნულია ანგარიშში.

ფილიპ დიმიტროვმა ასევე ისაუბრა რეგიონული ენების სტატუსთან დაკავშირებით. როგორც ევროკავშირის ელჩმა განმარტა, აღნიშნული რეკომენდაცია რაიმე მტკიცებულებით სანქციას არ წარმოადგენს.

— რეგიონული ენების საკითხი რეკომენდაციაში ასახული არ არის, ვინაიდან ეს თემა ახლახან წამოიჭრა. მე არ მახსოვს განსაკუთრებული ნაბიჯი, რომელიც ევროკავშირმა ამ მიმართულებით გადადგა, გარდა ზოგადად მიღებული დოკუმენტებისა. რაც შეეხება ჩვენს რეკომენდაციას ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, იქ აღნიშნულია საქართველოს სურვილი და აუცილებელია მოხდეს მისი გადამოწმება, რომ ყველაფერი სწორად ვითარდებოდეს, — განაცხადა ფილიპ დიმიტროვმა.

ევროკავშირის შეფასებით, ამნისტიის შესახებ კანონის მიღებისას არაერთი დარღვევა გამოვლინდა.

— ნოემბერში პარლამენტმა წამოიწყო პოლიტიკური პატიმრების კატეგორიის დადგენის პროცესი. ამნისტიის შესახებ კანონის პროექტი, რომელსაც თან ერთვოდა პოლიტპატიმრების სია, 21 დეკემბერს იქნა მიღებული, რის შემდეგაც პრეზიდენტმა მას ვეტო დაადო. პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია და 2013 წლის 13 იანვარს პოლიტპატიმრად აღიარებულმა 190 ადამიანმა ციხეები დატოვა. ამ პროცესში არაერთი დარღვევა გამოვლინდა, კერძოდ: პარლამენტმა პროცესში არ ჩართო სასამართლო ხელისუფლება, რომელსაც, წესით, ობიექტური კრიტერიუმებისა და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, უნდა განესაზღვრა, იყვნენ თუ არა ეს ადამიანები პოლიტპატიმრები. ამასთან, ამნისტიის შესახებ კანონს არ გაუვლია წინასწარი კონსულტაცია ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიასთან, მიუხედავად იმისა, რომ იყო მოთხოვნილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის აზრი. ვენეციის კომისიის აზრით, ამნისტიის შესახებ კანონი კანონის უზენაესობის რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპს არღვევს, კერძოდ, კანონიერებას (გამჭვირვალობის ჩათვლით), კანონის პირადი შეხედულებით გამოყენების აკრძალვას, დისკრიმინაციის დაუშვებლობასა და კანონის წინაშე თანასწორობას, — აღნიშნულია ანგარიშში.

ევროკავშირი საქართველოს რეკომენდაციებით მიმართავს. აღნიშნული რეკომენდაციები და 2012 წლის ანგარიში ჟურნალისტებს ევროკავშირის ელჩმა საქართველოში ფილიპ დიმიტროვმა წარადგინა.

— ასევე, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის 2013 წლის განმავლობაში მდგრადი განხორციელების მიზნით, სასურველია, რომ საქართველომ: 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე შეასწოროს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ დადგენილი საარჩევნო კანონმდებლობის ხარვეზები; უზრუნველყოს პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის კონსტიტუციით განსაზღვრული ფუნქციების პატივისცემა; უზრუნველყოს, რომ თუკი დაგეგმილია საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება, მოხდეს ქვეყნის მასშტაბით და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიასთან მათი ფართომასშტაბიანი განხილვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ ცვლილებებმა დროს გაუძლონ; სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მოახდინოს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება სისხლის სამართლის პოლიტიკისა და პრაქტიკის ევროპის საბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით; სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების შესაბამისად შეცვალოს ადმინისტრაციული დაკავების წესი და პოლიტიკის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები; უზრუნველყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და პოლიტიკური მოტივაციისგან თავისუფალი სისხლისსამართლებრივი დევნა და თავიდან აიცილოს ყოველგვარი აღქმა იმისა, რომ შერჩევითი სამართალი ხორციელდება; გაზარდოს სამართალდამცავი სტრუქტურების ანგარიშვალდებულება და მათზე დემოკრატიული ზედამხედველობის ხარისხი; წარმართოს პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევების სიღრმისეული და გამჭვირვალე, დამოუკიდებელი გამოძიება; განახორციელოს სტრუქტურული რეფორმები ამგვარი ფაქტების თავიდან აცილების (პრევენციის) მიზნით მომავალში; უფლებების დარღვევისა და არასათანადო მოპყრობის ადრეული გამოვლენისა და პრევენციის მიზნით უზრუნველყოს პენიტენციური სისტემის ეფექტიანი შიდა და საგარეო მონიტორინგი; გააგრძელოს და გააუმჯობესოს კონსტრუქციული მონაწილეობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში; გაააქტიუროს სეპარატისტული რეგიონების მიმართ ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება და გააუმჯობესოს შერიგება-კონფლიქტის მოგვარება დე ფაქტო ხელისუფლებებთან თანამშრომლობის გზების გამონახვისა და ფინანსური რესურსების მოძიების საშუალებით; პრაგმატული და კონსტრუქციული ნაბიჯები გადადგას (რომელიც ნაკლებად იქნება ორიენტირებული ფორმაზე და მეტად — შინაარსზე) ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ ვაჭრობის, გადაადგილებისა და ინვესტირების წახალისების მიზნით; ცვლილებები შეიტანოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში; უფრო მეტად განამტკიცოს მედიაპლურალიზმი და დამოუკიდებლობა, გამოხატვისა და აზრის თავისუფლება; განახორციელოს კანონი მედიამფლობელთა გამჭვირვალობის შესახებ; კანონმდებლობით გაამყაროს must-carry/must-offer პრინციპის მოქმედება; გააგრძელოს და უფრო ინტენსიური გახადოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან დიალოგი და პარტნიორობა; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ ბიზნესსა და პროფკავშირებთან კონკრეტული თანამშრომლობის გზით მოამზადოს შესწორებები შრომის კოდექსში, რასაც მოჰყვება შრომის უფლებების გაუმჯობესება და სოციალური დიალოგის განმტკიცება; მიიღოს ფართომასშტაბიანი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა; უზრუნველყოს უმცირესობების, რელიგიურის ჩათვლით, უფლებების დაცვა; გააგრძელოს სექტორული რეფორმების განხორციელება და ევროკავშირის კანონთა კრებულთან ხარისხიანი დაახლოება იმისთვის, რომ გზა გაუხსნას ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით მუშაობის დასრულებას, — აღნიშნულია ანგარიშში.

# დავით დარახველიძე: „აკონტროლეთ ჩემი უწყება“

ნათია ხურცილავა

**განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ გუშინ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე მინისტრმა იმ დევნილებზე ისაუბრა, რომლებსაც უკვე სახელმწიფოსგან კომპენსაცია მიღებული აქვთ.**



დარახველიძის განცხადებით, დევნილები, რომლებსაც სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის მიღებაზე ხელი აქვთ მოწერილი, სამართლებრივად რთულ ვითარებაში არიან.

დარახველიძის განმარტებით, აღნიშნული დევნილების განცხადება, თითქოს მინისტრი მათ ბინების გადაცემას დაჰპირდა, დღეს კი დაპირებას აღარ ასრულებს, სინამდვილეს არ შეესაბამება.

— ამ ქალბატონებს მე ადრე მართლაც შევხვდი ჩემს კაბინეტში. მათ თქვეს, რომ ბათუმში, ბენზეს დასახლებაში, არის ბევრი თავისუფალი ბინა და ამ საკითხის კანონიერების შესწავლა მთხოვეს. მათ არ უხსენებიათ, რომ კომპენსაცია უკვე აღებული ჰქონდათ. ამასთან, მე მათთვის არ მითქვამს, რომ ბინას აუცილებლად მიიღებდნენ. ასეთი რამის თქმის არც უფლება მაქვს და არც წინასწარ ვიცი, ვინ მიიღებს ბინას და ვინ არა, — განაცხადა დავით დარახველიძემ.

მინისტრი აცხადებს, რომ საკითხის შესწავლა ამ დრომდე მიმდინარეობს და დასკვნა რამდენიმე დღეში იქნება მზად. უშუალოდ კომპენსირებული დევნილების პრობლემაზე კი მინისტრი აცხადებს, რომ საკითხი საკმაოდ რთული და მძიმეა.

— მარტო აჭარაში 1920 ადამიანია კომპენსირებული, საქართველოს მასშტაბით კი ეს რიცხვი 5200-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე, ეს საკმაოდ რთული პრობლემაა, მაშინ როდესაც ქვეყანაში გვყავს 40 ათასი დევნილი უმძიმეს მდგომარეობაში, რომელსაც არავითარი კომპენსაცია არ მიუღია. სამართლებრივად მოქალაქეები, რომელთაც ხელი აქვთ მოწერილი, რომ თანახმა არიან, სახელმწიფოსგან კომპენსაცია აიღონ, რთულ ვითარებაში არიან, — აღნიშნა მინისტრმა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი დავით დარახველიძე მომხრეა, მისი უწყება სამართლებრივი ზედამხედველობის ქვეშ იყოს.

ამის შესახებ მინისტრმა პრესკონფერენციაზე ქრთამის აღების ფაქტზე სამინისტროს თანამშრომლის დაკავების კომენტირებისას აღნიშნა.

— მე მომხრე ვარ, რომ ჩვენი უწყება სამართლებრივი ზედამხედველობის ქვეშ იყოს. ის ფაქტი, რომ მხოლოდ რიგითი თანამშრომლის მიმართ მოხდა ასეთი რამის გამოვლენა, გვაძლევს იმედს, რომ ეს ზედა ეშელონებში არ ხდება. მოდებაძე, რომელიც ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს, მუშაობდა იმ პოზიციაზე, საიდანაც ბინების მიღება-განაწილებაზე მეტ-ნაკლებადაც კი არ მიუწვდებოდა ხელი, — აღნიშნა მინისტრმა, მაგრამ არ გამორიცხა, რომ გარკვეული კორუფციული სქემების აწყობა შესაძლებელი ყოფილიყო.

მისივე თქმით, ქრთამის აღების ფაქტი თეთრიწყაროს ობიექტზე დაფიქსირდა, სადაც თავისუფალი ბინები დღესაც არსებობს და მას ნებისმიერ დევნილს სთავაზობენ. ამდენად, დარახველიძე აცხადებს, რომ იქ ბინის მისაღებად ჩაწყობა საჭირო არ იყო. მინისტრის ინფორმაციით, მოდებაძეს ქრთამი „ჩანერგილმა ადამიანმა გადასცა“.

როგორც ცნობილია, ფინანსურმა პოლიციამ ქრთამის აღების ფაქტზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თანამშრომელი თენგიზ მოდებაძე რამდენიმე დღის წინ დააკავა.

გამოძიების ინფორმაციით, მოდებაძემ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის აშენებულ ახალ საცხოვრებელ კორპუსში სამოთახიანი ბინის მიღების სანაცვლოდ ერთ-ერთ დევნილ ოჯახს ქრთამის სახით 500 აშშ დოლარი გამოართვა.

დავით დარახველიძის განცხადებით, კორუფცია ზედა ეშელონებში არ ხდება და ამის განცხადების საფუძველს მას გამოვლენილი ფაქტი აძლევს.

# ყაზბეგის გამზირზე მომხდარი მკვლელობა გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოსა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1965 წელს დაბადებული სერგო პ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული 20 მარტს, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე მდებარე ვალუტის გადამცვლელ პუნქტში, თავის მეგობარ რომან გაბეხაძესთან მივიდა, რომელიც ამ პუნქტში ოპერატორად მუშაობდა. მათ შორის წარმოიქმნა ურთიერთშელაპარაკება, რა დროსაც სერგო პ-მ რომან გაბეხაძეს ცივი იარაღით სხეულზე მრავლობითი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მკვლელობიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ამოღებულია.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

# საპატრულო პოლიციამ უკანონო იარაღი ამოიღო

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1989 წელს დაბადებული ბიჭიკო რ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებული 21 მარტს, თბილისში, იაკობ ნიკოლაძის ქუჩაზე, ორ მეგობართან ერთად „მერსედესი“-ს მარკის ავტომანქანით მოძრაობდა, რომელსაც გრიგოლ ხ. მართავდა.

საპატრულო პოლიციამ აღნიშნული ავტომანქანა გადამოწმების მიზნით გააჩერა, რა დროსაც ბიჭიკო რ-მ იარაღის გადამალვა სცადა, რაც პატრულის თანამშრომელმა შეამჩნია. სამართალდამცველებმა ავტომანქანის დათვალიერებისას „ჩე-ზე“-ს სისტემის პისტოლეტი და 14 ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება სსსკ-ის 236-ე მუხლის (იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა) 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქმეს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახური იძიებს .

ნიუსპრესი

# დაუნის სინდრომი განაჩენი არ არის

მერი ნამორაძე

გუშინ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად თბილისში სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა. ქუჩებში მოხალისეებმა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებმა, დაარიგეს ფლაერები დაუნის სინდრომის შესახებ. ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" ღია გალერეაში კი შედგა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად დამზადებული სოციალური კლიპების პრეზენტაცია და წარდგენილ იქნა ახლად გამოცემული სახელმძღვანელო. დაუნის სინდრომთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის ორგანიზატორი იყო დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა, მშობელთა და პროფესიონალთა კავშირი „ჩვენი ბავშვები". კამპანია წარიმართა გაეროს განვითარების პროგრამა „ღია საზოგადოება –საქართველოსა" და არასამთავრობო ორგანიზაციათა მხარდაჭერით. დაუნის სინდრომი ქრომოსომული დაავადებაა, რომლის დროსაც ადამიანს 46 ქრომოსომის ნაცვლად 47 ქრომოსომა აქვს. როგორც წესი, 21-ე წყვილი ქრომოსომის მაგივრად არის სამი ქრომოსომა, ამიტომ მას სხვანაირად 21-ე წყვილის ტრისომიასაც უწოდებენ. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ზედმეტი ქრომოსომული მასალა იწვევს დაუნის სინდრომისათვის დამახასიათებელ ფიზიკურ და ფსიქიკურ თვისებებს.

არსებობს დაუნის სინდრომისათვის დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნები. ბავშვს შეიძლება რამდენიმე ნიშანი ჰქონდეს ან თითქმის ყველა მათგანი ახასიათებდეს. გავრცელებული ნიშნებია კუნთთა დაბალი ტონუსი, სახის ბრტყელი პროფილი, ცხვირის ფართო, ჩაღრმავებული ხიდი, თვალის ირიბი ჭრილი, დეფორმირებული ყური, მოკლე, ფართო ხელები, ხელისგულზე ერთი ღრმა ხაზი, პირის დიდი ზომა, პირის ზომასთან შედარებით დიდი ენა, მოკლე კისერი, პატარა თავი და ასე შემდეგ.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში ხშირია ასევე გულის თანდაყოლილი მანკი, საჭმლის გადამუშავების პრობლემები, ბავშვობის პერიოდის ლეიკემია, მხედველობისა და სმენის დარღვევები. დასახელებული ჯანმრთელობის პრობლემების უმრავლესობა დღეს განკურნებადია. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა და საშუალოდ 55 წელს აღწევს.

დაუნის სინდრომისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობა. ბავშვი გვიან სწავლობს ჯდომას, სიარულს, ლაპარაკს, საყოფაცხოვრებო ყოველდღიურ ჩვევებს. ისინი ძალიან მგრძნობიარენი არიან ფიზიკური და სოციალური გარემოსადმი, მათი წყენინება ძალიან ადვილად შეიძლება, ამასთან, სწრაფად რეაგირებენ მეგობრულ და მშვიდ დამოკიდებულებაზე. უყვართ ადამიანებთან ურთიერთობა, ცნობისმოყვარენი არიან.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, დაუნის სინდრომის მქონენი ნელა სწავლობენ და ითვისებენ ჩვევებს, მაგრამ ძალიან მონდომებულნი არიან. მათი წახალისება ძალიან ეფექტურია სწავლებისა და აღზრდის პროცესში. არც ერთი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი ერთმანეთს არ ჰგავს, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნული მსგავსება დიდია. მათ, როგორც სხვა ბავშვებს, განსაკუთრებული უნარები და ნიჭი აქვთ. უმეტესობას გააჩნია იოლი და საშუალო ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობა, მცირე ნაწილს კი – ძლიერი ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობა.

დაუნის სინდრომის მიზეზად ხშირად სახელდება ქრომოსომთა დაუცილებლობა, რომლის მიზეზები საბოლოოდ არ არის გარკვეული, მაგრამ მიზეზად ხშირად ასახელებენ დედის ასაკს, გარემოს დაბინძურების ფაქტორებს. 35 წელზე მეტი ასაკის ქალბატონებში საგრძნობლად მატულობს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების გაჩენის ალბათობა, თუმცა, ზოგადად დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების დედათა უმრავლესობა 35 წელზე ნაკლებისაა. ყოველ 1000 ახალშობილზე დაავადების ერთი შემთხვევა ფიქსირდება. დაბადებიდანვე ასეთ ბავშვებს მრავალი სამედიცინო პრობლემა ექმნებათ. 50 პროცენტში გვხვდება გულის თანდაყოლილი მანკი, ამიტომ მნიშვნელოვანია ადრეული დიაგნოსტიკა და ქირურგიული მკურნალობა. ლეიკემიის რისკი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში 15-20-ჯერ მეტია, ვიდრე ნორმალურ პოპულაციაში. იგი ცხოვრების პირველი სამი წლის განმავლობაში ვლინდება და განკურნების ალბათობა დიდია. ხშირია სხვადასხვა ხარისხის მხედველობისა და სმენის დარღვევები. მათი ადრეულ ასაკში დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანია, რათა არ მოხდეს შემდგომში სწავლების ეფექტურობის შესუსტება. აუცილებელია მედიკამენტოზური მკურნალობა, ტექნიკური დახმარება და სწავლების განსხვავებული სტრატეგიები.

დაუნის სინდრომის მქონეებს აქვთ სიმსუქნისადმი მიდრეკილება, ამიტომ მნიშვნელოვანია დიეტოლოგის დახმარება და ბალანსირებული, დაბალკალორიული დიეტა. აქვთ ასევე მეტყველების პრობლემები – მეტყველების განვითარების შეფერხება. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მეტყველება მოუქნელი და ნაკლებად მკაფიოა. სქელი, დიდი ენის, მაღალი სასის, კბილების დეფექტის, დაქვეითებული სმენის გამო მათი მეტყველება, არტიკულაცია, გამოთქმა თუ ხმის ტონი სპეციფიკური ხასიათისაა.

დღეისათვის დაუნის სინდრომი არ იკურნება, მაგრამ ეფექტურია სიმპტომატური, მედიკამენტოზური მკურნალობა, აქტიური პედაგოგიური, ფსიქოლოგიური პროგრამები ადრეული ინტერვენციის პროგრამები. სამწუხაროდ, მშობელთა ნაწილი უარს ამბობს, აღზარდოს დაუნის სინდრომის მქონე შვილი და სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ ტოვებს მას. ნებისმიერ მშობელს მძიმე პერიოდი აქვს გადასატანი, მაგრამ დაუნის სინდრომი განაჩენი არ არის. ამ სინდრომის მქონე ბავშვებს ისევე გააჩნიათ ემოციები, უნარები, ნიჭი, როგორც სხვა ბავშვებს. მათ განვითარების განსხვავებული კანონზომიერება ახასიათებთ, რომელსაც კარგი გაგება უნდა. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ, პირველ რიგში, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა მიიღოს მშობელმა დაუნის სინდრომის შესახებ, რაც დაეხმარება, უკეთ გაერკვეს შვილის განვითარების თავისებურებებში. ბავშვი ისეთი უნდა მიიღოს მშობელმა, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც უნდა იყოს. დაავადებულ ბავშვებს ბევრი რამ არ შეუძლიათ, ბევრი პრობლემა აქვთ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. მშობლისთვის მნიშვნელოვანია გაიგოს, რა შეუძლია, რა მოსწონს, რისი ნიჭი აქვს ბავშვს, რადგან ყოველი მათგანი უნიკალურია.

როგორც აღინიშნა, მშობელმა ადრინდელი პერიოდიდანვე აქტიურად უნდა იურთიერთოს ბავშვთან, რადგან დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი უფრო პასიურია, ვიდრე სხვა ბავშვები. მას გარედან აქტიური სტიმულირება ესაჭიროება სათამაშოებით, საგნებით, მიმართული მეტყველებით. ეს ბავშვები უფრო უკეთ ითვისებენ ინფორმაციას ან ჩვევას, თუ იგი მცირე ნაწილებად არის დანაწევრებული და ნაბიჯ-ნაბიჯ მიეწოდება. აუცილებელია ბავშვის ადეკვატურ განათლებაზე ზრუნვაც. ის, რომ ბავშვი ვერ სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, თუნდაც ვერ ითვისებს წერა-კითხვასა და თვლას, არ ნიშნავს, რომ მას სწავლა არ ესაჭიროება. თვითმომსახურებისა და სოციალური უნარების ათვისება, სხვადასხვა სიტუაციაში შესაფერისი ქცევის განხორციელება, საგნებით მანიპულირება თუ სამუშაო ჩვევებია ათვისება ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ბავშვების სწავლებისას. ზოგიერთს ძალუძს საგანმანათლებლო სკოლაში სწავლა, ზოგისთვის სპეციალური კლასი ან სკოლაა საჭირო. მოზარდების უმრავლესობას შეუძლია დაეუფლოს რაიმე პროფესიას ან ხელობას საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობის შესაბამისად. ხელობის ათვისებაც ინდივიდუალური პროცესია. ადეკვატური მიდგომის შემთხვევაში, ბავშვის შესაძლებლობის გათვალისწინებით, უკვე მოზრდილ დაუნის სინდრომის მქონე პიროვნებას შეუძლია კონკრეტული სამუშაოს შესრულება. მათ მოსწონთ საზოგადოებრივ ურთიერთობებში აქტიური მონაწილეობა, სამუშაოსაც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან და გულმოდგინედ ასრულებენ.

# საგზაო სტრუქტურაში ყველა უხარისხო მკეთებელი უნდა წავიდეს

შორენა გონგლაძე

– საქართველოსა და ირანს საკმაოდ მრავალმხრივი ურთიერთობები გვაკავშირებს. საქართველო-ირანს შორის ექსპორტი ბოლო სამი წლის მანძილზე ათჯერ გაიზარდა. ჩვენ დღეს ნავთობიმპორტიორთა კავშირთან ერთად ვმსჯელობთ მრავალ პრობლემურ საკითხზე. ერთ-ერთია ბიტუმის თემა. ამ საკითხთან დაკავშირებით ხშირ შემთხვევაში თავს იჩენს ხოლმე რიგი პრობლემები, მაგალითად, ბიტუმის ხარისხი. ირანში არის დიდი ქარხნები, რომლებიც ბიტუმს აწარმოებენ, მაგრამ არის ასევე გაურკვეველი წარმოშობის პატარ-პატარა საწარმოები, რომელთა ბიტუმის ხარისხზეც საუბარი გამიჭირდება, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ფასითა და ხარისხის მაღალი მაჩვენებლით ირანის რესპუბლიკას ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუწევს კონკურენციას, – ეს განცხადება ირანის ელჩმა საქართველოში მაჯიდ საბერმა გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე გააკეთა.

კონფერენციას საქართველოში მოქმედი კომპანიის წარმომადგენლები, ამ დარგის ექსპერტები, ირანის საელჩოს ეკონომიკის ატაშე მორთეზა ბარაზეში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე, სხვა მრავალთან ერთად, ბიტუმთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე იყო საუბარი. განხილვის ძირითადი თემა ბიტუმის ხარისხთან დაკავშირებული საკითხები და ხარისხის კონტროლის ეფექტური მექანიზმის შემუშავება იყო. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვახტანგ იობაშვილის განცხადებით, დღეიდან იმპორტიორთა კავშირი ყოველდღიურად საკუთარ ვებგვერდზე ბიტუმის საერთაშორისო პლაცის ფასს გამოაქვეყნებს.

**ვახტანგ იობაშვილი, ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე:**



– სახელმწიფოსგან ძალიან დიდი ფულია გამოყოფილი გზებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის, ჩვენმა კავშირმა მოიწვია ირანის რესპუბლიკის ელჩი და საგზაო ბიტუმის იმპორტიორები. ჩვენ ამიერიდან გვექნება საგზაო ბიტუმის ყოველდღიური პლაცი, ისევე, როგორც ჩვენ გვაქვს ეს საწვავზე. ეს იმიტომ, რომ გაურკვეველი მიზეზების გამო არ მოხდეს ბიტუმის გაძვირება შიდა ბაზარზე, როგორც ხდებოდა ძალიან ახლო წარსულში და ამას ემატება ხარისხის თემაც. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ირანში არის ძალიან ბევრი კარგი ქარხანა, რომლებიც უშვებენ ძალიან კარგ პროდუქტს და არის ისეთი უსახური, გაურკვეველი წარმოშობის საწარმოები, რომლებიც უშვებენ პროდუქტს, მაგრამ იმას არ ჰქვია პროდუქტი და ხარისხზე ხომ საერთოდ არ არის ლაპარაკი. ამაზე, სამწუხაროდ, ბევრი იმპორტიორი ითბობს ხელს, შემოაქვს ეს უხარისხო იაფი პროდუქტი და ქართულ ბაზარზე იყიდება სტანდარტული ფასით.

***– კონტროლი როგორ უნდა მოხდეს?***

– ჩვენ, მრავალწლიანი მუშაობიდან გამომდინარე, გვაქვს ამის გამოცდილება. პლაცი თვითონ გეუბნება, რა ღირს პროდუქტი ბაზარზე, რა ჯდება გზა და ასე შემდეგ. შემდგომ იქნება საბაზრო ფასთან მიახლოებული ციფრი გამოყვანილი ანუ ბაზარმა უნდა არეგულიროს ეს ყველაფერი. ეს წელი უნდა იყოს ხარისხის გაუმჯობესების წელი და ფასის რეგულირება უნდა მოხდეს ხარისხთან მიმართებით. საგზაო სტრუქტურაში ყველა უხარისხო მკეთებელი უნდა წავიდეს, აღარ არის მისი დრო. შეიძლება, ვინც ეს არ იცის, ხარისხიანი პროდუქტითაც კი ვერ აწარმოოს ხარისხიანი მშენებლობა. ამ ყველა დეტალს ჩვენ განვიხილავთ დიდი ყურადღებით და მაქსიმალურად ვიმუშავებთ, რათა ყველა ის პრობლემა აღმოიფხვრას, რომლებიც ქვეყნის ჯანსაღი ინფრასტრუქტურის განვითარებას ხელს უშლის.

**ვანო მთვრალაშვილი, იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე:**



– ასფალტის წარმოების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ე.წ. საგზაო ბიტუმი, რომლის ხარისხიც განსაზღვრავს შემდგომ დაგებული გზის ხარისხსა და მისი ექსპლუატაციის ვადას. როგორც ცნობილია, სანავთობო ბიტუმი საქართველოში არ იწარმოება და მისი იმპორტი ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ შორის ერთ-ერთი დიდი მომწოდებელი გახლავთ ირანის ისლამური რესპუბლიკა. თუ გადავხედავთ სტატისტიკურ მაჩვენებლებს, 2012 წელს საქართველოში სულ იმპორტირებულ იქნა 84,6 ათასი ტონა ბიტუმი. მათ შორის ყველაზე დიდი წილი – 72,5 ათასი ტონა – შემოვიდა ირანის რესპუბლიკიდან, 11,3 ათასი ტონა – აზერბაიჯანიდან, იმპორტის დანარჩენი წილი კი ნაწილდება სხვა ქვეყნებზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ვებგვერდის საშუალებით ყოველდღიურად გამოვაქვეყნებთ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში არსებული საგზაო ბიტუმის ღირებულებას, რომელიც ყოველდღიურად განისაზღვრება ბირჟების საშუალებით და რომლის საშუალებითაც დგება უკვე ჩვენთან არსებული ბიტუმის საბაზრო ფასი. ეს უფრო მეტად გამჭვირვალეს გახდის ყველა დაინტერესებული მხარისთვის ჩვენთან არსებული ფასწარმოქმნის პროცესს. დღეისათვის საქართველოში საგზაო ბიტუმის იმპორტს ახორციელებენ სხვადასხვა კომპანიები და ეს მნიშვნელოვანია, რათა ბაზარზე იყოს კონკურენტული გარემო, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს აღნიშნულ ბიზნესში ჩართული კომპანიების განვითარებას. ძალზე მნიშვნელოვანია ირანის ისლამური რესპუბლიკიდან აღნიშნული პროდუქტის მოწოდების საკითხი და მისი ხარისხი, იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საგზაო პროექტები აქვს დაგეგმილი, რაშიც გამოყოფილი აქვს საკმაოდ სოლიდური სახელმწიფო თანხები. ვფიქრობთ, რომ აუცილებელია, იმპორტირებული ბიტუმის ხარისხი შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტს. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში არის საგზაო ბიტუმის მწარმოებელი მაღალტექნოლოგიური სერიოზული ქარხნები, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქტი აკმაყოფილებს აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა არსებობს ასევე მინისაწარმოები, რომლებიც კუსტარული გზით იღებენ ხშირ შემთხვევაში უხარისხო, არასტანდარტულ პროდუქციას, რომელთა შემოტანა ხდება შემდგომ საქართველოში მისი დაბალი ფასის გამო. მიგვაჩნია, რომ უნდა შეიქმნას გარკვეული მექანიზმები, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს, რათა არ მოხდეს საქართველოში უხარისხო პროდუქციის შემოდინება, რომელიც ხშირ შემთხვევაში თავის საბაზრო ღირებულებაზე დაბალი ფასის გამო ასფალტის მწარმოებლებისათვის საკმაოდ მიმზიდველია.



# ბიძინა ივანიშვილი: „გლეხს საკუთარ სოფელში ღირსეულად ცხოვრების საშუალება უნდა ჰქონდეს"

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, რომელიც მან, მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში, საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის დაათვალიერების დროს გააკეთა, სოფლის მეურნეობა უნდა აღორძინდეს, რათა გლეხს საკუთარ სოფელში ღირსეულად ცხოვრების საშუალება ჰქონდეს.

„მიწები ყველგან იხვნება, ასევე სუფდავდება არხები, რომ ამ მიწებს სარწყავი წყალი ჰქონდეს. ჩვენ ვაკეთებთ იმას და იმაზე მეტსაც, რასაც მოსახლეობას დავპირდით. სოფლის მეურნეობა აუცილებლად უნდა აღორძინდეს, გლეხი მიწას უნდა დაუბრუნდეს და ამავდროულად, საშუალება ჰქონდეს რომ საკუთარ სოფელში ღირსეულად იცხოვროს. სწორედ ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი და გარწმუნებთ, რომ რაც დრო გავა, საქართველო მეტად აღორძინდება" -განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერთან ერთად საგაზაფხულო სამუშაოები, სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემაც მოინახულა.

**ნიუსპრესი**

# გერმანიის ბუნდესტაგში საქართველოში განხორციელებულ ამნისტიას სამაგალითოდ აფასებენ

გერმანიის ბუნდესტაგის სოციალ – დემოკრატიული ფრაქციის წევრი, ადამიანის უფლებათა დამცველი კრისტოფ შტრასერი, საქართველოში ამოქმედებულ ამნისტიის შესახებ კანონს სამაგალითოს უწოდებს.

„საქართველო არის პირველი ქვეყანა, სადაც პოლიტპატიმრები ევროსაბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმებით გათავისუფლდნენ. ეს კანონი შესაძლოა იქცეს მაგალითად რეგიონის სხვა სახელმწიფოებისთვისაც. იმედს გამოვთქვამთ, რომ ამნისტიის კანონი საქართველოს საზღვრებს გასცდება"– ნათქვამია გერმანიის ბუნდესტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ამნისტიის შესახებ კანონი, რამდენიმე დღის წინ, დადებითად შეაფასა აგრეთვე „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ" და საქართველოს ხელისუფლებას ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებისკენ მოუწოდა.

**ნიუსპრესი**

# გიორგი ზანგური რუსთაველის თეატრში მიიწვიეს

ეკა ირემაშვილი



პოეტი და მსახიობი გიორგი ზანგური რუსთაველის თეატრში მიიწვიეს. ამის მიზეზი თეატრში დაწყებული ახალი პროექტი „საუბრები პოეზიაზე" გახდა. ეს უკვე რიგით მეორე ღონისძიებაა, სადაც ახალგაზრდა პოეტები საკუთარ ლექსებს გააცნობენ საზოგადოებას. ამ საღამოებზე, რომლებსაც რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა მასპინძლობს, დასწრება თავისუფალია.

– ვაგრძელებთ პოეზიის საღამოების ციკლს. 22 მარტს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე გაიმართება ქართველი პოეტისა და მსახიობის, გიორგი ზანგურის პოეზიის საღამო. პოეტი წაიკითხავს ლექსებს კრებულიდან „წიგნი" და „ჩემს თანადედამიწელებს". მაყურებელი ასევე მოისმენს გიორგი ზანგურის ახალ ლექსებს, – აცხადებენ რუსთაველის თეატრში.

გიორგი ზანგური პროფესიით მსახიობია, მას შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. მან ითამაშა უილიამ სომერსეტ მოემის პიესაში „აღთქმული მიწა" ფრენკ ტეილორის როლი. მსახიობი მიიწვიეს სამეფო უბნის თეატრში, სადაც შეასრულა მიტროს როლი პიესაში „გიულიჰ". გიორგიმ იმუშავა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში, სადაც ითამაშა ქეთი პატარაიას პიესაში „ხვალ შობაა" ლეო ტაბიძის როლი.

მისი ლექსების პირველი კრებული 5 წლის წინ გამოვიდა და მას „ჩემს თანადედამიწელებს" ეწოდება. მან ასევე გამოსცა პოეტთა ორდენ სამკაულის კრებული და სიდი „ამიშვი ცამდე". ლექსების მეორე კრებული კი გამოსცა ოთხი წლის წინ და მას „წიგნი" უწოდა. ხელოვანის პიესა „დონორები" დაიდგა ცვლილებების თეატრში.

მსახიობი მიიწვიეს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში, სადაც ითამაშა ნინო სადღობელაშვილის პიესაში „ბამბაზიის სამოთხე" ბათუ აჩბას როლი და ალექსეი ვრონსკის როლი „ანა კარენინაში". მსახიობს შესრულებული აქვს გენერად ორმოლოვის როლი გურამ ქართველიშვილის პიესის „ცერკოვნი ბუნტ"-ის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში. მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი თავისუფალ თეატრშია, სადაც ჰენრიკ ოფსენის პიესაში „ნორა ანუ თოჯინების სახლი" ტორვალდ ჰელმერის პერსონაჟი განასახიერა.

რაც შეეხება კინოროლებს, გიორგი ზანგურმა მონაწილეობა მიიღო რეჟისორ ლევან თუთბერიძის ფილმი „უშენოდ მგონი მოვკვდები" და გიორგი სიხარულიძის ფილმში „ბამბაზიის სამოთხე". გიორგი ზანგურს ქვეყნის მასშტაბით არაერთი პოეზიის საღამო აქვს გამართული.

– რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე თვეში ერთხელ იმართება ახალი პროექტი „საუბრები პოეზიაზე". ამ საღამოებზე წარმოდგენილი იქნება ახალბედა პოეტთა შემოქმედება. ავტორებთან ერთად ლექსებს კითხულობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები. საღამოების ორგანიზატორები არიან მურმან ჯინორია და ნიკოლიზ ჰაინე-შველიძე. პირველი საღამო მიეძღვნათ რუსთაველის თეატრის მსახიობების ბესო ზანგურისა და პაატა გულიაშვილის ლექსებს. საღამოს უძღვებოდა მურმან ჯინორია, ხოლო კოლეგების ლექსები წაიკითხეს მანანა აბრამიშვილმა, ზურა ინგოროყვამ, კახა კუპატაძემ, ბექა სონღულაშვილმა, ია სუხიტაშვილმა, ნიკა ქაცარიძემ და ბაჩო ჩაჩიბაიამ. ამჯერად თეატრის ექსპერიმენტულ სცენას გიორგი ზანგურს და მის პოეზია დავუთმობთ, – განმარტავენ რუსთაველის თეატრში.

# სიმფონიური ორკესტრი ბეირუთში დაუკრავს

ეკა ირემაშვილი



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი 23 მარტს ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების მე-20 საერთაშორისო ფესტივალზე, რომლის მუსიკალური ხელმძღვანელია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო, პირველ საფესტივალო კონცერტს გამართავს.

23 და 25 მარტს აჟღერდება ვერდის „რეკვიემი", რომელშიც ცნობილ ქართველ მომღერალთან მეცო-სოპრანო ნინო სურგულაძესთან ერთად იმღერებენ სოპრანოები – კრისტინა ნასიფი (23 მარტი), ჯოის ელ ხური (25 მარტი), ტენორი დარიო შმუნკი, ბანი მიგელე ბიანჩინი. ამ მომღერლებს თბილისის ოპერის თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად პარტნიორობას გაუწევენ ლიბანის ეროვნული კონსერვატორიის, ანტონინისა და ნოტრდამის უნივერსიტეტების გუნდები.

27 მარტს კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი მონაწილეობას მიიღებს ალ ბუსტანის მე-20 საერთაშორისო ფესტივალის დასკვნით გალა-კონცერტში, რომლის პროგრამით აჟღერდება ფრაგმენტები ვერდის ოპერებიდან „აიდა", „რიგოლეტო", „ერნანი", „სიცილიური მწუხრი", „ლუიზა მილერი", „კორსარი", „ობერტო, სან ბონიფაჩოს გრაფი", „ბედის ძალა", „ტრავიატა". ზემოთ აღნიშნულ მომღერლებთან ერთად გალა-კონცერტში ასევე იმღერებენ სოპრანო მარტინა ზადრო და ბარიტონი ოზრენ ბილუსიკი.

სამივე კონცერტს იდირიჟორებს თბილისის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორი და ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელი ჯანლუკა მარჩანო.

ევროპის საფესტივალო ასოციაციის წევრის, ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე თბილისის ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრი 2011 და 2012 წლებშიც წარდგა მრავალფეროვანი პროგრამით. გასული წლების წარმატების დასტური ახლანდელი მიწვევაა.

# კლიმატური ცვლილებების პროექტის პრეზენტაცია გაიმართება

დღეს სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში" გაიმართება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების „კლიმატური ცვლილებების" პროექტის პრეზენტაცია.

როგორც წითელი ჯვრის საზოგადოების განმარტებით, პროექტი მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში მონაწილე ექვსივე ქვეყანაში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ბელორუსი და უკრაინა) ეროვნული ქსელის შექმნას, რომელშიც შევლენ კლიმატური ცვლილებების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები და სახელმწიფო ორგანოები.

ერთდღიან სამუშაო შეხვედრაზე მოხდება „კლიმატური ცვლილებების" პროექტის პრეზენტაცია კლიმატური ცვლილების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების და კომპანიებისთვის.

შეხვედრას გახსნის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი ნათია ლოლაძე. შეხვედრას დაესწრებიან სწჯს-ის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მედიანიუსი

# თბილისის მერია ბრალდებას უარყოფს

თბილისის მერიის ცნობით, მერიას მიმართა ,,სტუდია მონიტორმა", რომლის მოთხოვნის საპასუხოდ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, თბილისის მერიამ მათ ის საჯარო ინფორმაცია მიაწოდა, რომლის გაცემის ვალდებულება მას კანონით ეკისრებოდა. კერძოდ, ,,სტუდია მონიტორის" ჟურნალისტს ეცნობა, რომ შესაბამისი ფონდების მიერ, ქალაქში არსებული ქუჩების, სკვერების, გზების, გვირაბების, შენობების (ჯამში დაახლოებით 220 ობიექტის) რეაბილიტაციაზე 2005 წლიდან 2011 წლის 5 ივლისამდე დაიხარჯა 367 259 251 ლარი. ამასთან, მათ ეცნობათ ყველა კონკრეტული ობიექტის ჩამონათვალი, რომლის აშენებაზე ან რეაბილიტაციაზე დაიხარჯა აღნიშნული თანხა.

როგორც დედაქალაქის მერია განმარტავს, ,,სტუდია მონიტორისთვის" გაგზავნილ ინფორმაციაზე დაყრდნობით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ თბილისის მერიას მოსთხოვა ინფორმაცია თითოეული ობიექტზე დახარჯული თანხისა და შემსრულებელი კომპანიების შესახებ. აღნიშნული დეტალური ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად მათ ეცნობათ, რომ შესრულებული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შეეძლოთ ააიპ ,,თბილისის განვითარების ფონდი"-დან.

„რაც შეეხება საიას მოსაზრებას, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ, თბილისის ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხა გაუმჭირვალედ იხარჯებოდა, გვინდა განვაცხადოთ, რომ მიმდინარე წლის 20 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ააიპ ,,თბილისის განვითარების ფონდი"-დან სრულად ამოიღო მისი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია. შესაბამისად, ერთის მხრივ ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ სწრაფად დასრულებული ობიექტური გამოძიება ცხადს გახდის, რომ თანხების ხარჯვა ხდებოდა კანონმდებლობის სრული დაცვით, ხოლო მეორეს მხრივ, ვაცხადებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტაციის დაბრუნებამდე უფრო კონკრეტული ინფორმაციის გაცემა შეუძლებელია.

და ბოლოს, რაც შეეხება ააიპ ,,თბილისის განვითარების ფონდი"-ს მისამართს, ის შეიცვალა და ამჟამად ის მდებარეობს ძმ. ზუბალაშვილების ქ. №48-ში. ამასთან, გვინდა საიას შევახსენოთ, რომ მომავალში მსგავსი პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, მათ შეუძლიათ ნებისმიერი იურიდიული პირის მისამართი იხილონ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე, – ნათქვამია მერიის განცხადებაში.

მედიანიუსი


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

- დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.
- ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.
- მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.
- კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.
- ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ჯუზეპე როსი: „არ შეიძლება, ვინმეს ზემოდან დახედო მხოლოდ იმიტომ, რომ ბურთს მასზე უკეთ აგორებ“

ერთ დროს ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 26 წლის თავდამსხმელი ჯუზეპე როსი, „ვილიარეალიდან“ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა და „ფიორენტინაში“ ჩაირიცხა. თუმცა, თავდამსხმელს არ გაუმართლა და თითქმის ერთი წელია, რაც ტრავმას იშუშებს.

უმძიმესი ტრავმის გამო ჯუზეპემ ევროპის ჩემპიონატი გამოტოვა და მკურნალობის პროცესს როსი ამერიკაში გადიოდა, სადაც იტალიელი ჟურნალისტი გაესაუბრა.

ინტერვიუს დაწყებამდე როსის „გაძეტა დელო სპორტის“ ახალი ნომერი ყურადღებით გადაათვალიერებინა და „იუვენტუსის“ მორიგ გამარჯვებაზე უთქვამს, დედაჩემი გახარებული იქნებაო.

***— დედათქვენი „იუვენტუსის“ გულშემატკივარია?***

— დიახ, ბავშვობიდან „იუვენტუსს“ გულშემატკივრობს, ხოლო მამაჩემი „მილანის“ ქომაგია. ამის გამო ოჯახში ყოველთვის განხეთქილება გვქონდა.

***— თქვენ ვის გულშემატკივრობთ?***

— მამამ გადამიბირა და ბავშვობაში „მილანის“ გულშემატკივარი ვიყავი. დღეს ფეხბურთი ჩემი პროფესიაა და, ბუნებრივია, ეს ემოციები განელებული მაქვს. თუმცა, ვაღიარებ, რომ „როსონერის“ მიმართ სიმპათიები დღემდე შემომრჩა. ჩემს ოთახში მარკო ვან ბასტენის და რუდ გულიტის პოსტერები მქონდა გაკრული. შემდეგ ჟირჯ ვეას ვეთაყვანებოდი, ბოლო პერიოდში კი ანდრეი შევჩენკოს თამაში მხიბლავდა.

***— ალბათ, ძალიან გეწყინათ, როდესაც ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ „მილანის“ გეგმებში არ ჯდებოდით.***

— ეს არც გამკვირვებია, რადგან ბევრს არ სჭირდება ისეთი მოთამაშე, რომელსაც ტრავმის გამო თითქმის ერთი წელი გაუცდა. ასეთი ფეხბურთელის დამატება სერიოზული რისკია. სწორედ ამიტომ „ფიორენტინას“ ხელმძღვანელობის მადლიერი ვარ და მინდა, მათ მიერ გაცემული ავანსები სრულად გავამართლო. ძალიან მომწონს ვინჩენცო მონტელას საფეხბურთო ხედვა და ვფიქრობ, ახალ გუნდს კარგად შევეწყობი.

***— „ფიორენტინაში“ ძველ მეგობარს შეხვდით, რომელიც გრანდებმა უყურადღებოდ დატოვეს და ისიც „ფიორენტინაში“ მოხვდა.***

— ბორხა ვალერო გყავთ მხედველობაში, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა მაქვს. შესანიშნავი ფეხბურთელია, მოედნის იდეალური ხედვითა და პასის უმაღლესი კულტურით. ვიცოდი, რომ ბორხა „ვიოლას“ წაადგებოდა და ასეც არის. მის მხარდამხარ თამაში დიდი სიამოვნებაა და მიხარია, რომ ამის საშუალება მომეცემა.

***— როგორ ფიქრობთ, უახლოეს მომავალში „ფიორენტინას“ სკუდეტოს მოგება თუ შეუძლია?***

— კი, შეუძლია და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. მაგალითად, ესპანეთის ჩემპიონატში პირველობისთვის ორი გუნდი იბრძვის და მათთვის კონკურენციის გაწევა წარმოუდგენელია. ჩვენთან კი ყველაფერი სხვაგვარადაა. პოტენციურად, სკუდეტოსთვის 5-6 გუნდს მაინც შეუძლია ბრძოლა და მათ შორის „ფიორენტინასაც“.

***— რა მიზნები გაქვთ „ფიორენტინაში“?***

— მსურს „ფიორენტინას“ წარმატებებში ჩემი წვლილი შევიტანო. ძალიან მინდა, ფლორენციულ გუნდთან ერთად ტიტულები მოვიგო, რადგან სპორტსმენის კარიერა სწორედ ამით იზომება.

***— ანუ თქვენ მაიკლ ჯორდანის მოსაზრებას იზიარებთ? მისი თქმით, სპორტსმენი ჯილდოების რაოდენობით უნდა შეფასდეს.***

— კი, ვეთანხმები. მაგალითად, ალან შირერმა კარიერაში 300-ზე მეტი გოლი გაიტანა, თავის საქმეს იდეალურად აკეთებდა, მაგრამ ლეგენდების გვერდით მაინც არავინ იხსენიებს. დარწმუნებული ვარ, შირერს მსოფლიოს ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა რომ მოეგო, დღეს მას გერდ მიულერის გვერდით დააყენებდნენ.

***— კარიერის საწყის წლებში „მანჩესტერ იუნაიტედში“ ირიცხებოდით. როგორ გაიხსენებთ ინგლისურ პერიოდს?***

— იქ ორი უდიდესი ადამიანი გავიცანი, რომლებმაც ძალიან ბევრი რამ მასწავლეს. პოლ სქოულზი და რაიან გიგზი მყავს მხედველობაში, ფეხბურთელები, რომლებსაც დღემდე ვეთაყვანები. არასდროს იშურებდნენ რჩევებს და ყოველთვის მპატიობდნენ შეცდომებს. ალექს ფერგიუსონს თავისებური ხასიათი აქვს. მოედნის მიღმა მამასავით მექცეოდა, თამაშებისა და ვარჯიშების დროს კი ხშირად ზედმეტად უხეშია. თუმცა, ფერგიუსონს ყველა პატივს სცემს და მისგან არც უხეშობა სწყინთ.

***— როდის ესაუბრეთ ბოლოს ჩეზარე პრანდელის?***

— თუ არ ვცდები, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე. ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება ჩემი ოცნებაა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. საამისოდ გუნდში სტაბილურად და მაღალ დონეზე ასპარეზობაა აუცილებელი. „სკუადრა აძურაში“ დიდი კონკურენციაა და ისეთი ფორვარდები ხვდებიან განაცხადს მიღმა, რომლებსაც არაერთი მწვრთნელი ისურვებდა თავისი გუნდის რიგებში.

***— აშშ-ში დაიბადეთ და გაიზარდეთ. არასდროს გიფიქრიათ ამერიკის ნაკრებში თამაშზე? შტატებში მოღალატედაც კი გთვლიან.***

— რა სისულელეა... მე იტალიურ კვარტალში გავიზარდე, სადაც გამართული ინგლისურით თითქმის ვერავინ ლაპარაკობდა. ყოველთვის იტალიელად ვთვლიდი თავს და, შესაბამისად, ვერც მოღალატედ ჩავითვლები. კობი ჯონსისა და ტონი მეოლასადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ამერიკის ნაკრების მიმართ სიმპათიაც კი არასდროს მქონია.

***— თქვენი მეგობარი გოგონა ამბობს, რომ ფულმა საერთოდ არ შეგცვალათ.***

— რაფი ლორეტაც ნიუ ჯერსის იტალიურ კვარტალში გაიზარდა და მას ბავშვობიდან ვიცნობ. იცის, როგორი ვიყავი მაშინ და როგორი ვარ დღეს. არასდროს უნდა დაივიწყო, საიდან მოდიხარ და ვინ იდგა გაჭირვების დროს შენ გვერდით. არ შეიძლება, ვინმეს ზემოდან დახედო მხოლოდ იმიტომ, რომ ბურთს მასზე უკეთ აგორებ. ვინც ასე იქცევა, სასაცილოა და მეტი არაფერი.

***— თუ გყავთ კუმირი?***

— კობი ბრაიანტი, რომლის თამაშის ყურებაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. მისი მიზანსწრაფულობა ჩემში აღფრთოვანებას იწვევს და ამაში ვბაძავ კიდეც. დაახლოებით ერთი თვის წინ მასთან ერთად წვეულებაზე აღმოვჩნდი და გაცნობაც დავაპირე... თავიდან ცოტა მომერიდა, შემდეგ კი გავბედე და გამოველაპარაკე. ერთად ფოტოც გადავიღეთ და, როგორც მოველოდი, ჩემ შესახებ არაფერი სმენოდა. კობი ფენომენალურია.

# საქართველოს ნაკრების ოპტიმისტური განწყობა

ეროვნული ნაკრები პარიზში სეზონის წლის პირველი ოფიციალური მატჩისთვის უკვე 4 დღეა ემზადება. თემურ ქეცბაიამ სრული, 24-კაციანი შემადგენლობით ვარჯიში 20 და 21 მარტს შეძლო. ეროვნულ ნაკრებს საფრანგეთთან მატჩამდე ორი დღით ადრე „მორდოვიას“ ქართველი ლეგიონერი აკაკი ხუბუტია შეუერთდა.

ნაკრების ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. დღევანდელ შემადგენლობაში ეროვნული გუნდის მხოლოდ ორი ფეხბურთელია, რომლებსაც საფრანგეთის წინააღმდეგ უთამაშიათ. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ფრანგების წინააღმდეგ ორივე მატჩში ნაკრების ამჟამად ყველაზე გამოცდილმა წევრებმა — ზურაბ ხიზანიშვილმა და დავით კვირკველიამ ითამაშეს. ორივე ფეხბურთელს ფრანგთა წინააღმდეგ მესამე შეხვედრის ჩატარების შანსი 22 მარტს ექნება.

თურქული „ქაისერისპორის“ ქართველი ლეგიონერი წლის პირველ მატჩს განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება.

**ზურაბ ხიზანიშვილი:**

— ასეთ გუნდთან თამაში ყველა ფეხბურთელისთვის დამატებითი მოტივაციაა. შესაძლოა, ზოგიერთმა ფეხბურთელმა კარიერა ისე დაასრულოს, რომ ასეთ გუნდთან თამაში არ მოუწიოს. გუნდში განწყობა საუკეთესოა და ვემზადებით კარგი მატჩის ჩასატარებლად.

კარგ განწყობაზე არიან ნაკრების სხვა ფეხბურთელები.

**ლევან ყენია:**

— ძალიან მნიშვნელოვანი თამაშია. გუნდში კარგი განწყობაა, ვემზადებით, ვაპირებთ, კარგი მატჩი ჩავატაროთ. ბიჭები ყველაფერს ვეცდებით, რომ ჩვენთვის სასურველ შედეგს მივაღწიოთ. ეს ფეხბურთია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენ მზად ვართ და ველოდებით კარგ შედეგს.

**სანდრო კობახიძე:**

— ძალიან მნიშვნელოვანი თამაშია. საფრანგეთს სერიოზული ნაკრები ჰყავს. ძალიან რთული მატჩი გველის, მაგრამ თამაში ყველასთან შეიძლება. მინდორზე გავალთ იმისთვის, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ. ჩემთვის კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშია. მაგრამ ამ ეტაპზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საქართველოს ნაკრებს ქულები სჭირდება. ჩემთვის დასამახსოვრებელი მატჩია. სასურველი შედეგის მიღება სავსებით შესაძლებელია. ამ შედეგის მისაღწევად კი ყველაფერს გავაკეთებთ.

**აკაკი ხუბუტია:**

— როგორც ყოველთვის, კარგი განწყობა გვაქვს, საბრძოლო. საპასუხისმგებლო თამაშია. მატჩის დროს გამოჩნდება ყველაფერი. დღევანდელ ფეხბურთში ყველაფერი შესაძლებელია. შევეცდებით, უფრო უკეთესად ვითამაშოთ, ვიდრე ესპანეთთან. გამარჯვება ყოველთვის სასურველი შედეგია, მაგრამ ფრეც არ იქნება ურიგო.

**დავით კვირკველია:**

— საბრძოლო განწყობაა. საფრანგეთთან რთულია თამაში, თითოეულმა ფეხბურთელმა ვიცით, როგორი მატჩი გველის. თამაში 0:0 იწყება და წინასწარ ვერ განსაზღვრავ, როგორ დასრულდება. ყველა გუნდს შეუძლია მოგება, მათ შორის ჩვენც. დავამტკიცეთ, რომ იოლად გასავლელი ნაკრები არ ვართ. ახლაც ასე იქნება.

**გურამ კაშია:**

— სასურველი შედეგი ჩვენთვის ფრეც იქნება, იმედი გვაქვს, კარგ თამაშს ჩავატარებთ. დროა უკვე, ამ ნაკრებმა თავისი სათქმელი თქვას. შეგვწევს ძალა, მინიმუმ ფრე ვითამაშოთ, მით უმეტეს, საფრანგეთის ნაკრებს უჭირს ასეთ გუნდებთან თამაში, ბევრჯერ წაუგია ასეთი მატჩები. შეიძლება ისე მოხდეს, რომ მოვიგოთ კიდეც. ეს შეუძლებელი არ არის ამ შემადგენლობის ნაკრებისთვის. საინტერესო მატჩი გველის.



# მეორე დღის ორი მედალი — ოქრო და ბრინჯაო

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე მოჭიდავეთა ევროპირველობაზე მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა. ვაჟებმა საუკეთესოები 55 და 60 კილოგრამში, ქალებმა კი 51 და 59 კგ-ში გამოავლინეს. როგორც გუშინ გამცნეთ, საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე პირველი მედალი გიორგი ედიშერაშვილმა მოუტანა, რომელმაც საოცარი ჟინითა და შემართებით იჭიდავა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა. საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი მედალი ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (60 კგ) შესძინა, რომელმაც ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

სპეციალისტები ოქროსა და ბრინჯაოს თავიდანვე გეგმავდნენ, თუმცა სხვაგვარად — ხინჩეგაშვილი ფავორიტად მიიჩნეოდა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა გიორგი ედიშერაშვილმა (55 კგ) პირველი წრის შეხვედრა აზერბაიჯანელ ნაშარ ალიევს მოუგო. გიორგიმ პირველი პერიოდი 1:2 დათმო, თუმცა შეხვედრის ბედი სათავისოდ შეატრიალა და მომდევნო ორ სეტში 1:0, 2:0 გაიმარჯვა.

ედიშერაშვილი მეორე წრეში ფრანგ ელ ოუარაქის დაეჭიდა და 1:0, 1:0 აჯობა, ნახევარფინალურ შეხვედრაში კი რუსი არტიომ გებეკოვი 1:0, 5:2 დაჩაგრა და ფინალში გავიდა. ქართველმა ფალავანმა გადამწყვეტი შეხვედრა ბელარუს ვლადისლავ ანდრეევთან გამართა, გულშემატკივრების შეძახილებით გამხნევებულმა, თავიდანვე აქტიურად შეუტია, 0:1, 1:0, 2:1 გაიმარჯვა და ევროპის ჩემპიონი გახდა.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრა თურქ მუნირ აქტასს 3:1, 6:0 მოუგო. საერთოდ კი ხინჩეგაშვილს ურთულესი ბადე ერგო, რასაც ისიც დაერთო, რომ რამდენიმე შეხვედრის ჩატარება ერთმანეთის მიყოლებით მოუხდა — ნახევარ საათში 3 ბრძოლა ჩაატარა და ნახევარფინალში რუს ოპან სატთან გადამწყვეტ შეხვედრას დაღლილი შეხვდა — 0:6, 0:1.

ბრინჯაოს შეხვედრამდე ხინჩეგაშვილმა საწყისი წრე გამოტოვა, მეორე ეტაპზე ესტონელ ალექსეი ბასკაკოვს 3:0, 7:0 სძლია, მეოთხედფინალში კი აზერბაიჯანელ ჰაჯი ალიევთან 1:0, 2:6, 3:1 გაიმარჯვა. ამ წონის გამარჯვებული რუსი ოპან სატი გახდა, რომელმაც ფინალურ ორთაბრძოლში ბულგარელ ვლადიმირ დუბოვს 1:0, 2:1 აჯობა.

ქალთა შორის 51 კილოგრამის გამარჯვებული პოლონელი როკსენა მარტა ზასინა გახდა, 59 კილოგრამში კი ბელარუსმა ანასტასია ხუჩოკმა იჩემპიონა.

**გიორგი ედიშერაშვილი:**

— ძალიან მიხარია, რომ გავიმარჯვე და გავხდი ევროპის ჩემპიონი. ამ გამარჯვებას დარბაზისა და ქართველი ხალხის დიდი ქომაგობით მივაღწიე. ყველაფერი გავაკეთე, რომ გამეხარებინა საქართველო და ჩემს სამშობლოში გავმხდარიყავი ევროპის ჩემპიონი.

**ვლადიმერ ხინჩეგაშვილი:**

— ევროპის ჩემპიონატზე მოგებული ნებისმიერი სინჯის მედლის მოგება ძალიან სასიხარულოა. სამწუხაროდ, ნახევარფინალში დავმარცხდი ჩემი შეცდომის გამო, თანაც სხვა წონით კატეგორიაში გამოვდივარ წელს და ამანაც იქონია გავლენა. შევეცდები, ჩემ მიერ დაშვებული შეცდომები გამოვასწორო და მომავალში უფრო კარგი შედეგი ვაჩვენო. ბრინჯაოს მედლისთვის ჩემს ჭიდაობას რაც შეეხება, ტატამზე ბოლომდე დავიხარჯე და ყველაფერი დავდე. მიხარია, რომ შევძელი გულშემატკივრის გახარება.

**საბოლოო შედეგები:**

**ვაჟები**

55 კგ: 1. გიორგი ედიშერაშვილი (საქართველო); 2. ვლადისლავ ანდრეევი (ბელარუსი); 3. სეზარ აკგული (თურქეთი); 3. იაშარ ალიევი (აზერბაიჯანი);

60 კგ: 1. ოპან სატი (რუსეთი); 2. ვლადიმირ დუბოვი (ბულგარეთი); 3. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (საქართველო); 3. ტიმ შლეიხერი (გერმანია);

**ქალები**

51 კგ: 1. როკსენა მარტა ზასინა (პოლონეთი); 2. ესტერა დობრე (რუმინეთი); 3. იულია ბლოხინა (უკრაინა); 3. ეკატერინა კრასნოვა (რუსეთი);

59 კგ: 1. ანასტასია ხუჩოკი (ბელარუსი); 2. ჟარგალმა ჟირენოვა (რუსეთი); 3. ტატიანა ლავრენჩუკი (უკრაინა); 3. ჰაფიზე შაჰინა (თურქეთი).

# შედეგები

**ფეხბურთი**

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ვარეზე-ვერონა | 0:2 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| კლივლენდი-მაიამი | 95:98 |
| შარლოტი-ტორონტო | 107:101 |
| ატლანტა-მილუოკი | 98:90 |
| ნიუ იორკი-ორლანდო | 106:94 |
| დალასი-ბრუკლინი | 96:113 |
| მემფისი-ოკლაჰომა | 90:89 |
| ნიუ ორლეანი-ბოსტონი | 87:86 |
| ჰიუსტონი-იუტა | 100:93 |
| სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი | 104:93 |
| ფინიქსი-ვაშინგტონი | 79:88 |
| კლიპერსი-ფილადელფია | 101:72 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. მაიამი**

| | |
|---|---|
| მატოსევიჩი-სელა | 2:6;6:1;4:6 |
| დავიდენკო-ლორენცი | 6:0;2:6;6:0 |
| ტურსუნოვი-სმიჩეკი | 7:6;7:5 |
| ჰარისონი-ბლეიკი | 2:6;2:6 |

**ვტა. მაიამი**

| | |
|---|---|
| პირი-ბუშარი | 6:4;1:6;4:6 |
| მედინა გარიგესი-დულჟერუ | 5:7;6:4;7:6 |
| ესპინოსა-პარმენტიე | 6:0;6:7;6:2 |
| შვედოვა-ჩჯენი | 5:7;4:6 |
| სკიავონე-ჩეპელოვა | 5:7;6:4;6:4 |
| ვეკიჩი-პუტინცევა | 7:6;6:0 |
| კეისი-კიიკი | 6:0;6:0 |
| მატეკი-პუჩი | 6:4;7:6 |
| მაკჰეილი-კონტავეიტი | 6:2;6:2 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ტორონტო-ტამპა ბეი | 4:2 |
| დეტროიტი-მინესოტა | 2:4 |
| კოლორადო-დალასი | 4:3 |
| ედმონტონი-სან ხოსე | 3:3(0:1ბ) |
| ანაჰაიმი-ჩიკაგო | 4:2 |

# გარდაიცვალა ნუგზარ ძაგნიძე

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მორაგბე, ქუთაისის „აიას“ ლეგენდარული უკანახაზელი ნუგზარ ძაგნიძე.

რაგბის რამაზ სვანიძის წრეში ეზიარა. შალვა ქურციკიძემ 17 წლის უმაღლეს ლიგაში აიყვანა, მერე კი დუგლას კავთელაშვილმა დააოსტატა.

საბჭოთა ხანაში აიღო სამი ოქრო (1987; 1988; 1989), თითო ვერცხლი (1984), ბრინჯაო (1985) და ორი თასი (1987 1990).

თამაშობდა საბჭოეთის ჭაბუკთა და კაცთა ნაკრებებში. „ერთა თასის“ წინამორბედ „ფირას პირველობაზე“ მოიპოვა სამი ვერცხლი (1987 1989 1990).

იყო საქართველოს 10 ნომერი პირველ ტესტში (1989 ქუთაისი) და ზიმბაბვეს 16-ვე ქულა გაუტანა.

1995 წლის ბოლომდე მიითვალა 12 ბორჯღალი, ნაკრებს 7-ჯერ უკაპიტნა და 105 ქულა (3 ლელო, 9 გარდასახვა, 22 ჯარიმა, 3 არეკნი,) შესძინა.

# ახალგაზრდულმა ავსტრიული შეკრება მოგებით დაიწყო

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა 20 მარტს პირველი შეხვედრა გამართა — ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრები 2:0 დაამარცხა.

პირველ ტაიმში ალბანელთა კარში გოლი ვლადიკავკაზის „ალანიას“ თავდამსხმელმა გიორგი ჭანტურიამ გაიტანა, მეორეში კი უნგრული „დიორის“ შემტევმა გიორგი ქვილითაიამ.

აღსანიშნავია, რომ ქვილითაია პირველად არის გამოძახებული ახალგაზრდულ ნაკრებში და დებიუტშივე მოახერხა თავის გამოჩენა. ქართველმა ახალგაზრდებმა ამ შემადგენლობით ითამაშეს: ნადირაძე, ტვილდიანი, კოხია (გაგნიძე), კობახიძე, კვეკვესკირი, პაპავა (ჯგერენაია), პარუნაშვილი (ილურიძე), ჯილაური (გიგაური), ყაზაიშვილი (კირკიტაძე), ჭანტურია (ჩაფიძე),სხირტლაძე (ქვილითაია).

მომდევნო შეხვედრას ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილი გუნდი 23 მარტს გამართავს აზერბაიჯანელ თანატოლებთან.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებს 26 ობიექტი დაემატა

ეკა ირემაშვილი



კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ 26 ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ბრძანებულებით, სტატუსი 26 ობიექტმა მიიღო, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშია განთავსებული, მათ შორის, თერჯოლის, ახალციხის, თელავის, გორის, ჭიათურის, წყალტუბოს, ახმეტის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისში. გამოქვეყნებული ბრძანებულების მიხედვით, მინისტრმა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭა თერჯოლის მუნიციპალიტეტში მდებარე რამდენიმე ეკლესიას, ხიდსა და ორ გამოქვაბულს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ასევე მიენიჭათ ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ წყალთბილაში მდებარე წყალთბილას ეკლესიას, თელავში მდებარე კისისხევის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას და კოშკს. გორის მუნიციპალიტეტში მდებარე „წმიდა გიორგის“, ანტონ ფურცელაძის სახლს, ჟურულების საცხოვრებელი სახლს, ნიკო ლომოურის სახლს. ჭიათურაში მდებარე ძუძუანას მღვიმეს, კოტიას კლდეს. წყალტუბოში მდებარე საწურბლიას მღვიმეს. ახმეტაში მდებარე „წამებულის“ ეკლესიას. ქუთაისში მდებარე V-VII საუკუნეების აბანოს (აბანოს კომპლექსი) და VI-VII საუკუნეების ეკლესიას.

როგორც ოფიციალურ ბრძანებაშია ნათქვამი: „დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვა; ეთხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა დანართში მითითებული ძეგლებისათვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე.“

აქვე განმარტებულია, რომ ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით ასევე შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც (საკუთრების საკითხის გადაწყვეტამდე) დაიწყო მუშაობა საქართველოს საპატრიარქოსა და სომხური ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ინტერესის სფეროში მოქცეული ეკლესიების რეაბილიტაციისათვის საჭირო საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოების დასაგეგმად.

სამუშაო ჯგუფის წევრები არიან სამინისტროდან – მარინე მიზანდარი და ბესიკ მაცაბერიძე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან – მერაბ ბოჭოიძე და გიორგი გაგოშიძე, „იკომოს-საქართველო“-დან – ლია ბოკუჩავა, სომეხთა სამოციქულო წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიიდან – ეპარქიის წინამძღვარი ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი და ეპარქიის სამართლებრივი განყოფილების ხელმძღვანელი ლევონ ისახანიანი. საქართველოს საპატრიარქოდან – მეუფე დავით ალავერდელი და გიორგი ანდრიაძე.

კულტურის სამინისტროს ოფიციალური განცხადებით ცნობილი ხდება, რომ სამუშაო ჯგუფი უკვე რამდენჯერმე შეიკრიბა და ადგილზე მოინახულა თბილისში მდებარე ხუთი ეკლესია: სურბ ნიშნის ეკლესია აკოფიანის ქუჩაზე, მოღნისის ეკლესია ახოსპირელის ქუჩაზე, ნორაშენის ეკლესია კოტე აფხაზის ქუჩაზე, სურბ მინასის ეკლესია გელათის ქუჩაზე და სურბ შამქორის ეკლესია ფერისცვალების ქუჩაზე. ამავე დროს გამოიკვეთა არსებული პრობლემები და პირველი რიგის ჩასატარებელი ღონისძიებები.

კულტურის სამინისტროს ცნობით, მონიტორინგის ჯგუფი მუშაობს პერმანენტულ რეჟიმში, რათა ხელი შეეწყოს აღნიშნული სამუშაოების დროულ წარმოებას და არსებული პრობლემების დაძლევას.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ბრძანებით, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა „დედაენას“, „ფერხულს“, „კახურ მრავალჟამიერს“, „ქალაქურ მრავალჟამიერს“ და „ბერიკაობას“. დედაენა – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი; ცეკვა ფერხული – საშემსრულებლო ხელოვნება; ბერიკაობა – საშემსრულებლო ხელოვნება; კახური მრავალჟამიერი – საშემსრულებლო ხელოვნება, საზოგადოებრივი გამოცდილება; ქალაქური მრავალჟამიერი – საშემსრულებლო ხელოვნება, საზოგადოებრივი გამოცდილება.

# ლიტერატურის მუზეუმი კავკასიური ფილმების ფესტივალს უმასპინძლებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბი“ ქართულად ინგლისური სუბტიტრებით და საქართველოს ნაციონალური არქივში შემონახული ქრონიკა „აყვავებული აფხაზეთი“. ოთხდღიან ფესტივალს 25 მარტს მიხეილ კალატოზოვი ფილმი „ჯიმ შვანთე“ და ქართველი რეჟისორის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „ქარიშხალი კალატოზოვის“ ჩვენება დახურავს. ფესტივალის ეგიდით გამართულ ყველა ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია.

ორგანიზატორებმა უკვე გაახმაურეს ოთხდღიანი ფესტივალის დეტალური პროგრამა, რომელშიც შეტანილია ფილმები: 23 მარტს ნაჩვენები იქნება „სამხრეთ ოსეთი, 1930-1950“ რუსულად, ინგლისური სუბტიტრებით, ასევე ინეკე სმიტის „ყაზბეგის მფრინავი ქალი“ გერმანულად, ინგლისური სუბტიტრებით. საღამოს მოწვეული სტუმარია ინეკე სმიტი. ამავე დღეს წარმოდგენილი იქნება მოკლემეტრაჟიანი ფილმების სესია: ემინ ეფინდიების „ბუდე“ აზერბაიჯანულად, ინგლისური სუბტიტრებით, იმაილ იმანოვის „პორ უნა კაბეზა“ რუსულად, ინგლისური სუბტიტრებით, ნერინეჰ მალუანის „ხურო, რომელიც შვილს ელოდება“ სომხურად, რუსულ/ინგლისური სუბტიტრებით, ნანა ექვთიმიშვილის „დედა“ ქართულად, ინგლისური სუბტიტრებით, რუსლად მაგომადოვის „სახლი“ რუსული და ინგლისური სუბტიტრებით, ლუსკა ხალაპიანის „II სეტიმო“ იტალიურად, სომხური და რუსული სუბტიტრებით, ტატო კოტეტიშვილის „საზამთრო“ ქართულად, ინგლისურ/რუსული სუბტიტრებით, ერიკ ნაზარიანის „ბოლის“ ინგლისურად და სომხურად, რუსულ/ინგლისური სუბტიტრებით, გუსიან სეიძადეს „უნტამეიბელ კურა“ აზერბაიჯანულად, ინგლისური სუბტიტრებით, „აფხაზეთი, 1914-1937“ რუსულად, ინგლისური სუბტიტრებით. ფესტივალზე მოწვეული სტუმარია ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი. 23 მარტის საფესტივალო პროგრამას დაასრულებს ალექსანდრე წუწუნავას „ხანუმა“ ქართულად, ინგლისური სუბტიტრებით. მიწვეული სტუმრები არიან კინომცოდნე გოგი დოლიძე და კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი.

24 მარტის საფესტივალო პროგრამაშია „აფხაზეთი, დროის სახე“ რუსულად, ინგლისური სუბტიტრებით, ვიაჩესლავ აბლოთი „თეთრი ცხენი უკეთესია?“ რუსულად, ინგლისური სუბტიტრებით, თენგიზ აბულაძის „ვედრება“ ქართულად, ინგლისური სუბტიტრებით, „სამხრეთ ოსეთი“ რუსულად, ინგლისური სუბტიტრებით, ნანა ჯანელიძის „ნეტავ იქ თეატრი არის?“ ქართულად, ინგლისური სუბტიტრებით.

25 მარტს გაიმართება ფესტივალის დახურვა, სადაც წარმოდგენილი იქნება პატრიკ კაზალსის დოკუმენტური ფილმი „ჰურიკანე კალატოზოვი“ რუსულად, ინგლისურად, ფრანგულად, ესპანურად ინგლისური სუბტიტრებით და მიხეილ კალატოზოვის (ჯიმ შვანთე“ („მარილი სვანეთს“) რუსულად, ინგლისური სუბტიტრებით.

ეკა ირემაშვილი

# გურამ ოდიშარიამ ლაიფციგის წიგნის ბაზრობა შეაჯამა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლოგიაში ეკატერინე თხილავას, მაკა მიქელაძისა და ნესტან (ნენე) კვინიკაძის ნაწარმოებებია შესული. ამ ანთოლოგიის პრეზენტაცია გაიმართა ლიტერატურულ კლუბში „ტელეგრაფი“. წიგნი გერმანულ ენაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა.

ლაიფციგის წიგნის ბაზრობის ფარგლებში საქართველოს კულტურის მინისტრის მიერ გამართული შეხვედრებიდან ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პრეზიდენტ იურგენ ბოსსა და ვიცე-პრეზიდენტს ტობიას ვოსსთან შეხვედრა იყო. საუბარი კი 2015 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოსთვის სტუმარი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას შეეხო.

– ამ ბაზრობაში მონაწილეობა ჩვენი ქვეყნისთვის არის ქვაკუთხედი. ეს არის პროგრამა, რომელსაც გერმანია სთავაზობს პროგრამას და ერთი წლის განმავლობაში მთელი გერმანიის ფარგლებში აძლევს საშუალებას, საკუთარი ნაწარმოებების პოპულარიზაცია მოახდინოს. სტუმრის სტატუსი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საშუალებას მისცემს საქართველოს მთელი წლის განმავლობაში, გერმანიის რამდენიმე მსხვილ ქალაქში მთელი თავისი კულტურა წარმოადგინოს, ეს შეეხება არა მხოლოდ ლიტერატურას, არამედ თეატრს, მუსიკას, ფოლკლორს, ტურიზმსა თუ განათლებას. კულტურის სამინისტრო უკვე 3 წელია ცდილობს გაარღვიოს ჩაკეტილი სივრცე, რათა ქართულმა ლიტერატურამ მაქსიმალურად მოიპოვოს თავისი მკითხველი საზღვარგარეთ. სტუმრის სტატუსი 2015 ან 2016 წელს კი ქვეყნისთვის ძალიან დიდი ნახტომი და დიდი წამატება იქნება. რაც შეეხება უშუალოდ ამ ბაზრობას, რამდენიმე ქართველ მწერალს აქვს სერიოზული შემოთავაზებები გერმანელი გამომცემლებისგან, მათ შორის დათო ტურაშვილს, ზაზა ბურჭულაძეს, ბონდო მაცაბერიძეს. მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა ამ ბაზრობის პრეზიდენტთან და ვიცე-პრეზიდენტთან და გვჯერა, რომ უახლოეს მომავალში საქართველო ამ ბაზრობის მასპინძელი გახდება, – აღნიშნა მედეა მეტრეველმა.

როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე ითქვა, ქართული წიგნების მიმართ გერმანელი მკითხველისა და გამომცემლების დაინტერესება დიდი იყო. რამდენიმე მსხვილ გერმანულ გამომცემლობასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობისა“ და ბონდო მაცაბერიძის საბავშვო ზღაპრების გერმანულ ენაზე გამოცემის შესახებ. ასევე გაიმართა დათო ტურაშვილის რომანის მიხედვით გადაღებული ზაზა რუსაძის ფილმის „ბანდიტები“ ჩვენება და დისკუსია ავტორთან.

– ლაიფციგის წიგნის ბაზრობის ფარგლებში გაიმართა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა. შევხვდით ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პრეზიდენტს იურგენ ბოსსა და ვიცე-პრეზიდენტს ტობიას ვოსს. საუბარი შეეხო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე 2015 წელს საქართველოსთვის სტუმარი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას. ეს საკითხი ლაიფციგის წიგნის ბაზრობის პრეზიდენტთან ოლივერ ცილესთანაც განვიხილეთ და ვისაუბრეთ სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე. გარდა ამისა, შევხვდი ლიტერატურული კოლოკვიუმის ხელმძღვანელს ულრიხ იანეცკის. შეხვედრას ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე და მწერალი ზაზა ბურჭულაძეც ესწრებოდნენ, – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

კულტურის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ითქვა ისიც, რომ ლაიფციგის წიგნის ბაზრობის ფარგლებში შედგა ორი რადიოინტერვიუ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ქართული ლიტერატურისა და ზოგადად საქართველოს კულტურის პოლიტიკის შესახებ ესაუბრა ჟურნალისტებს ჰუბერტ ვინქელსა და მირკო შვანიცს.

– ჩვენი ვიზიტი ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე ნამდვილად ნაყოფიერი იყო. საქართველოს სტენდმა ლაიფციგში დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც გამომცემლებსა და მკითხველში ასევე გერმანულ პრესაში. ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველო უკვე მეორედ წარსდგა ეროვნული სტენდით და იმედს ვიტოვებთ, რომ ეს მომავალშიც გაგრძელდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წიგნს როგორი დიდი წარსულიც ჰქონდა, ასევე დიდი მომავალი აქვს. ამის დასტურია ლაიფციგის წიგნის ბაზრობა და ჩვენთვის ნამდვილად დიდი პატივი იყო ამ ბაზრობაში მონაწილეობა. ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე გზები გაცილებით ადრე გაიკვალა, მაგრამ წელს უფრო მეტი ნამუშევარი წარვადგინეთ, გვქონდა საინტერესო მოლაპარაკებები ამ ბაზრობის მესვეურებთან, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ამ ბაზრობის მასპინძლები გავხდეთ, – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

ერთ-ერთი ქართველი მწერლის თამთა მელაშვილის თქმით, ის ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე მეორედ იმყოფებოდა:

– წელს მეორედ ვიყავი ამ ბაზრობაზე, სადაც მოხდა ანთოლოგიის პრეზენტაცია. მასში თანამედროვე ქართველი ქალი მწერლების ნაწარმოებებია შეტანილი და მათ შორის ჩემი ნაწარმოებიც არის. ზოგადად, ქართული მწერლობისთვის ეს საკმაოდ დიდი და წინგადადგმული ნაბიჯია.

მთლიანობაში ამ ბაზრობაში, რომელიც ევროპაში სიდიდით მეორეა, 7 ქართველი მწერალი და ათი გამომცემელი იღებდა მონაწილეობას.

– გერმანელი მკითხველი უბრალოდ არ დაგიკრავს ტაშს, ეს ყველამ კარგად უნდა ვიცოდეთ. ძალიან თბილი საღამოები ჩატარდა და დავშორდით იმ იმედით, რომ სულ მალე ჩემი ნაწარმოებები სულ მალე გერმანულად გამოიცემა, – განაცხადა ბონდო მაცაბერიძემ.

როგორც კულტურის მინისტრმა განმარტა, აპრილში ქართველი მწერლების ნაწარმოებების პოპულარიზაცია ლონდონში მოხდება.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ




**შვეულად**: 1. მონასტერი დუშეთის რაიონში; 2. საკუთარი საქციელის ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა; 3. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ნაციონალური ცენტრი; 4. ხელოვნური თმა; 5. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. ვინმეს რწმუნებულების დამადასტურებელი დოკუმენტი; 9. უდიდესი ბუნებრივი ნაკრძალი აშშ-ში; 12. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 13. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 16. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება სასამართლოში; 17. ფულის ერთეული მონღოლეთში; 19. ისტორიული ციხე-სიმაგრე სამცხე-ჯავახეთში; 20. პიტნით, ყინულით შეზავებული ვისკი ან კონიაკი.

**თარაზულად**: 6. ალღო ანუ...; 7. ქართული რადიო; 8. ისრაელის დაზვერვა; 10. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 11. ბრაზილიის ნაკრებისა და „მილანის“ ფეხბურთელი; 14. იტალიელი კინორეჟისორი; 15. თევზის საჭერი მოწყობილობა; 18. რაიმე დარგის, მეცნიერების ზოგადი, განყენებული საფუძვლები; 21. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 22. ხმელთაშუა და მეწამული ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 23. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შინჯუკუ; 2. ნაკამურა; 3. „ინტელი“; 4. სიამი; 5. შიფონერი; 8. კერამიკა; 12. ტიბო; 13. ევოლუცია; 14. ჟირაფი; 16. ტიციანი; 18. ბუტკო; 20. კები.

**თარაზულად:** 6. ვიქტორია; 7. მონოტიპი; 8. კაკაბი; 9. „ბურჯე“; 10. მუსოლინი; 11. გასტრიტი; 15. კვირკველია; 17. ჰოპერი; 19. ფრიკადელი; 21. აცეტატი; 22. კატალონია; 23. ხითხითი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „მარსალა“; 2. ჰეროინი; 3. ცილინდრი; 4. პუდელი; 5. „ფერხული“; 8. „ბიბლისი“; 9. სახარება; 12. ბერნარდი; 13. მისხორი; 16. „გაგრიფში“; 17. კამპუსი; 19. იყალთო; 20. ტერასა.

**თარაზულად:** 6. ჯარაექიმი; 7. დუაიენი; 8. „ბრიუგე“; 10. კაოლინი; 11. წულა; 14. კვიპროსი; 15. ქრისტინე; 18. ხაიამი; 21. ყარყუმი; 22. მენჯი; 23. „ოსკარი“; 24. ვირსალაძე.

# ნესტან კირთაძე: „საქართველოში ორხელისუფლებიანობა საპრეზიდენტო არჩევნებამდე გაგრძელდება“



**რამდენად საშიშია სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადება, რა როგორ უნდა უპასუხოს პარლამენტმა ამ გამოწვევას და მზად არის თუ არა პოლიტიკოსი ნესტან კირთაძე შუალედური არჩევნების გზით შეავსოს პოლიტიკოსთა პარალმენტარების პრობლემა, რაზეც უმრავლესობის ლიდერები ჩივიან? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართულ აფხაზური და ქართულ ოსური სახლის“ დამფუძნებელ ნესტან კირთაძესთან.**

შორენა კოწოწაშვილი

***— ქალბატონო ნესტან, რამდენად გამოკვეთილია საქართველოს ევროპული კურსი ევროკავშირის შუალედურ დასკვნაში იმ ფონზე, როცა საპარლამენტო უმცირესობა ხელისუფლების პრორუსულობაზე საუბრობს?***

— ამ მომენტისთვის არის სრულიად ახალი ვითარება. 20 მარტს ოფიციალურმა ბრიუსელმა გამოაქვეყნა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ახალი 2012 წლის ანგარიშის შუალედური დასკვნები, რომელიც მალე ოფიციალურად იქნება წარდგენილი ყველას წინაშე. ამ ანგარიშში ძირითად პოსტულატებში საქართველო საკმაოდ პოზიტიურად არის წარმოდგენილი. ლაპარაკია მის პროგრესზე და პროგრესის ათვლის წერტილად ითვლება 1 ოქტომბრის არჩევნები და ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლა; მისი ყოველდღიური საქმიანობა, თუმცა არის შენიშვნებიც, რომელიც გამოხატულია იმ პოლიტიკურ კონფლიქტთან, რომელიც დღესდღეობით არსებობს საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს შორის, როგორც ორ ინსტიტუციას შორის. ასევე ძალიან უარყოფითად არის მოხსენიებული მართლმსაჯულების შეზღუდული დამოუკიდებლობის შესახებ საუბარი. მაგრამ ეს თითქმის არაფერს ცვლის. თქვენ გახსოვთ, ის ტურბულენტური დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა ევროპარლამენტის ცნობილ ხმაურიან გვარებსა და საქართველოს ხელისუფლების მიმართ. გახსოვთ ეს ეპისტორალური მიმოწერები, ასე ვთქვათ, ბრალდებების, ბრალდებების უარყოფის, წერილის პასუხების და ა.შ. ეს იყო საკამოდ საინტერესო პროცესი, რომელიც გამოიწვია ორმა გარემოებამ. პირველი — ყოფილი ხელისუფლება, მხედველობაში მყავს სააკაშვილი და ნიცონალური მოძრაობა, რომლებიც თვლიან, რომ ევროდასავლური კურსი ეს არის მათი პრიორიტეტი, მათი წამოწყებული კურსი და მათი პოლიტიკის განმსაზღვრელი. მათ, რა თქმა უნდა, არ უნდათ, დაუთმონ სხვა პოლიტიკურ ძალას ეს მიმართულება. ევროპამ მკაფიოდ ხაზი გაუსვა, რომ საქართველომ არ უნდა დათმოს ევროპული ღირებულებები. ევროკავშირმაც და ზოგადად დასავლეთმა, შეერთებულმა შტატებმა ზუსტად იციან, რომ პერსონიფიცირებულ ურთიერთობას არ უნდა გადაყვეს მათი სტრატეგიული ინტერესი. ბუნებრივია, ევროპასაც აქვს თავისი სტრატეგიული ინტერესები კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში.

***— საგარეო საქმეთა სამინისტრო სათანადოდ ვერ მუშაობს დასავლელ პარტნიორებთან?***

— უკვე სოციალურ ქსელებში ძალიან ხშირად განხილება აზრი იმის შესახებ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობა სუსტია. საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან ისმის დაზეპირებული ფრაზები. ძალიან გულუბრყვილოდ და სასაცილოდ გამოიყურება მაია ფანჯიკიძის ფრაზა, რომელსაც იგი ყოველთვის იმეორებს: მართალია, რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ ჩვენ მასთან თანამშრომლობას დავიწყებთ. ქვეყნის პირველი დიპლომატი ბევრად უფრო საინტერესო პოზიციებით უნდა გამოდიოდეს, მით უმეტეს, რომ პრემიერ-მინისტრისგან სტრატეგიული მიმართულება განსაზღვრულია. ეს არის შეუქცევადი ევროპეიზმი, ევროინტეგრაციის გზა. ამიტომაც ფორმულირება, რა ურთიერთობა უნდა იყოს დასავლეთთან და როგორი ურთიერთობა შეიძლება ჩამოყალიბდეს რუსეთთან, რომელიც პირდაპირ ვთქვათ, მკვდარი წერტილიდან დაძრა სწორედ ახალმა ხელისუფლებამ და პირადად ბიძინა ივანიშვილმა. ეს, რა თქმა უნდა, უკვე ტექნიკის და დიპლომატიის საკითხია. როგორც ჩანს, ამ მხრივ გაჭირვება არსებობს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

***— რას ნიშნავს ევროკავშირის ანგარიშში საქართველოს მოლდოვასთან წყვილში დაყენება?***

— ევროკომისრის ანგარიში სრულიად მკაფიოდ არის პროგრესი საქართველოსთან მიმართებაში. საქართველო მოლდოვასთან ერთად გამოვიდა წყვილში. კარგად მოგეხსენებათ, ევროკავშირთან მიმართებაში ლიდერი ქვეყანა აქამდე იყო უკრაინა. სამწუხაროდ, უკრაინამ, რომელმაც გასულ წელს, ზუსტად ამ დროს ხელი მოაწერა ასოცირებულ ხელშეკრულებას და მოხდა მისი პარაფირება, პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა ვიზების გამარტივებასთან დაკავშირებით და უფრო მეტსაც გეტყვით, გასულ წელს ევროკავშირმა თქვა, რომ ის მზად არის უკრაინასთან დაიწყოს პროცედურები ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ამ განცხადებების შემდგომ უკვე 2012 წლის ევროკავშირის ანგარიშში უკრაინა უკიდურესად ნეგატიურ ფორმებშია წარმოდგენილი. კარგია, თავისუფალი ექსპერტის მანდატით რომ ვსარგებლობ. აქვე მინდა გითხრათ, რომ ანალიზის დონეზე, რომელსაც საქართველოში არ თუ ვერ აკეთებენ: აი, ასეთი ურთიერთმიმართება და ასეთი კონფიგურაცია, როდესაც უკრაინაზე არის ასეთი უკიდურესი განცხადებები და საქართველო მოლდოვასთან ერთად წყვილში გამოდის პოზიტიურ რანგში, პოლიტიკის და დიპლომატიის ენაზე ეს არის ირიბი ზეწოლა უკრაინაზე. უკრაინა უნდა გაერკვეს, რა მიმართულებას ირჩევს. ირჩევს ევროპულ მიმართულებას თუ რუსულს. მოდით სიმართლე ვთქვათ, უკრაინა გაიჭედა იმ გეოპოლიტიკურ გზაზე და მან ჯერჯერობით ორიენტაცია ვერ გამოკვეთა. არ არის გამორიცხული, ასეთი ტიპის მკვეთრი განცხადებების გაკეთება შემდეგ ვინმეს საქართველოს მიმართაც მოუწიოს. აქ ერთადერთ მთავარზე უნდა ვილაპარაკოთ: ევროპამ თავისი ნაბიჯი გადადგა, საქართველო პოზიტიურად გამოიყვანა 2012 წლის ანგარიშში. ევროპა საქართველოს ამზადებს ასოცირებული ხელშეკრულების პარაფირებისაკენ, რომელიც ვილნიუსის სამიტზე განხორციელდება ნოემბრის თვეში. მაგრამ ევროპა პირდაპირ ეუბნება საქართველოს, რომ მისი წარმატება დამოკიდებული იქნება იმ დანაპირების შესრულებაზე, რომელიც პრემიერ ივანიშვილის კაბინეტმა გასცა წინასაარჩევნოდ.

***— დღეს ახალქალაქის საკრებულო სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადებას ითხოვს. რამდენად სახიფათო პროცესი წამოიწყეს ჯავახელმა სომხებმა?***

— რაც შეეხება საკითხს, რომელიც ახალქალაქის საკრებულოს დეპუტაციის მიერ დაიძრა, როგორც პოლიტიკური საკითხი და ოფიციალური მიმართვა გაკეთდა პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე, რომ მოხდეს სომხური ენის აღიარება, როგორც რეგიონული ენის, მე ვფიქრობ, ეს, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად ნაჩქარევად და ნაუცბათევად, პასუხისმგებლობას მოკლებული პროცედურა გახლავთ. ეს, რა თქმა უნდა, არის სახიფათო ტენდენცია. როდესაც ხიფათზე ვლაპარაკობთ, ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ ვართ იმ ქვეყნის შვილები, რომელსაც დღეს სახელმწიფოებრივი მთლიანობა აქვს დარღვეული. ეს არის დაშლილი ქართული სახელმწიფო და იმ პირობებში, როდესაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის წინაშე დგას ქვეყანა, ახალი ტიპის პოლიტიკური ხიფათები და რისკები არ უნდა შევქმნათ. არის თუ არა რისკი და არის თუ არა სეპარატიზმის პოლიტიკის წახალისება ასეთი ტიპის საკითხის გამოტანა საჯარო სამსჯავროზე, პირდაპირ გეტყვით, რა თქმა უნდა, ასეა. მოდით, სხვა რეალობაც გავაანალიზოთ. იმ დროს, როდესაც ბოლო წლების განმავლობაში ქართულმა სახელმწიფომ ვერ ან არ იზრუნა ეროვნული უმცირესობების რეგიონებში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის, ჯავახეთის და მარნეულის რეგიონებში მოსახლეობამ ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, არ იციან და კომუნიკაცია რუსული ენით ხორციელდება. ასეთ შემთხვევაში რეგიონული ენის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება, რასაკვირველია, სახიფათოა. პატივს ვცემ ეროვნული უმცირესობების უფლებებს. ეს ეხება იგივე ჯავახეთის მოსახლეობას, მაგრამ ქართულმა სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა გაიაზროს ურთულესი გეოპოლიტიკური ვითარება, რომელშიც ის არის და ფაქტობრივი მდგომარეობა — დაშლილი სახელმწიფო ტერიტორიულად და სახელმწიფოებრივად. როდესაც სოციალურ ქსელებში ამ მიმართულებით განცხადებები კეთდება, მუდმივად აპელირებენ 90-იან წლებზე, მაშინ, როდესაც ქართულმა მხარემ ევროკავშირთან ეს ვალდებულება აიღო და ხელი მოაწერა. ეს მარტო ასე არ არის. მინდა გაგახსენოთ 2005 წელი. სააკაშვილმა ეს საკითხი საკმაოდ ინტენსიურად წამოწია წინა პლანზე, თუმცა ეს ის პერიოდი იყო, როდესაც უნივერსიტეტი გახდა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ეპიცენტრი. ამ მოძრაობამ 2005 წელს ამ საკითხის აპელირების და გაძლიერების თეორიული შესაძლებლობაც კი მოუსპო სააკაშვილს. ეს იყო უმწვავესი დისკუსია. გახსოვთ, ჩემი და უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორის დისკუსია მაშინდელ ტელეარხებზე.

***— სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადების მოთხოვნამ ტერიტორიულ რღვევას შეიძლება დაუდოს საფუძველი?***

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, პირადად მქონდა სომეხ კოლეგებისთან, რომლებიც წარმოადგენდნენ სომხურ პოლიტიკურ ელიტას, რამდენიმე უსერიოზულესი დისკუსია, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებში იგივე ერევანში. სომეხი პოლიტიკოსები დაჟინებით ითხოვდნენ ჩემგან პასუხის გაცემას რეგიონულ ენასთან, ტოპონიმებთან, იგივე ჯავახეთის პრობლემებთან დაკავშირებით. სომხურმა პრესამ ამ პოლემიკას სერიოზული ყურადღება დაუთმო. ეს პოლემიკა შემდეგ გაგრძელდა ალმაატაში შეხვედრის დროსაც, ნიუ იორკშიც, ათენშიც, პარიზშიც და ძალიან საინტერესო იყო სოფიაში, როდესაც უკვე სხვა ფორმატის შეხვედრების დროს სომეხმა კოლეგებმა კიდევ ერთხელ დაძრეს საკითხი, სომხური ენის რეგიონულ სტატუსთან დაკავშირებით რას ვფიქრობდი. ჩემი პასუხი იყო, რომ ეს არის ამ წუთისათვის სახიფათო ტენდენცია, რომელმაც შეიძლება გააძლიეროს რისკები ახალი პოლიტიკური რყევების დაწყებისა საქართველოში. რისკები არის ძალიან მაღალი, ხიფათი არის მაღალი და იმ ურთულეს, არასტაბილურ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიც იმყოფება საქართველო, შეიძლება ამ ტიპის მიმართულება ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდეს პროვოკაციებისთვის. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს საკითხი არის პროვოცირებული საკითხი საკმაოდ გამოზნულ და უხერხულ დროს. ამიტომაც ქართულმა სახელმწიფომ რისკების პრევენციაზე უნდა იმუშაოს.

***— საიდან შეიძლება იყოს პროვოცირებული, ქვეყნის შიგნიდან თუ მეზობელი სომხეთიდან?***

— მე ამ წუთში თავს შევიკავებ თითი გავიშვირო კონკრეტული პერსონის ან პოლიტიკური ძალისკენ. ეს არის უსერიოზულესი გამოწვევა ივანიშვილის ხელისუფლების მისამართით. ვფიქრობ, პრემიერმა და მისმა კაბინეტმა ამ გამოწვევას უნდა უპასუხოს არა პოლემიკით, არამედ რაც შეიძლება მალე მან უნდა წარმოადგინოს მთავრობის სტრატეგია და პოლიტიკა რეგიონებთან დაკავშირებით. რეგიონული განვითარების პროგრამები უნდა დაიდოს. ეს იქნება უკვე ამ გამოწვევის პასუხი და არავითარ შემთხვევაში ემოციური პოლემიკის ჩაღრმავება, რომელიც კიდევ უფრო გაზრდის პროვოკაციების და რისკების შესაძლებლობას.

***— დაბოლოს, დავით უსუფაშვილი და პრემიერი ივანიშვილიც აფიქსირებენ, რომ უმრავლესობას პროფესიონალი პოლიტიკოსებით გაძლიერება სჭირდება შუალედური არჩევნებით. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობას ხომ არ გამოკვეთს პოლიტიკური პროცესი?***

— პარლამენტიც, მთავრობაც და დღევანდელი პოლიტიკაც ისეთივე რთულია, როგორც ქრთული პოლიტიკა ამ გარდამავალ პერიოდში. ლადო პაპავამ დააფიქსირა პირველად ფრაზა ორხელისუფლებიანობა. საქართველოში მართლაც არის ორხელისუფლებიანობა და ეს გაგრძელდება საპრეზიდენტო არჩევებამდე. საპრზიდენტო არჩევნები მოიტანს ახალ პოლიტიკურ რეალობას, ხელისუფლების შეცვლის ფაქტობრივ რეალობას. არამხოლოდ არაპროფსიონალიზმი თანამედროვე პარლამენტისა, არამედ ახალი პოლიტიკური რეალობა დააყენებს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობას. რაც შეეხება პარლამენტის დღევანდელ მუშაობას, ამაზე უკვე ლაპარაკობენ სოციალურ ქსელებში და უკვე არსებობს გარკვეული გულგატეხილობა ხალხისა. მაგრამ არ არსებობს გულგატეხილობა იმ პიროვნების მიმართ, რომელმაც პირადად გაიტანა მთავარი საარჩევნო ლელო. დანარჩენი პოლიტიკური ძალების მიმართ კი საზოგადოებაში მაღალი ნდობა არ ყოფილა. მე პირდაპირ ვამბობ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების წინაშე ქვეყანა ადრე თუ გვიან დადგება.

## სამგლოვიარო განცხადებები

ძმა გელა კერესელიძე, რძალი ნონა ფიფია, და ნათელა კერესელიძე, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უძვირფასესი

**ნუნუ კერესელიძე**

პანაშვიდი: 22, 23 მარტს, 16 საათზე.
დაკრძალვა: 24 მარტს, 14 საათზე.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას III კვარტალი, XI კორპუსი, II სადარბაზო, II სართული.

**შოთა კოკაიას მონატრება**

დადგა 24 მარტი. შენი გარდაცვალების მე-40 დღეა. უზომოდ გვენატრები ყველას — მეუღლეს, შვილებსა და მეგობრებს. შენს საფლავზე მოვალთ გულისტკივილით, მოგიტანთ ყვავილებს და დაგინთებთ სანთლებს. უფალს შევევედრებით, შენი სული ნათელში გვიმყოფოს.

*თემურ ჭელიძე*

გულნარა, ელზა და სულხან შევარდნაძეები თანაგრძნობას უცხადებენ ნოდარ და არჩილ ჯორბენაძეებს მეუღლისა და დედის, შესანიშნავი ქალბატონის

**დოდო (ეველინა) ზურაბის ასულ ჯაყელის**

გარდაცვალების გამო.

ასოციაცია „მესხეთი-2001“-ის პრეზიდიუმი იუწყება ასოციაციის დამფუძნებლის, ძვირფასი მეგობრის

**ბიჭიკო სარიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**პარასკევი 22 მარტი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 01.50 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„ 17.00 დ/ფ „ისტორიის შექმნა/ — ნოსტრადამუსი 18.00 ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ფინალები (პ/რ) 21.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 დ/ფ „ფეხბურთის მეამბოხეები„ 23.55 ფეხბურთი. მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი: საფრანგეთი — საქართველო (პ/რ) 02.10 მხ/ფ „ზუსტად ის კაცი„ 03.30 დ/ფ „ მშვიდობით ამხანაგებო„ 00.30 მხ/ფ „ბერლინის საქმე„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 6 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 მხ/ფ „სნაიპერი„ (ბ.ზეინი) 02.00 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ„ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი
კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.35 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 07.00 დოკ/ფ „დავით გარეჯი„ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 დოკ/ფ „ჯიხეთი,დედათა მონასტერი„ 11.20 დოკ/ფ „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი„ 11.45 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დოკ/ფ „სიაუშ ქართველი„ 13.15 კონცერტი - საგალობლების საღამო 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია 16.10 კონცერტი-ნატალია გუტმანი და ელისო ვირსალაძე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.15 მარხვის კარიბჭესთან 19.30 დოკ/ფ „მაცხოვრის სუდარა„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ჩვენი ფონდი 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

**მაესტრო** 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური აბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 1.20 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 მარტი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6595 | ევრო — 2,1431 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,512 | 100 რუსული რუბლი — 5,3628 |

**ამინდის პროგნოზი 22 მარტისთვის**




# გურამ ოდიშარიამ ლაიფციგის წიგნის ბაზრობა შეაჯამა



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე ქართული დელეგაციის ვიზიტის შედეგები შეაჯამა და ჟურნალისტებისთვის საგანგებო პრესკონფერენციაც გამართა. პრესკონფერენციაზე ლაიფციგის ბაზრობასთან დაკავშირებით კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელმა მედეა მეტრეველმა დაწვრილებით ისაუბრეს.

– წელს ლაიფციგის ყოველწლიურ წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველო ეროვნული სტენდით უკვე მეორედ წარსდგა. სტენდის გახსნის პარალელურად გაიმართა ქართველი ავტორებისა და მათი ნაწარმოებების პრეზენტაცია, აგრეთვე, ანა კორძაია-სამადაშვილის რომანის „შუშანიკის შვილების“, ბონდო მაცაბერიძის ზღაპრის „ბეკნა ბიჭის ზღაპრებისა“ და ზაზა ბურჭულაძის „გასაბერი ანგელოზის“ საჯარო კითხვა, – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

ბაზრობის ფარგლებში ასევე შედგა ქართველი ქალი მწერლების ანთოლოგიის პრეზენტაციაც, სახელწოდებით, „იაგუარების ტექნო“, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გერმანიაში გამოიცა. პრეზენტაციას ავტორებიდან ნინო ხარატიშვილი, ეკატერინე ტოგონიძე, თამთა მელაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი ესწრებოდნენ. მათთან ერთად ანთო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ლიტერატურის მუზეუმი კავკასიური ფილმების ფესტივალს უმასპინძლებს




22 მარტს თბილისში კავკასიური ფილმების ფესტივალი 2013 აიღებს სტარტს. ფესტივალი წელს უკვე მეორედ გაიმართება და ის ნიდერლანდებისა და გაერთიანებული სამეფოს საელჩოების მხარდაჭერით ჩატარდება. ღონისძიების პროგრამაშია მოკლემეტრაჟიანი ფილმები როგორც საქართველოდან, ასევე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

ფესტივალის ორგანიზატორის ნესტან ნიჟარაძის თქმით, ფესტივალის ორგანიზატორები ცდილობენ გააერთიანონ რეტროსპექტული და თანამედროვე ფილმები.

– ამჯერად ფესტივალის პროგრამა შეიცავს სამხრეთ კავკასიელი და რუსი ახალგაზრდა რეჟისორების ნამუშევრებს, რათა ჩვენს საზოგადოებას ჰქონდეს შესაძლებლობა ნახოს, რა ხდება დღეს ამ საზღვრების ფარგლებში, – აცხადებს ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ნიდერლანდების სამეფოს ელჩი საქართველოსა და სომხეთში პიტერ ლანგენბერგი აღნიშნავს:

– ჩვენ გვინდოდა გაგვეხსენებინა ყველასთვის, რომ მთელმა ევროპამ, მათ შორის კავკასიის ქვეყნებმა, წარსულში გადაიტანეს ომები. იმედი მაქვს, ინეკე სმიტის ფილმი „ყაზბეგელი მფრინავი“ გაგვახსენებს, რომ საქართველოს და ნიდერლანდებს მეორე მსოფლიო ომის ბოლოს მომხდარი ტრაგედია აერთიანებთ.

გაერთიანებული სამეფოს ელჩი საქართველოში, დავიდ მორანი კი აცხადებს:

– ამ ფესტივალის მიზანია არ დავივიწყოთ ხელოვნების ძირითადი პრინციპი – ადამიანური სიმართლის ზეობა, განსხვავებულობისა და საზღვრებისგან დამოუკიდებლად და პატივი ვცეთ კავკასიაში კინორეჟისორების და მსახიობების თანამშრომლობის ხანგრძლივ ტრადიციას.

ფესტივალი 22 მარტს ლიტერატურის მუზეუმში გაიხსნება და ნაჩვენები იქნება ორი ფილმი – სერგო ფარაჯანოვისა და დავით აბაშიძის „აშიკ-ქერი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

## ასტროპროგნოზი 22 მარტისთვის

**ვერძი** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კურო** – არ იჩქაროთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – ახალი საქმე გამოჩნდება. **კირჩხიბი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ლომი** – მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **ქალწული** – არ იჩქაროთ, საქმე დაკვირვებით აკეთეთ. **სასწორი** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, შინაგანად გაწონასწორებული ხართ. **ღრიანკალი** – პრობლემას კისერს მოუგრეხთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ ცოტა მაინც შემოინახეთ. **მერწყული** – ნურავის გაეჯიბრებით, რა აზრი აქვს. **თევზები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ტბა ჯავახეთში; 2. რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი; 3. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 4. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 5. საახალწლო ტკბილეული; 8. ბალჩეული ხილი; 12. კარატისტის ოსტატობის მაჩვენებელი თანრიგი; 13. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 14. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 16. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 18. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 20. ძვირფასი ლითონი.

**თარაზულად**: 6. შნო, მოხერხება; 7. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 8. პოპულარული იაპონური ციფრულლოგიკური თავსატეხი; 9. მუსლიმან მამაკაცთა თავსაბურველი; 10. მეცნიერთა, ხელოვანთა მდიდარი მფარველი; 11. სასჯელი ქურდობისთვის ძველ ქართულ სამართალში; 15. საზაფხულო აგარაკების სახელწოდება ჰოლანდიაში; 17. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 19. ერთთვლიანი საცირკო ველოსიპედი; 21. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 22. უნგრეთის დედაქალაქი; 23. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




# ნიკა წულუკიძე: „ყველაფერი მეორე მეორადი არ არის“



23 მარტს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში

გაიმართება ნიკა წულუკიძის წიგნის „ყველაფერი მეორე მეორადი არ არის“ პრეზენტაცია.

თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა გამოსცა ცნობილი ქართველი თეატრმცოდნისა და მეიგავის, ნიკა წულუკიძის თეორიული ნაშრომი „ყველაფერი მეორე მეორადი არ არის“, რომელიც ეძღვნება ქართულ თეატრში თეატრალური ტექსტის ადაპტაციის პრობლემებს. ნიკა წულუკიძე წიგნში მიმოიხილავს ცნობილი უცხოური ტექსტების ქართულ ვერსიებს და აანალიზებს მათი სცენაზე გადატანის მნიშვნელოვან შემოქმედებით საკითხებს.

წიგნის რედაქტორია თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ლევან ხეთაგური, რომელიც ვრცელ შესავალ წერილში ტექსტის ადაპტაციის პრობლემას მიმოიხილავს. წიგნის წინასიტყვაობა კი ცნობილმა ქართველმა თეატრმცოდნემ ვასილ კიკნაძემ დაწერა, რომელიც მკითხველს მისი ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტის პირველ სერიოზულ თეორიულ ნაშრომს წარუდგენს.

წიგნი მსახიობ გურამ საღარაძის ხსოვნას მიეძღვნა და იგი დაიბეჭდა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრში“ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ღონისძიება საქველმოქმედოა, გაყიდული წიგნებიდან შემოსული თანხა გადაირიცხება ახალგაზრდა მსახიობის გიორგი ყორღანაშვილის გადარჩენის ფონდში.

**ეკა ირემაშვილი**

# ეროვნული მუზეუმი „ილუსტრირებულ მელოდიებს“ გამოფენს

22 მარტს საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში გასული საუკუნის ე.წ. 60-იანელ მხატვართა თაობის წარმომადგენლების, ტყუპი ძმების, ავთანდილ და ტარიელ ვართაგავების ნამუშევართა გამოფენა გაიხსნება, სახელწოდებით „ილუსტრირებული მელოდიები“.

– ავთანდილ ვართაგავა ფერმწერი, გრაფიკოსი, პოეტი და ხელოვნებათმცოდნეა. იგი 12 წლის განმავლობაში მუშაობდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმში, ხოლო ტარიელ ვართაგავა ფერწერასა და გრაფიკაში მოღვაწეობდა. ის ასევე წერდა ლექსებს, იყო ხატმწერი. ორივე შემოქმედისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრესკული მხატვრობა და ხატწერა. ძმები ვართაგავები პერსონალურ გამოფენებს აწყობდნენ თბილისში, ასევე მონაწილეობდნენ ჯგუფურ ექსპოზიციებში ამიერკავკასიასა და საქართველოში. მათი ნამუშევრები დაცულია ამერიკის შეერთებულ შტატების, კანადის, რუსეთის, იტალიის, გერმანიის კერძო კოლექციებში. ლადო გუდიაშვილის რედაქტორობით ორჯერ გამოიცა ძმები ვართაგავების შემოქმედების ამსახველი კატალოგი. მათ მიერ შექმნილ პოეტურ-ლირიკული ხასიათის სხვადასხვა კომპოზიციაში მძლავრად აისახა სხვადასხვა რომანტიკულ-აბსტრაქტული თემატიკა – ხელოვნება, მუსიკა, ტრფობა, თავი იჩინა ფანტასტიკისადმი მათეულმა დამოკიდებულებამაც, იგრძნობა სიურრეალიზმის გავლენა, პლასტიკურობისა და ბუნებრივი ფორმების მრავალსახოვნად წარმოჩენის სურვილი. მათი მხატვრობის თავისებურება თემატურ-შინაარსობრივი მრავალფეროვნებაა. ეს გამოფენა კი ამის საუკეთესო ილუსტრაციაა. ამიტომ დამთვალიერებელს ძმები ვართაგავების პოეტურ სამყაროში საინტერესო მოგზაურობა ელის, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

ტყუპი ძმების ნამუშევრების გამოფენა 2 აპრილამდე გაგრძელდება.

**ეკა ირემაშვილი**

# ფაჩულია გაურკვეველი დროით დაშავდა



გუშინდელ ნომერში ზაზა ფაჩულიას გამოჯანმრთელებაზე ვწერდით, თუმცა, როგორც ირკვევა, ტრავმა სერიოზულია და შესაძლოა ფაჩულია მოედანზე კარგა ხანს ვეღარ გავიდეს. ამერიკულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, სადაც გამოთქმულია ვარაუდი, რომ შესაძლოა ზაზამ პლეი ოფშიც ვერ ითამაშოს.

გეტყვით, რომ ბოლოს ფაჩულიამ 3 მარტს, „ლეიკერსთან“ მატჩში ითამაშა და, როგორც მთავარმა მწვრთნელმა ლარი დრიუმ მაშინ განაცხადა, ის დღედღეზე დაბრუნდებოდა, თუმცა შემდეგ ქართველი ცენტრის გამოჯანმრთელების სტატუსი ამგვარად შეიცვალა – გაურკვეველი ვადით.

– ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გაურკვეველია, როდის ვითამაშებ. ექიმები მკურნალობის სხვადასხვა მეთოდს იყენებენ და საქმეც წინ მიდის, მაგრამ დროის განსაზღვრა, თუ როდის შემეძლება თამაში, ამჟამად შეუძლებელია. დომინიკ უილკინსისგან ვიცი, რომ მყესის გაწყვეტის გამო მან მთელი სეზონი გამოტოვა. ეს ძალიან, ძალიან საშიში და სათუთი რამეა, – აცხადებს ფაჩულია.

ამერიკელი ჟურნალისტები კი იხსენებენ წინა სეზონს, როცა ფაჩულიამ თანაგუნდელ მარვინ უილიამსთან შეჯახების გამო ტრავმა მიიღო და ვერც რეგულარული სეზონის ბოლო 7 მატჩი ითამაშა და ვერც – პლეი ოფი. ჟურნალისტების დასკვნით, ამჯერად საუკეთესო ვარიანტი ის იქნება, თუკი ფაჩულია პლეი ოფისთვის სათამაშოდ მზად იქნება.

იმედია, ქართველი ცენტრი ტრავმას მალე მოიშუშებს, მოედანს პლეი ოფამდე დაუბრუნდება და სექტემბერში საქართველოს ნაკრებსაც დაეხმარება ევროპის ჩემპიონატზე.

**მ. ჟ.**